

ელენე დავითაშვილი

სასანთქ სისტემის ბიოგრაფია

სალექციო წარსეს

მასტერის ფაკულტეტის სტუდენტთა თაოს



სასუნთქმის დისტანციური პირების

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელენე დავითაშვილი

სასურათი სისტემის პირქიმია

სალექციო კურსი
მედიცინის ფაკულტეტის
სტუდენტებისათვის



სასუნთქი სისტემის ბიოქიმიის კურსის მიზანია სტუდენტი გა-
ეცნოს სასუნთქ სისტემაში მიმდინარე ძირითადი ბიოქიმიური
პროცესების თავისებურებებს და სასუნთქი სისტემის ორგანოე-
ბის ფუნქციონირების მოლექულურ მექანიზმებს, გარდაქმნების
დარღვევის შედეგად გამოწვეულ პათოლოგიებს.

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბ-
ჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018

ISBN 978-9941-13-760-0 (pdf)

სარჩევი

თემა 1

1. სასუნთქი სისტემის ზოგადი დახასიათება, ორგანოების
სტრუქტურული თავისებურებანი, ფუნქციები 7

თემა 2

- ალვეოლები და ალვეოლების სატრანსპორტო მექანიზმი**
2.1. ალვეოლების ზოგადი დახასიათება 15
2.2. I ტიპის ალვეოციტების ძირითადი ბიოქიმიური
მახასიათებლები 19
2.3. II ტიპის ალვეოციტების ბიოქიმიური დახასიათება 21
2.4. ალვეოლური მაკროფაგები 23
2.5. შემაერთებელქსოვილოვანი კომპონენტები,
უჯრედშორისი მატრიქსი 24
2.6. ფილტვის უჯრედებში მიმდინარე ენერგეტიკული
პროცესები 30
2.7. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ცვლა ფილტვის
ქსოვილში 31

თემა 3

- სურფაეტანტის ფუნქციები, სტრუქტურა, დახასიათება**
3.1. სურფაეტანტის სტრუქტურა, ქიმიური
შედეგენილობა 33
3.2. სურფაეტანტის ცილოვანი
კომპონენტების დახასიათება 36

თემა 4

- ალვეოლური სითხე, სატრანსპორტო სისტემები, იონებისა
და ნივლის არხების განაწილება, სტრუქტურა და ფუნქცია**
4.1. ალვეოლური სითხე 41
4.2. ნივლის არხები – აკვაფორინები 45

4.3. ნატრიუმის მატრანსპორტირებელი სისტემები,	
მარეგულირებელი ნაერთები	46
4.4. კალიუმის არხები	57
4.5. ქლორის არხები	57
4.6. ქლორის არხის სტრუქტურა	59
4.7. იონების ტრანსპორტი სასუნთქვებზე	62

თემა 5

5.1. სასუნთქვი გზების ბიოქიმიური მახასიათებლები	65
---	----

თემა 6

6.1. გაზთა ცვლა ფილტვებში, მოლეკულური მექანიზმი ..	71
6.2. ჰემოგლობინის როლი გაზთა ცვლაში	74
6.2.1. ჰემოგლობინის სტრუქტურული ორგანიზაცია,	
ბიოქიმიური დახასიათება და როლი გაზთა ცვლაში ..	74
6.3. ჰემოგლობინის როლი სუნთქვის ციკლში	79
6.4. ნახშირორუანგის გადატანის გზები ქსოვილებიდან	
ფილტვები	84
6.5. ჟანგბადის ფილტვებიდან ქსოვილებში გადატანა	88
6.6. გაზთა ცვლის მექანიზმი	90

თემა 7

7.1. ფილტვის უჯრედების დაცვითი ფუნქციის	
მოლეკულური მექანიზმები	95
7.2. ფილტვებში ჟანგბადის აქტიური ფორმების	
ინაქტივაციის თავისებურებანი	96
7.3. სასუნთქვი გზების უჯრედების დაცვითი ფუნქცია	99

თემა 8

ფილტვისა და სასუნთქვი გზების ზოგიერთი	
პათოლოგიების მოლეკულური საფუძვლები	103
გამოყენებული ლიტერატურა	116

თემა 1

**სასუნთქი სისტემის ზოგადი დახასიათება,
ორგანოების სტრუქტურული
თავისებურებანი, ფუნქციები**

ორგანიზმის ქსოვილების უჯრედშიდა გარდაქმნების ნორ-მალურად მიმდინარეობა დამოკიდებულია ორგორუ უანგბა-დის მუდმივ მოწოდებაზე, ასევე ნივთიერებათა ცვლის შედე-გად გამოთავისუფლებული ნახშირორუანგის უწყვეტ გამო-დევნაზე. აღნიშნული პროცესი, მეტნილად, სასუნთქი სისტე-მით ხორციელდება. ამ გზით ორგანიზმში შეღწეული უანგბადი განაპირობებს სხვადასხვა ნაერთების ბიოლოგიურ დაუანგვას და ორგანიზმის არსებობისათვის აუცილებელი ენერგიით უზრუნ-ველყოფას. ორგანიზმსა და გარემოს შორის აირთა ცვლის პროცესს გაზთა ცვლა ენოდება, ხოლო უჯრედის მიერ უან-გბადის მოხმარების შედეგად ქიმიური ენერგიის მიღებისა და ნახშირორუანგის გამოთავისუფლების პროცესს – უჯრე-დული სუნთქვას.

ადამიანის სასუნთქი სისტემა იმ ორგანოთა ერთობლიო-ბას წარმოადგენს, რომლებიც უმთავრესად უზრუნველყოფენ ადამიანის ორგანიზმში გაზთა ცვლის პროცესს, თუმცა სასუნ-თქი სისტემა რიგ სხვა ფუნქციასაც ასრულებს, ისე როგორც თერმორეგულაცია, ბერების/ხმის წარმოქმნა, ყნოსვა, შესუნ-თქელი ჰაერის დატენიანება, გარემოს ფაქტორებისგან მექა-ნიკურ და იმუნურ დაცვას. სასუნთქი სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება მშობიარობის დროს ძალიან მნიშვნელოვანია ახალშობილისათვის. ფართოდ შეისწავლება პერინატალური სითხის ბალანსის ფიზიოლოგიური ასპექტები.

ამრიგად, სასუნთქი სისტემის ფუნქციები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. **რესპირატორული ფუნქცია** (ძირითადი) – გარე სუნთქვა, ჰაერის გატარება და მისი რეგულაცია, დაკავშირებულია შესუნთქული ჰაერიდან ჟანგბადის შეთვისებასთან, ჟანგბადით სისხლის გაჯერებასთან და ორგანიზმიდან ნახშირორჟანგის განდევნასთან.

2. **არარესპირატორული ფუნქციები:**

• **შესუნთქული ჰაერის კონდიცირება:** ჰაერგამტარ გზებში მიმდინარეობს შესუნთქული ჰაერის „მექანიკური განმენდა“, დატენიანება და შეთბობა;

• **ენდოკრინული ფუნქცია.** ფილტვების ამ ფუნქციას ხშირად **ფარმაკოლოგიურ** ფუნქციასაც უწოდებენ. დიფუზური ენდოკრინული სისტემის უჯრედებით გამომუშავდება ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები – ბიოგენური ამინები, ჰეპტიდური ბუნების ჰორმონები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფუნქციების ადგილობრივ რეგულაციას (ბრონქების სანათურის, ტონუსის). მაგალითად, სხვადასხვა ტიპის უჯრედები გამოიმუშავებენ სეროტონინს, ჰისტამინს, ბომბეზინს (ნეიროპეპტიდი), გასტრინის გამოთავისუფლების მარეგულირებელი ჰეპტიდის ანალოგი, ვაზოინტესტინურ პოლიპეპტიდს ([\[http://medicalplanet.su/perelomi_i_travmi/pologitelnie_effekti_pitania.html MedicalPlanet\]](http://medicalplanet.su/perelomi_i_travmi/pologitelnie_effekti_pitania.html)). ფილტვებში ნარმოიქმნება ასევე ერითროპოეტინი, რომელიც არეგულირებს ძვლის წითელ ტვინში ერითროციტების დიფერენცირებას;

• **ნევრის რეგულაცია,** ფილტვების კაპილარების ენდოთელიუმში სინთეზდება ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ანგიოტენზინ 1-ის ანგიოტენზინ 2-ად გარდაქმნას;

• **ფილტვები მონაწილეობს სისხლის შედედების პროცესში,** ფილტვების კაპილარების ენდოთელიუმში სინთეზდება ჰეპარინი და მისი ანტიპოდი თრომბოპლასტინი. ფილტვების პათოლოგიის დროს ადგილი აქვს კოაგულაციისა და ფიბრინ-

ლიზის პროცესების ცვლილებას. ფილტვის ანთებითი დაავა-
დების დროს წარმოიქმნება თრომბოზები სისხლის მიმოქცე-
ვის მცირე წრის მიკროცირკულაციის ძარღვებში, რაც განაპი-
რობებს ქრონიკული პროცესების პროგრესირებას;

• **ფილტვები აქტიურად მონაწილეობენ ლიპიდურ
ცვლაში**, ფილტვის უჯრედებში ინტენსიურად მიმდინარეობს
ლიპიდების და ცილების მეტაბოლიზმი, ფოსფოლიპიდების
სინთეზი, ასევე ლიპოპროტეაზებით ცხიმების დაუანგვა, რა-
საც თან სდევს ენერგიის დიდი რაოდენობით გამოყოფა. მაკ-
როფაგების მიერ სისხლიდან შეთვისებული ქოლესტერინი,
უზრუნველყოფს ათეროსკლეროზის ფიზიოლოგიურ პროფი-
ლაქტიკას;

• **დეპონირების ფუნქცია.** სისხლის, ლიმფოციტების,
გრანულოციტების დეპონირების დეპონირების დეპონირების;

• **ფილტვები მონაწილეობენ წყალი-მარილის ცვლაში.**
დღე-ღამეში განიდევნება 500 მლ წყალი, ამასთანავე, ფილ-
ტვებს აქვს უნარი შთანთქას ფილტვის კაპილარებიდან ალვე-
ოლებში გადმოსული წყალი. ეს თვისება ხელს უწყობს უწუ-
ლოდ ფილტვებში აეროზოლების ან სითხის სახით (ინტუბაცი-
ური მილის მეშვეობით) შეყვანილი სამკურნალო პრეპარატე-
ბის შთანთქმას;

• **დაცვითი ფუნქცია.** ფილტვები ჩართული არიან იმუ-
ნურ რეაქციებში, მიმდინარეობს არასპეციფიკური (ფაგოცი-
ტოზი) და სპეციფიკური (იმუნიტეტი) დაცვითი მექანიზმებით;

• **მეტაბოლური ფუნქცია.** ფილტვის ჰემოკაპილარების
ენდოთელიუმში სინთეზდება ფერმენტები, რომლებიც მონაწი-
ლეობენ ვაზოაქტივური ნაერთების გარდაქმნაში (მაგ., ანგიო-
ტენზინ-მაკრონვერტირებელი ფაქტორი, რომელიც ანგიოტენ-
ზინ 1-ს გარდაქმნის ანგიოტენზინ 2-ად, რომელიც სისხლარ-
ღვის შემავიზროებელი ეფექტით ხასიათდება; ბრადიკინინის,
სეროტონინის დამშლელი ფერმენტები და სხვა, რომლებიც უზ-
რუნველყოფენ ჰიპოტენზიურ ეფექტს). გაძლიერებულია წყლი-

სა და ლიპიდების ცვლა. ზოგიერთი ტიპის უჯრედებში ინტენ-
სიურად მიმდინარეობს გლიკოლიზი;

• **ფილტვის უჯრედებში მიმდინარეობს სხვადასხვა**
ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებისა და სამკურნალო პრე-
პარატების ბიოტრანსფორმაცია, ინაქტივაცია, დეტოქსიკა-
ცია. მაგალითად, აცეტილქოლინის, ნორადრენალინის, სერო-
ტონინის, ბრადიკინინის, ზოგიერთი პროსტაგლანდინის (E1,
E2, F) ინაქტივაცია;

• **ფილტრაციის ფუნქცია.** ფილტვები ასრულებენ მექა-
ნიკური ფილტრის ფუნქციას – წვრილ ძარღვებში კავდება და
გაინოვება უცხო ნაწილაკები, წმენდენ სისხლს დაზიანებული
უჯრედებისაგან, ფიბრინის კოლტებისაგან, უზრუნველყოფენ
დამლას ფერმენტული სისტემით. ფილტვების ფილტრაციული
ბარიერის მთლიანობის დარღვევა განაპირობებს ადვილად
ხსნადი წვრილდისპერსული ნაერთების განვლადობის ვაზ-
რდას და ალერგიული რეაქციების განვითარებას.

სასუნთქი სისტემა შედგება სასუნთქი გზებისაგან და სა-
სუნთქი ორგანოსაგან (სურ. 1). სასუნთქ გზებს განეკუთვნება
– ცხვირის ლრუ, ხახა, ტრაქეა და ბრონქები, რესპირატორული
ნაწილი წარმოდგენილია ფილტვებით.


განასხვავებენ ზედა და ქვედა სასუნთქ გზებს. ზედა სა-
სუნთქ გზებს განეკუთვნება ცხვირის ლრუ (*cavum nasi*), ხახის
ცხვირის ნაწილი (ცხვირხახა, *pars nasalis pharyngis*), ხორხი და
ხახის პირის ნაწილი (*pars oralis pharyngis*). ქვედა სასუნთქ
გზებს განეკუთვნება ხახა (*larynx*), ტრაქეა (*trachea*) და ბრონ-
ქები (*bronchi*). სასუნთქი გზები უზრუნველყოფენ შესუნთქუ-
ლი ჰაერის გატარებას, გათბობას, დატენიანებას და განმენ-
დას, საკუთრივ გაზთა ცვლა კი ფილტვების რესპირატორულ
ნაწილში მიმდინარეობს.

რიგ შემთხვევაში, სასუნთქ სისტემას ჰყოფენ 3 ძირითად
განყოფილებად: ნაზოფარინგული (ცხვირის ლრუ, პირის ლრუ,
ხახა), ტრაქეობრონქული (ტრაქეა, პირველადი ბრონქები, მეო-

რადი ბრონქები, ბრონქები) და ფილტვის (ტერმინალური ბრონქები, რესპირატორული ბრონქიოლები, ალვეოლური გა-სასვლელები, ალვეოლური პარკები, ალვეოლები). ფილტვები-სა და ბრონქების ქსოვილებში გამოვლენილია 40-ზე მეტი უჯ-რედი, თითოეულ მათგანს არსებითი მორფო-ფუნქციური თა-ვისებურებები გააჩნია.

ფილტვები (2) (*pulmo, pneumon*) – სასუნთქი სისტემის მთა-ვარი ორგანო, განთავსებულია გულმკერდის არეში. ფილტვე-ბის ძირითადი ფუნქციაა ორგანიზმში ჟანგბადის მოწოდება და ნახშირორჟანგის განდევნა. ფილტვები ასევე მნიშვნელოვანი გადამტანის ფუნქციას ასრულებენ ახალშობილის დაბადების დროს. დაბადებისას წყალი სწრაფად რეაბსორბირდება დისტა-ლურ ნაწილში ალვეოლური გაზთა ცვლის მომზადებისას. მშო-ბიარობის წინ ფილტვებში წყდება სითხის სეკრეცია და აკუმუ-ლირებული წყალი რეაბსორბირდება სასუნთქი სივრცეებით, რაც ფილტვების გაზთა ცვლისათვის საპასუხისმგებლო მზაო-ბას მიანიშნებს. ფილტვების პარენქიმა ალვეოლებით არის წარმოქმნილი.

სასუნთქი გზებით შესუნთქული პაერის ჟანგბადი აღწევს ფილტვებს. ფილტვებში ყველაზე წვრილი ბრონქების დაბო-ლოებები წარმოდგენილია ფილტვის თხელკედლოვანი 0.2 მმ დიამეტრის მქონე ბუშტებით – ალვეოლებით, სადაც უშუა-ლოდ გაზთა ცვლა მიმდინარეობს. ალვეოლებიდან ჟანგბადი გადადის სისხლში, ნახშირორჟანგი კი – სისხლიდან ალვეო-ლებში. ალვეოლების რაოდენობა 500 მლნ.-ს აღწევს.




სურ. 1.
**ადამიანის ზედა სასუნთქი სისტემის
 სქემატური გამოხატულება¹**

ორგანიზმი არეგულირებს სისხლში ჟანგბადისა და ნახშირორეანგის რაოდენობას სუნთქვის ინტენსივობის რეგულაციით, რომელიც ყოველთვის მიმართულია ორგანიზმის შიდა არე გაზების შემცველობის ოპტიმიზაციისაკენ.

ფიზიკური დატვირთვის დროს უჯრედები ინტენსიურად მოიხმარენ ჟანგბადს და დიდი რაოდენობით გამოყოფენ ნახშირორეანგს. შედეგად, სისხლში მკვეთრად მატულობს ნახშირორეანგის რაოდენობა, სტიმულირდება სუნთქვის ცენტრი (სურ. 2), რაც განაპირობებს სუნთქვის სიხშირისა და სიღრმის გაზრდას. ეს სუნთქვის რეგულაციის კიდევ ერთი დონეა.

¹ [<http://sportwiki.;> <http://zdrorushko.ru/med-spravochnik/dyxatelnaya-sistema>]
<https://infourok.ru/prezentaciya-po-biologii-na-temu-dihatelnaya-sistema-klass-2697182.html>

გულიდან გამომავალი მსხვილი სისხლძარღვების კედლებში განთავსებულია სპეციალური რეცეპტორები, რომლებიც რეაგირებენ სისხლში ჟანგბადის დონის დაწევაზე. აღნიშნული რეცეპტორებით ასევე აქტიურდება სუნთქვის ცენტრი, რაც განაპირობებს სუნთქვის ინტენსივობის ზრდას. სუნთქვის გაუთვითცნობიერებელ მართვას საფუძვლად უდევს ავტომატური რეგულაციის პრინციპი. ასეთი პრინციპი უზრუნველყოფს ყველა ორგანოსა და სისტემის გამართულ მუშაობას, განურჩევლად იმ პირობებისა, რომელშიც იმყოფება ადამიანის ორგანიზმი.



სურ. 2.
სასუნთქი სისტემის რეგულაციის სქემა¹

¹ [https://www.rlsnet.ru/books_book_id_2_page_30.htm]

ასაკოვანი ადამიანის სუნთქვის ცენტრის რეგულირების დარღვევის ძირითად მიზეზს ფიზიკური დატვირთვის უკმარისობა, ანუ ჰიპოდინამია წარმოადგენს. დროთა განმავლობაში ორგანიზმის ქრონიკული დაუტვირთველობა იწვევს სუნთქვის რითმისა და სუნთქვის ხერხის შეუსაბამობას ფილტვებში გაზთა ცვლის მოთხოვნისადმი. სუნთქვა ასაკთან ერთად უფრო ხშირია და ღრმა, სისხლის მიმოქცევის სისტემიდან ძლიერდება ნახშირორჟანგის განდევნა. არტერიებისა და არტერიოლების სანათური ვიწროვდება რეფლექტორული სპაზმისა და სკლეროზული ფოლაქების შედეგად, რაც კრიტიკულ დონეს აღწევს.

თემა 2


ალვეოლების და ალვეოლების სატრანსპორტო მექანიზმი

2.1. ალვეოლების ზოგადი დახასიათება

ალვეოლები თხელკედლიან მიკროსკოპულ სივრცეებს წარმოადგენენ, რომლებიც იხსნება ალვეოლურ პარკში (2-4 ალვეოლური პარკი), ალვეოლურ სავალებში ან უშუალოდ რესპირატორულ ბრონქიოლაში (სურ. 3,4). ალვეოლას კედლის მთლიანი ზედაპირი $50\text{-}100\text{ mm}^2$ -ს აღნევს, რაც წარმოდგენით ჩიგბურთის კორტების ფართობს შეესაბამება და ადამიანის ზედაპირს $50\text{-}70\text{ m}^2$ -ს აღემატება. ალვეოლას დიამეტრი 0.3 mm -ს არ აღემატება. რამოდენიმე ასეული ალვეოლური გასასვლელი და პარკები წარმოქმნიან ფილტვის სტრუქტურულ-ფუნქციური ერთეულს ძალისას, რომელიც ტერმინალურ რესპირატორულ ერთეულს წარმოადგენს. ფილტვის თითოეულ ნილში $96\text{-}99\%$ აცინუსია. ორივე ფილტვში კი $800\text{ }\mu\text{m}$ ათასი, რომლებიც $700\text{ }\mu\text{m}$ მოცული არ არის. გაზთა ცვლის ფართობი ლრმა სუნთქვის დროს 30 ms - 100 ms შეადგენს.

ალვეოლების კედელი შედგება ქერცლისებურად (**squamous**) განლაგებული რამოდენიმე ტიპის უჯრედისაგან (პულმონური ტიპისაგან). ისინი განსხვავდებიან თავისი აგებულებითა და უჯრედშიდა გარდაქმნებით და, შესაბამისად, განსხვავებულ ფუნქციას ასრულებენ. ალვეოლებში წარმოდგენილია შემდეგი უჯრედების სპექტრი: I და II ტიპის ალვეოციტები (ეპითელიოციტები), ალვეოლური მაკროფაგები, ფიბრობლასტები, ენდოთელური უჯრედები და სხვ. (სურ. 4.1; 4.2). განასხვავებენ ასევე III ტიპის ალვეოციტებს, მათ ფარფლიან ან ხაოიან უჯრედებსაც უწოდებენ, ვინაიდან აპიკალურ მემბრანაზე მიკროხა-

ოებია განთავსებული. მათი როლი საკმარისად შესწავლილი არ არის. მიიჩნევენ, რომ ისინი განკუთვნილია ქემორეცეპტო-ისთვის და ალვეოლიდან სითხის აბსორბციისთვის, ასევე გა-მოთქმულია მოსაზრება [Романова Л.К. 1984] ამ უჯრედების ნეიროსეკრეციის ფუნქციაზე.




Copyright © 2003 Pearson Education, Inc., publishing as Benjamin Cummings.

სურ. 3. ალვეოლის სტრუქტურული გამოსახვა¹

ფილტვებში ნანახია ასევე ე.ნ. პლაზმატური უჯრედები, რომლებიც, სავარაუდოდ, იმუნოგლობულინების სინთეზში მონაწილეობენ, თავსდებიან სურფაქტანტის ზედაპირზე და დაცვით ფუნქციას ასრულებენ.

პოხიერი უჯრედები გამოყოფენ ჰისტამინს და სეროტო-ნინს, მონაწილეობენ ალერგიულ რეაქციებში.

¹ <http://droualb.faculty.mjc.edu. Respiratory System>




სურ. 4.1.
ალვეოლას სტრუქტურული გამოსახულება¹

ალვეოლას შიდა სივრცე შეიცავს წყლის თხელ ფენას, რომელიც გამოყოფილია ჰაერის სივრციდან სურფაქტანტის მოლეკულებით ნარმოქმნილ შრით, მას ალვეოლურ სითხეს უწოდებენ.

I ტიპის ალვეოლიტებს წყლისა და იონების სეკრეტირებად უჯრედებად მოიხსენიებენ, ხოლო II ტიპის ალვეოლიტები კი რეაბილიტაციის პროცესში მონანილეობენ. ალვეოლებს ახასიათებს ე.წ. **ალვეოლური კლირენსი**. ალვეოლური კლირენსი იონებისა და წყლის მოძრაობაა და შემდეგ ეტაპებს მოიცავს: 1) წყლისა და იონების სეკრეცია; 2) სეკრეტირებული სითხე მიემართება I ტიპის ალვეოლიტებიდან II ტიპის ალვეოლიტებისაკენ, ამიტომ, მტვრისა და ბაქტერიების ინჰალირებული ნაწილი.

¹ [https://www.gesundheitsindustrie-bw.de/en/article/news/the-lungs-a-still-large-unknown-organ]

ლაკები ამ სითხის ნაკადით გადაიტანება II ტიპის ალვეოციტებისაკენ, სადაც 3) ნეიტრალიზდება და ფაგოციტირდება ალვეოლური მაკროფაგებით.



სურ. 4.2.

ალვეოლის სტრუქტურული კომპონენტები¹

- 1 – ეპითელური უჯრედი, რომელიც სურფაქტანტს ასინთეზირებს;
- 2 – ალვეოლური ფაგოციტი (მაკროფაგი); 3 – ერითროციტები;
- 4 – ენდოთელური უჯრედი; 5 – ალვეოლი;
- 6 – შემაერთებელი ქსოვილი; 7 – ეპითელური უჯრედი;
- 8 – ფიბრობლასტი; 9 – კაპილარი.

¹ [http://www.admit-online.info/en/background-information-respiration/anatomy/microscopic-structures/alveoli/]

2.2. I ტიპის ალვეოციტების ძირითადი ბიოქიმიური მახასიათებლები

ალვეოლის ზედაპირის 95-98% I ტიპის ალვეოციტებით არის წარმოდგენილი, მათ რესპირატორულ ალვეოციტებსაც უწოდებენ (ლათ. Alveocytus respiratory, ვინაიდან ეს უჯრედები უშუალოდ ანარმოებენ გაზთა ცვლას ალვეოლებში. I ტიპის ალვეოციტები დიდი ზომისა და წაგრძელებული ფორმის მქონე უჯრედებია, განასხვავებენ ბირთვის შემცველ რესპირატორულ ალვეოციტებს (სისქე 5-6-მკმ) და უბირთვოს (სისქე 0.2 მკმ). დადგენილია, რომ აეროჰემატური ბარიერი წარმოქმნილია შემდეგი კომპონენტებით: რესპირატორული ალვეოციტების უბირთვო ნაწილი, ალვეოლების ბაზალური მემბრანა, ალვეოლებს შორისი შემაერთებელი ქსოვილი, კაპილარის ბაზალური მემბრანა და ენდოთელიუმი. რესპირატორული ალვეოციტები ქმნიან ალვეოლის კედელს (septas), ანარმოებენ იონებისა და წყლის ტრანსპორტს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნატრიუმისა და წყლის არხების ფუნქციონირება. მათ ციტოპლაზმაში გამოვლენილია მცირე ზომის მიტოქონდრიები და პინციტოზური ვაკუოლები, აპიკალურ ზედაპირზე გეხვდება მოკლე გამონაზარდები (მიკროსაცეცები). I ტიპის ალვეოციტებში, II ტიპის ალვეოციტებისაგან განსხვავებით, გამოვლენილია ციკლური ნუკლეოტიდ-დაჭიშკრული ნატრიუმის არხი (CNSC). I ტიპის ალვეოციტები ალვეოლების ფართობის 95%-ს ფარავენ. მათ მიერ წარმოებული გაზთა ცვლა მიმდინარეობს ენერგიის დახარჯვის გარეშე. ატფ-ის წყარო ამ უჯრედებში ძირითადად გლიკოლიზია, თუმცა აქტიურად მიმდინარეობს გლუკოზას გარდაქმნის პენტოზოფოსფატური გზა. ალვეოციტში არ არის გამოვლენილი გლუკონოგენეზი, შედეგად ფილტვის უჯრედები, ძირითადად, დამოკიდებულია ცირკულირებული გლუკოზის რაოდენობაზე.


ალვეოციტებში მცირე რაოდენობით სინთეზირდება გლიკოგენი. უჯრედებში ინტენსიურად მიმდინარეობს დეტოქსიკა-

ციიის პროცესი, მძლავრად არის წარმოდგენილი ანტიოქსიდანტური სისტემა.

1 ტიპის ალვეოციტებში სინთეზირდება რიგი სპეციფიკური ცილებისა, მათ შორის **კავეოლინი-1**, რეცეპტორ-დამოკიდებული ენდოციტოზის მემბრანული ცილების ჯგუფი (მოლეკულური მასა 21 კდა-ს აღწევს). ცილები წარმოქმნიან ოლიგომერებს, მემბრანის გარკვეულ მონაკვეთებში დაკავშირებული არიან ქლესტერინთან და სფინგოლიპიდებთან, რაც განაპირობებს მემბრანაზე ჩაღრმავების – კავეოლას წარმოქმნას. ალვეოციტებში ასევე ენდოპლაზმურ მემბრანაში გამოვლენილია ციტოქრომი P_{450} 2B1, მემბრანული ფერმენტის Na^+/K^+ -ATPაზას $\alpha 2$ -იზოფორმა და სხვ.

I ტიპის ალვეოციტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ალვეოლური სითხის ბალანსის რეგულაციაში.

I ტიპის ალვეოციტების მიერ ექსპრესირდება წყლის არხი აკვაფორინი (AQP1,5), რომელიც აადვილებს CO_2 -ის დიფუზიას.



სურ. 5.


**ალვეოლის პრესიმალურსა და დისტალურ
სასუნთქ ეპითელიუმში იონებისა და წყლის ტრანსპორტის
სქემატური გამოსახვა. AQP – აკვაფორინი**

ფილტვის ქსოვილისთვის აუცილებელია და მნიშვნელოვანი წყლის მოძრაობა. აკვაფორინების მეშვეობით ქსოვილში მიღლიონობით წყლის მოლეკულა გადაიტანება. წყლის მოძრაობა სასუნთქი გზებიდან სისხლძარღვში ფიზიოლოგიური პროცესის ნორმალურ მდგომარეობას განაპირობებს. წყლის ტრანსპორტის სიჩქარე განსაკუთრებით მაღალია ალვეოლურ ეპითელიუმსა და ენდოთელიუმის უჯრედებს შორის. აკვაფორინის დონე იზრდება ნაყოფის განვითარებასთან ერთად. I ტიპის ალვეოციტების მემბრანაში განთავსებულია ნახშირნყალ-დამაკვშირებელი ცილები – ლექტინები, რომლებიც უჯრედგარე მიმართულებით ხასიათდებიან. მათი ფუნქცია მდგომარეობს ფილტვის პარენქიმასა და სისხლძარღვის კედლის ელასტიკური ფიბრილების გლიკოკონიუგატებთან დაკავშირებაში.

2.3. II ტიპის ალვეოციტების ბიოქიმიური დახასიათება

II ტიპის ალვეოციტებს (მათ გრანულარულ პნევმოციტებ-საც უწოდებენ) ახასიათებს კუბური ფორმა (*alveocytus magnus*) და გააჩნიათ მიკროხაოებით დაფარული აპიკალური ამომფენი ფენა. ალვეოლების ამომფენი უჯრედების 5%-ს შეადგენს. ალვეოციტების ციტოპლაზმა შეიცავს გოლჯის აპარატს, ენდოპლაზმურ ბადეს, მიტოქონდრიებს, მულტივეზიკოულურ სხეულაკებს, ციტოფოსფოლიპოსმებს (ფირფიტოვან ოსმოფილური სხეულაკები) ამ ეპითელურ უჯრედებში ექსპრესირდება Na^+ -ის არხი (ENaC), ბაზოლატერალურ მემბრანაში კი – $3\text{Na}^+/2\text{K}^+$ -ATPაზა. II ტიპის ალვეოციტების მთავარ ფუნქციას Na^+ -ის იონების რეაბსორბცია წარმოადგენს, რაც ენერგიის დიდ დანახარჯს საჭიროებს. ენერგიის მარაგს კი გლუკოზას აერობული დაუანგვა უზრუნველყოფს (CO_2 და H_2O წარმოქმნა). Na^+ -ის იონების რეაბსორბციას პარალელურად თან სდევს Cl^- -ის იონების ტრანსპორტი და ტრანსუჯრედული წყლის ტრანსპორტი. ფილტვებში წყლის ცვლაში Na^- -ის არხი ფუნდამენტურ როლს

ასრულებს, დაბადებისას აადვილებს ნაყოფის გადასვლას წყლის საფეხურიდან ჰაერის გამტარ სისტემაზე.




სურ. 6.

I და II ტიპის ალვეოციტებში იონური არხების განაწილების სქემატური გამოსახვა¹

II ტიპის ალვეოციტებში იონების ტრანსპორტის სიჩქარე განისაზღვრება ეპითელური Na-ის არხის (ENaC) რაოდენობით და 3Na+/2K+-ATP-აზის აქტივობით. იონების ტრანსპორტისძირითადი რეგულატორებია ადრენალინი, კორტიზოლი, ალდოსტერონი, სუპეროქსიდ-იონი (O_2^-) და ნინაგულის (ატრიული) ნატრიურეზული პეპტიდი (ANP).

II ტიპის ალვეოციტებში სინთეზდება და სეკრეტირდება ზედაპირულად აქტიური მნიშვნელოვანი ნაერთი – ფილტვის სურფაქტანტი. სურფაქტანტი მემბრანული კომპონენტია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამოსუნთქვის ფაზაში, კერძოდ სურფაქტანტი შლის წყლის ასოციატებს, ამცირებს ზედაპირულ დაჭიმულობას და ენინალმდეგება ალვეოლების კედლების „დაცემას“ (კოლაფს), ხელს უშლის ატელექტაზის განვითარებას (სურ. 7).

¹ [Meshell D. Johnson et al. Functional ion channels in pulmonary alveolar type I cells support a role for type I cells in lung ion transport. PNAS March 28, 2006 vol. 103 no. 13 4964-4969].



**სურფაქტანტის როლი ატელექტაზის
პრევენციაში, სქემატური გამოსახულება**

- 1 – სრულად გაშლილი ალვეოლი ჩასუნთქვის ბოლოს;
- 2 – ნაწილობრივ გაფართოებული ალვეოლი ნორმალურად
ამოსუნთქვის ბოლოს; 3 – სურფაქტანტის ნაკლებობის
გამო კოლაფსირებული ალვეოლი.

2.4. ალვეოლური მაკროფაგები

ალვეოლური მაკროფაგების ძირითადი ფუნქცია – მონაწილეობენ ბუნებრივ, ანტისიმისივნურ იმუნიტეტში და სხვა-დასხვა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების სეკრეციაში. მათი დაცვითი როლი იმუნიტეტში, ძირითადად, ფაგოციტოზში გამოიხატება, მიკროორგანიზმების, მტვრის ნაწილაკების, უჯრედული ფრაგმენტებისა და სურფაქტანტის ფაგოციტირება-ში. მაკროფაგები შეიცავენ ოვალურ ბირთვს, გააჩნიათ კარგად განვითარებული ლიზოსომული აპარატი. მაკროფაგები ალვეოლას კედელში ან გარე ზედაპირზეა განთავსებული, მათ ალვეოლური სივრციდან ინტერსტიციალურ ქსოვილში შეუძლიათ მიგრირება. მაკროფაგების ციტოპლაზმაში აღინიშნება ლიპიდური ჩანართები, მათი დაუაზვის შედეგად გამოყოფილი

ენერგია ხმარდება შესუნთქული ჰაერის სხეულის ტემპერატურამდე შეთბობას. მაკროფაგები მონაწილეობენ ლიპიდების ცვლაში, მათი მძლავრი ფერმენტული (პროტეაზების) სისტემა უზრუნველყოფს ენდოგენური ცილების დეგრადაციას. პათოლოგიურ მდგომარეობაში მაკროფაგებში გამოვლენილია იმუნური და სხვა რეცეპტორების (კოლაგენური სტრუქტურებისა და ფიბრონექტინის) რაოდენობის მატება.

სისხლის მონოციტებისაგან განსხვავებით ალვეოლურ მაკროფაგებზე აღინიშნება CD14-ის სუსტი ექსპრესია (მონაწილეობს ბაქტერიული პოლისაქარიდების დეტექციაში), იმუნოგლობულინი IgG-ს FcγRIII(CD16) რეცეპტორის ექსპრესია. მაკროფაგები გავლენას ახდენენ ფიბრობლასტებით კოლაგენის სინთეზს.

ფილტვის მაკროფაგებისათვის დამახასიათებელია მუავე ფოსფატაზას, არასპეციფიკური ესთერაზას, კატეპსინების, ფოსფოლიპაზა A2-ს, კრებსის ციკლის ფერმენტების (განსაკუთრებით სუქცინატდეპიდროგენაზას) მაღალი შემცველობა.

2.5. შემაერთებელ-ქსოვილოვანი კომპონენტები, უჯრედშორისი მატრიქსი

ალვეოლებს შორის შემაერთებელ-ქსოვილოვანი ტიხრებია (სისქე 2-6მკმ), რომლებიც შეიცავენ ელასტიკურ ბოჭკებს, კოლაგენურ ბოჭკოებს, ფიბრობლასტებს, ქსოვილოვან ბაზოფილებს, ანტიგენნარმომჩენ უჯრედებს.

ფილტვების უჯრედშორისი მატრიქსის ქიმიური შემადგენლობა:


1. კოლაგენის და ელასტინის ბოჭკოები. ეს კომპონენტები ფილტვის ქსოვილს ანიჭებენ მექანიკურ სიმტკიცეს, ენინაალ-მდეგებიან ქსოვილის გაჭიმულობას.

2. ამორფული ნივთიერება გლიკოზამინოგლიკანების და პროტეოგლიკანების სახით. აკავებს წყალს და მინერალურ ნა-ერთებს, ენინაალმდეგება ქსოვილებზე ზენოლას.


3. არაკოლაგენური სტრუქტურული ცილები – ფიბრონექ-ტინი, ლამინინი, ტენასცინი, ოსტეონექტინი და სხვ.

1. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცილა ელასტინი. **ელასტინი** – ფიბრილური ჰიდროფობური ცილაა, გლიკოპრო-ტეინი, მოლ. მასა 70 კდა, უჯრედშორის სივრცეში მნიშვნელო-ვან როლს ასრულებს, სინთეზდება ფიბრობლასტებში, დიდი რაოდენობით შეიცავს გლიცინს, ვალინს, ლეიცინს, ალანინს, პროლინის, მცირე რაოდენობით შეიცავს ჰიდროქსილიზინს. ჰიდროფობური ამინომჟავები ენინაალმდეგება მეორეული და მესამეული სტრუქტურის ფორმირებას. ელასტინის სტრუქტუ-რის ფორმირებაში მონაწილეობს ამინომჟავა ლიზინი, რომე-ლიც იუანგება ფერმენტ ლიზილოქსიდაზას მოქმედებით (სპი-ლენდშემცველი ფერმენტია), დაუანგული ლიზინი (ალიზინი) წარმოქმნის განივ ხიდაკებს პოლიპეპტიდებს შორის. ელას-ტინში გვხვდება უჩვეულო ამინომჟავები დესმოზინი და იზო-დესმოზინი, რომლებიც ამინომჟავა ლიზინის 4 ნაშთის კონ-დენსაციით წარმოიქმნება. ეს ამინომჟავები მჭიდრო განივ ხი-დაკებს წარმოქმნიან, რომლებიც ერთდროულად უკავშირდე-ბიან რამოდენიმე პოლიპეპტიდს (სურ. 8).

ელასტინის აგებულება განსხვავდება კოლაგენის აგებუ-ლებისაგან. სტრუქტურული გლიკოპროტეინი შეიცავს დიდი რაოდენობით ნახშირნულებს და ცისტინს. ელასტინის კატაბო-ლიზმი მიმდინარეობს ელასტაზას მოქმედებით. ამ მოვლენას ფილტვებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ფილტვის ქსოვილი რეგენერაციას არ განიცდის. ალვეოლურ კედლებში ელასტინის დაშლა, დესმოზინის წარმოქმნის შემცირება განა-პირობებს განივი ხიდაკების მცირე რაოდენობით წარმოქმნას, რაც იწვევს ელასტიკურობის დაკარგვას, ალვეოლების რღვე-ვას, ფილტვების დაავადების ემფიზემის განვითარებას და პნევმონიების სიხშირის მატებას.



სურ. 8.
ელასტინის სტრუქტურა¹



2

¹ http://bono-esse.ru/blizzard/A/Posobie/AFG/soedinitelnaja_tkan.html

² http://biochemistry.ru/biohimija_severina/B5873Part109-703.html,

კოლაგენი – ფიბრილური ცილა, მოლეკულას (მონომერის სიგრძე 290 ნმ), რომელსაც პროტოკოლაგენს უწოდებენ. ცნობილია 30-მდე განსხვავებული სახეობის α-ჯაჭვი, უმეტესობა 1000-მდე ამინომჟავას ნაშთს შეიცავს. კოლაგენი დიდი რაოდენობით შეიცავს ამინომჟავა გლიცინს (33%), პროლინს (25%) და ალანინის (11%), არ შეიცავს ცისტეინსა და ტრიპტოფანს. ელასტინის მსგავსად, კოლაგენი გამოიჩინება განსხვავებული ამინომჟავების – 3- და 4-ოქსიპროლინისა და 5-ოქსილიზინის შემცველობით. α-სპირალის თითოეული ხელული 3 ამინომჟავას ნაშთს შეიცავს, რომელიც მუდმივ განმეორებად ტრიპლეტს წარმოადგენს Gly-X-Y, სადაც X პოზიციაში ხშირად პროლინია განთავსებული, ხოლო Y-ში – ჰიდროქსილიზინი. α-ჯაჭვის 5-8 მონომერის შეერთებით წარმოიქმნება ფიბრილური ძაფი, შემდგომ მიოფიბრილები, რომლებიც ქმნიან კოლაგენის ბოჭკოს. კოლაგენი გლიკოპროტეინული ბუნების ცილაა და ნახშირწყლებს შეიცავს. პროტეოგლიკანები უზრუნველყოფენ ფიბრილების და ძაფების ბოჭკოების წარმოქმნას. ამ ეტაპზე გამოვლენილია კოლაგენის 28 ტიპი, რომლებიც 40 გენით კოდირდება; განსხვავდებიან ამინომჟავური თანმიმდევრობით და მოდიფიკაციის ხარისხით – ჰიდროქსილიზინის და გლიკოზილირების ინტენსივობით.

გამოყოფილია ფილტვის კოლაგენების 5 ტიპი (I-V), რომლებიც α-ჯაჭვების კიდურა ნაშთებით განსხვავდებიან. ნორმალურ ფილტვში ალვეოლურ სეპტაში ჭარბობს I და III ტიპის კოლაგენი, II ტიპის კოლაგენი ტრაქეასთან და ბრონქებთან არის ასოცირებული. I და III ტიპის კოლაგენის თანაფარდობაა 2:1, კოლაგენი IV ბაზალური მემბრანის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს, მუტაცია განაპირობებს ანომალურ ალვეოლურ ფენოტიპს, თუმცა მისი როლი ალვეოგენეზში უცნობია. ფიბროზის დროს ალინიშნება შედარებით ნაკლებად დრეკადი კოლაგენის სინთეზი (I ტიპი) III ტიპის კოლაგენთან შედარებით. ფიბრობლასტების პროლიფერაციის შედეგად ბოჭკოების რაოდე-

ნობის მატება იწვევს ლიმფოკინებისა და სვადასხვა ზრდის ფაქტორების გაძლიერებულ სეკრეციას მაკროფაგებით, რაც ამ კოლაგენის ნარმოქმნას ზრდის. შედეგად ფილტვები უხეშდება და ქვეითდება გაზთა ცვლა.

2. პროტეოგლიკანების და გლიკოპროტეინების როლი.


შემაერთებელი ქსოვილის უჯრედშორისი ნივთიერების გელის კონსისტენცია განპირობებულია პროტეოგლიკანების მაღალი შემცველობით. პროტეოგლიკანების ნახშირწყლოვანი კომპონენტი უარყოფით მუხტს ნარმოქმნის, ეს კი განსაზღვრავს მათ მთავარ როლს წყალი-მარილის ცვლის რეგულაციაში, ასევე უზრუნველყოფენ კომპლექსების ნარმოქმნას კოლაგენურ ცილებთან და კალციუმის ორნებთან.

ჰეპარინი – გლიკოზამინოგლიკანი, ხასიათდება ანტიკოაგულაციური თვისებით, თრგუნავს სისხლის შედედებას. ფილტვებში მაღალია ჰეპარინის კონცენტრაცია.

კერატანსულფატი – მონანილეობს ფილტვის კარკასის ფორმირებაში, ასაკთან ერთად მისი რაოდენობა მატულობს, რაც განაპირობებს ელასტიკურობის შემცირებას. უჯრედშორისი სითხის კომპონენტებია ასევე გლიკოპროტეინები, რომლებიც შეიცავენ ნახშირწყლებს 15%-მდე. გლიკოპროტეინები გამოიჩინევა ცუდი ხსნადობით, მაგრამ მათ გააჩნიათ მაღალი ანტიგენური თვისებები. ასეთ გლიკოპროტეინებს განეკუთვნება ფიბრონექტინი, რომელიც მრავალი უჯრედის ზედაპირზეა განთავსებული სისხლში და სხვა ბიოლოგიურ სითხეში და მეორე – უჯრედის ზედაპირთან დაკავშირებული.

ფიბრონექტინი – არაკოლაგენური სტრუქტურული გლიკოპროტეინი, შეიცავს ორ იდენტურ პოლიპეპტიდურ ჯაჭვს მოლეკულური მასით 440-450 კდა, რომლებიც C-კიდურაში დისულფიდური ბმით არიან დაკავშირებული. პოლიპეპტიდური ჯაჭვი შეიცავს 7-8 დომენს, თითოეულზე განთავსებულია სხვადასხვა ნაერთების სპეციფიკური დამაკავშირებელი ცენტრები, მათ შორის ჰეპარინის, კოლაგენის, პროტეოგლიკანების, ჰიალურონის მჟავა, ფერმენტი ტრანსგლუტამინაზა,

პლაზმური მემბრანის ნახშირნყლები. ფიბრონექტინი პოლი-ფუნქციური რეგულატორია, მისი ფუნქციებია: უზრუნველყოფს უჯრედების ურთიერთქმედებას, ხელს უწყობს თრომბო-ციტების ადჰეზიას, ენინაალმდეგება სიმსივნის მეტასტაზირებას, წარმოადგენს ოფსონონის და აძლიერებს ფაგოციტოზს, უზრუნველყოფს სისხლის განმენდას ცილების დაშლის პრო-დუქტებისაგან (მათ შორის კოლაგენის), მონანილეობს სისხლის კოაგულაციის პროცესში.



სურ. 9.
ფიბრონექტინის სტრუქტურა¹

ფიბრონექტინი ასრულებს მაინტეგრირებელ როლს უჯრედშორისი მატრიქსის ორგანიზაციაში, უზრუნველყოფს უჯრედების ადჰეზიას. ალვეოლების ფიბრონექტინი ოფსონინების წყაროს წარმოადგენს.

¹ [http://biochemistry.ru/biohimija_severina/B5873Part110-712.html,714]

2.6. ფილტვის უჯრედებში მიმდინარე ენერგეტიკული პროცესები

ფილტვებში სტრუქტურული და ფუნქციური სისტემების შენარჩუნებას ესაჭიროება ენერგია, რომელიც წარმოიქმნება მეტაბოლური პროცესების შედეგად. ენერგიის წარმოქმნის ძირითადი ადგილი მიტოქონდრიებია. ფილტვის უჯრედების მიტოქონდრიები განსხვავდებიან სხვა ქსოვილების მიტოქონდრიებისაგან ფერმენტების განაწილებით და აქტივობით. მაგალითად, ფერმენტი პირუვატტრანსფერაზა (EC 2.7.1.40), რომელიც ღვიძლის უჯრედებში ციტოპლაზმურ ფერმენტს წარმოადგენს (90-96%), ფილტვის უჯრედებში გამოვლენილია მიტოქონდრიული იზოფორმა (90%). ფილტვის მიტოქონდრიებში წარმოდგენილია პირიდინის ნუკლეოტიდების NADH2 ფორმა (60%), NAD-ფორმა 6-8-ჯერ ნელა იუანგება ღვიძლთან შედარებით, ხოლო α-გლიცეროფოსფატი და ვაშლის მჟავა 5-10-ჯერ სწრაფად იუანგება.

ალვეოციტების (ფილტვების) მიტოქონდრიების ენერგეტიკული სისტემა დაკავშირებულია ფილტვებში სისხლის ნაკადის მიწოდების სიჩქარეზე და ფილტვების უანგბადით შევსებაზე. სრულად შევსებისას გლიკოლიზი ინტენსიურად მიმდინარეობს და წარმოიქმნება მეტი ატფ, სისხლის ნაკადის სიჩქარეს შემცირებას თან სდევს უჯრედების ენერგომომარაგების შემცირება. ჰიპოქსიის პირობებში ფილტვებში ალინიშნება მიტოქონდრიული ანტიოქსიდანტური სისტემის ფერმენტის სუპეროქსიდისმუტაზას აქტივობის შემცირება. ფილტვებში სინთეზირდება 57-174 მმოლ ატფ 1 გ ქსოვილზე 1 საათში. ჰიპოქსიის პირობებში, უანგბადის ნაკლებობისას ალვეოციტებში ალინიშნება რძემჟავას (ლაქტატის) მკვეთრი მატება. ლაქტატის წარმოქმნა გლუკოზას დაშლის და ამინომჟავების კატაბოლიზმის შედეგია. ალინიშნება ცვლილებები ფერმენტ ლაქტატდეჰიდროგენაზას (LDH) იზოფერმენტულ სპექტრში, კერძოდ ჰიპოქსიის პირობებში იმატებს LDH 5 იზოფორმა. ასევე ვლინ-

დება ცვლილებები ფერმენტ მალატდეპიდროგენაზას იზო-ფერმენტულ სპექტრში, კრების ციკლში ძლიერდება ვაშლის მჟავას დაუანგვა, გაძლიერებულია ამინომჟავების კატაბოლიზმი.

2.7. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ცვლა ფილტვის ქსოვილში

ფილტვის უჯრედები, გარდა სასუნთქი ფუნქციისა, ასრულებენ მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს, რომელთა საფუძველს ფილტვების სპეციფიკური მეტაბოლური პროცესები წარმოადგენს. ხშირად ამ პროცესებს „ენდოგენურ ფილტვის ფილტრს“ ან „ფილტვის ბარიერს“ უწოდებენ. ეს პროცესები დაკავშირებულია ზოგიერთი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთის აქტივაცია-ინაქტივაციასთან. ასეთ ნაერთებს განეკუთვნება კატექოლამინები, სეროტონინი, აცეტილქოლინი, ჰისტამინი, ვაზოაქტიური პეპტიდები. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფილტვის ბიოქიმიურ პროცესებში. განსაკუთრებით აქტიურად არიან ჩართული ვაზოაქტიური პეპტიდები.

ვაზოაქტიურ პეპტიდებს განეკუთვნება კინინები: ბრადიკინინი, კალიდინი, მეტიონილლიზილბრადიკინინი, ყველა წარმოიქმნება წინამორბედი კინინოგენებიდან, რომლებიც α2-გლობულინების ფრაქციას განეკუთვნებიან. ვაზოაქტიური პეპტიდები გამოირჩევა ბიოლოგიური მოქმედების ფართო სპექტრით, უზრუნველყოფები ბრონქების გლუვი კუნთების შეკუმვა-მოდუნების ბროცესს, არტერიების გაფართოებას, გავლენას ახდენენ მიკროცირკულაციაზე, ორგანოებში ადგილობრივ სისხლის მიმოქცევაზე. კინინები მიკროცირკულაციაზე გავლენით აფართოებენ არტერიოლებს და კაპილარებს, რითაც ხდება ვენულების და არტერიოვენოზური შუნტის სპაზმის აცილება, ამავდროულად, ზრდიან სისხლძარღვების კედლის განვლადობას. მაგალითად, ბრადიკინინი ბრონქების გლუვ კუნთებზე მოქმედებს როგორც უშუალო ზემოქმედე-

ბით, ასევე გლუვ კუნთებზე განთავსებული ადრენორეცეპტორების გაღიზიანებით.

ფილტვის უჯრედებში მოქმედ ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებიდან ასევე აღსანიშნავია ცხიმონმჟავა წარმოებული ნაერთები – პროსტაგლანდინები.

პროსტაგლანდინები – უჯერი 20-კარბონის ატომის შემცველი ნაერთებია, განასხვავებენ 4 ძირითად ჯგუფს A, B, E, Γ, რომლებიც ფილტვებში წარმოიქმნება მულტიფერმენტული მემბრანადაკავშირებული პროსტაგლანდინ სინთეტაზას მოქმედებით, სინთეზი მიმდინარეობს ენდოთელურ უჯრედებში. პროსტაგლანდინების ძირითადი წინამორბედი არაქიდონის მჟავაა, რომელიც ფოსფოლიპიდების მოლეკულიდან გამონთავისუფლდება ფერმენტ ფოსფოლიპაზა A2-ს მოქმედებით. პროსტაგლანდინების სინთეზის ინჰიბიტორია გლუკომორტიკოიდები, რომლებიც აინჰიბირებენ ფერმენტ ფოსფოლიპაზა A2-ს აქტივობას, რითაც ფერხდება პროსტაგლანდინების სინთეზი. პროსტაგლანდინები მონაწილეობენ ბრონქების გლუვი კუნთების ტონუსის ფორმირებაში, პროსტაგლანდინი ПГЕ გამაფართოებელ ეფექტს ავლენს, ПГ1-აფართოვებს ფილტვის კაპილარებს და ამცირებს წნევას ფილტვის არტერიაში, ПГ2-ჰიპოვენტილაციის განმაპირობებელია, ხოლო 3 – ჰიპერ-ვენტილაციის, ამასთანავე იგი განაპირობებს ПГЕ-ს გაძლიერებულ სინთეზს, რასაც თან სდევს ძარღვების გაფართოება და ვენტილაცია/ჰერიფუზია შეფარდების გაზრდა.

თემა 3

სურფაქტანტის ფუნქციები,
სტრუქტურა, დახასიათება

3.1. სურფაქტანტის სტრუქტურა, ქიმიური შედგენილობა

სურფაქტანტი მონომოლეკულურ შრეს წარმოქმნის ალვე-ოლების ეპითელიუმსა და ჰაერის გამყოფ ზედაპირზე.

სურფაქტანტის სტრუქტურის ლიპოპროტეინული ბუნება 1961 წელს იყო დადგენილი Pattle და Thomas, Buckingham და Clements ჯგუფის მიერ. სურფაქტანტი სტრუქტურულად უმთავრესად ლიპიდისაგან, მცირეოდენი ცილისა და ნახშირ-ნილებისაგან შედგება.

სურფაქტანტის ლიპიდური შედგენილობა:

ლიპიდები – ფოსფოლიპიდები – 85%, აქედან:

ფოსფატიდილქოლინი – 7.3%;

დიპალმიტოილფოსფატიდილქოლინი – 47%;

უყერი ფოსფატიდილქოლინი – 29.3%;

ფოსფატიდილსერინი – 11.6%;

ფოსფატიდილინოზიტოლი – 3.9%;

ფოსფატიდილეთანოლამინი – 3.3%;

სფინგომიელინი – 1.5%;

დანარჩენი – 3.4%;

ნეიტრალური ლიპიდები – 5%;

ქოლესტეროლი, თავისუფალი ცხიმოვანი მუავები;

დანარჩენი 10% წარმოდგენილია ცილოვანი ფრაქციით – აპოპროტეინებით.

სურფაქტანტის ცილოვან კომპონენტებს აღნიშნავენ SP-A, SP-B, SP-C და SP-D (18 - 36 kDa) სურფაქტანტის მოლეკულა

შეიცავს არაპოლარულ „თავს“ და პოლარულ „კუდს“. სურფაქტანტის მოლეკულის „თავები“ მიმართულია უჯრედებისაკენ, ხოლო „კუდები“ – ალვეოლების სანათურში.

სურფაქტანტის აქტიურობა, უმეტესწილად, მასში დიპალმიტოილ ლეციტინის (დიპალმიტოილ ფოსფატიდოლქოლინის) არსებობითაა გამოწვეული. ლეციტინის ის მოლეკულები, რომლებიც არ შეიცავენ პალმიტინმჟავას ორ ნაშთს, არ არიან ეფექტური ზედაპირული დაჭიმულობის შემცირებაში.

სურფაქტანტის სისტემის რეგულაციაში მონაწილეობენ თირკმელზედა ჯირკვლის გლუკოკორტიკონიდული ჰორმონები. სურფაქტანტის სინთეზი ინდუცირდება კორტიზოლით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სურფაქტანტი სინთეზირდება მე-2 ტიპის ალვეოციტებში და სასუნთქ გზებში, კერძოდ, ენდოპლაზმურ რეტიკულუმში მიკროსომულ ფრაგციაში, საიდანაც ტრანსპორტირდებიან გოლჯის კომპლექსის გავლით ალვეოლების სანათურში. სურფაქტანტის სინთეზში განსაკუთრებით მაღალი აქტივობით გამოიჩინა ფერმენტები ქოლინფოსფოტრანსფერაზა და ფოსფორილქოლინციტიდილტრანსფერაზა, როგორც ენერგიის ნეარო უპირატესად ციტიდილტრიფოსფატი გამოიყენება. სურფაქტანტის სეკრეცია მიმდინარეობს ეკზოციტოზით და კონტროლდება ადრენომიმეტიკებით ც-ამფ-ის დონეს გაზრდით, ასევე ქოლინერგული აგონისტებით, პროსტაგლანდინებით. სურფაქტანტის ლიპიდების სეკრეცია ფირფიტოვანი სხეულაკებით, მათი შემდგომი გახსნა ტუბულარული მიელინის სახით მიმდინარეობს. სურფაქტანტის ცილებიც გოლჯის აპარატში გლიკოზილირდება, შემდგომ ფირფიტოვან სხეულებში გადადგილდებისას ხდება მათი ფოსფოლიპიდებთან დაკავშირება.

ზოგადად, **სურფაქტანტული სისტემა** წარმოდგენილია უჯრედული და არაუჯრედული კომპონენტებით. უჯრედული კომპონენტი შედგება ალვეოლური მაკროფაგებისაგან და ალვეოციტებისაგან. არაუჯრედული კომპონენტი მოიცავს სურფაქტანტურ ალვეოლურ კომპლექსს: ალვეოლური სავალებისა და ბრონქიოლების (1-3 რიგის) სურფაქტანტს, ჰიპოფაზაზას, ანუ ალვეოლურ სითხეს და გლიკოკალიქსს.

სურფაქტანტი – ეს არის ზედაპირულად აქტიური მონო-მოლეკულური შრე, რომელიც განთავსებულია ალვეოლებში, ალველურ არხებში და ბრონქიოლებში (1-3 რიგის) ორი ფაზის საზღვარზე ჰაერი-სითხე. სურფაქტანტის სუბერთეულს ბილი-პიდური მემბრანა წარმოადგენს, რომელშიც ჩაშენებულია ლი-პიდური გლიკო- და ლიპოპროტეინული ლიპიდური კომპლექსები. [<http://meduniver.com/Medical/Physiology/847.html> MedUniver].


სურფაქტანტის სისტემის რეგულაციაში მონაწილეობენ თირკმელზედა ჯირკვლის გლუკონტიკოიდული ჰორმონები. სურფაქტანტის თვისებები დამოკიდებულია ფილტვის ჰიპოვენტილაციაზე, ასეთ პირობებში სურფაქტანტის ფირი (შრე) ზიანდება, ვენტილაციის აღდგენისას არ ხდება სურფაქტანტის შრის სრულად აღდგენა. სურფაქტანტის თვისებები ასევე იცვლება ჰიპიენისა და ანთებითი პროცესების დროს.

ზოგადად, სურფაქტანტის ფუნქციები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. სურფაქტანტის ძირითადი ფუნქცია – ალვეოლებში ზედაპირული დაჭიმულობის შემცირება, რაც განაპირობებს მათ სტაბილიზაციას და რესპირატორული კოლაპსისაგან დაცვას.
2. სურფაქტანტი ეწინააღმდეგება სითხის დაგროვებას ვიწრო სასუნთქი გზების სანათურში. ვარაუდობენ, რომ სურფაქტანტი ემულგირებს ლორნოს, ეწინააღმდეგება მის აგლომერაციას და ამცირებს ადჰეზიას. აუმჯობესებს მუკოცილიარულ კლირენს.
3. სურფაქტანტი მონაწილეობს ფილტვების ანტიბაქტერიულ დაცვაში. სურფაქტანტის ლიპიდური კომპონენტები ზრდიან მაკროფაგების ფაგოციტურ აქტივობას. სურფაქტანტი SP-A ასრულებს ოპსონინის როლს მაკროფაგებით ჰერპესის ვირუსის ფაგოციტოზის დროს.
4. ეგზოგენური სურფაქტანტი ამცირებს ანთებით პროცესს ინტერლეიკინების IL-1 და IL-6 და მონოციტებით სიმსივნეს ნეკროზის ფაქტორის (TNF) სეკრეციის ინჰიბირებით.

3.2. სურფაქტანტის ცილოვანი კომპონენტების დახასიათება

სურფაქტანტის ცილების მნიშვნელოვანი როლი პირველად დადგენილი იყო 1972 წელს King და Clements-ის მიერ. სურფაქტანტის ცილოვანი კომპონენტები SP-A და SP-D განეკუთვნება ხსნად ჰუმორული ფაქტორების შემცნობ რეცეპტორებს, ცილების განსაკუთრებულ ჯგუფს კოლექტინებს (ლექტინები, არაიმუნური ნარმოშობის ნახშირწყალ-დამაკავშირებელი ცილები), რომლებიც არეგულირებენ იმუნურ პასუხს მიკროორგანიზმებზე. სურფაქტანტის ცილები C-ტიპის ლექტინური დომენით მიკროორგანიზმების ზედაპირზე იკავშირებენ ნახშირწყლებს და ლიპიდურ ანტიგენებს. ისინი ნარმოქმნიან მულტიმერულ სტრუქტურას, რომელიც დიდი რაოდენობით იკავშირებს სხვადასხვა პათოგენურ მიკროორგანიზმებს (ბაქტერია, საფუარი, სოკო, ვირუსი), ინვეს მათ აგლუტინაციას, ოპსონირებას და ნეიტრალიზაციას.



სურ. 10.
ფილტვის სურფაქტანტის ცილების სტრუქტურა¹

¹<http://webs.ucm.es/info/respira/index.php?sec=Overview+of+Lung+Surfactant>

ბაქტერიების ზედაპირზე სურფაქტანტის ლექტინური ბუნების ცილები შეიცნობენ ნახშირწყლებს – მანოზასა და N-აცეტილგლუკოზამინის ნაშთებს. ყველაზე დიდი რაოდენობით სურფაქტანტი SP-A არის წარმოდგენილი, რომელიც შედგება 18 სუბერთეულისაგან. SP-A-სურფაქტანტის N-კიდურა დომენის თითოეული სუბერთეული შეიცავს კოლაგენის მსგავს მიმდევრობას, C-კიდურა კი – Ca-დამოკიდებული ლექტინების მსგავს მიმდევრობას. ნახშირწყალ-დამაკავშირებელ დომენში ნახშირწყლოვანი ჩანართი (ოლიგოსაქარიდული ჯაჭვი) დაკავშირებულია N-ბმით ასპარაგინის ნაშთთან.


სურფაქტანტი-SP-A ფილტვის სპეციფიკურ ცილებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ცილაა. სურფაქტანტის ჰომეოსტაზი SP-A-სურფაქტანტთან არის დაკავშირებული, ასევე მას უკავშირდება მაკროფაგების ფუნქციის რეგულაცია და ტუბულარული მიელინის ფორმირება. ტუბულარული მიელინი მემბრანების უნიკალური ექსტრაუჯრედული ტინარია, როდესაც მემბრანის ბიშრეს ლიპიდები წარმოქმნიან ფოსფოლიპიდების მონომოლეკულურ შრეს ჰაერი/სითხეს შიდა ზედაპირზე. მწვავე რესპირატორული სინდრომის დროს ტუბულარული მიელინის განლევა SP-A დეფიციტთან კორელირებს. სურფაქტანტის SP-A და SP-D ცილოვანი კომპონენტებით „მონიშნული“ ბაქტერიები ფაგოციტირდებიან ალვეოლური მაკროფაგებით. ამრიგად, ცილოვანი კომპონენტები SP-A და SP-D უზრუნველყოფენ არასპეციფიკურ ანტიმიკრობულ დაცვას. მათი მოქმედება სპეციფიკურ ხასიათს ატარებს. კერძოდ, ქმედება დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე: მიკროორგანიზმების ტიპზე, ჰათოგენის ზრდის ფაზაზე, და სხვ. ყველა შემთხვევაში სურფაქტანტის ლიპიდები – ფოსფატიდილქოლინი და ფოსფატიდილგლიცეროლი შემაკავებელ, ანტიანთებით თვისებას ავლენენ. SP-A ინვევს რიგი პროცესების სტიმულაციას, რომლებიც ითრგუნება სურფაქტანტის ლიპიდებით. სურფაქტანტის მცირე ლიპიდური კომპონენტები ფოს-

ფატიდილეთანოლამინი და სფინგომიელინი ასევე ხასიათდებიან მასტიმულირებელი აქტივობით. სურფაქტანტის კომპონენტების იმუნური უჯრედების ფუნქციაზე ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო გავლენა ამტკიცებს, რომ ალვეოლების ამომფენ შრეში სურფაქტანტის ამა თუ იმ კომპონენტის შედარებითი სიჭარბე განსაზღვრავს ფილტვში იმუნური უჯრედების იმუნურ სტატუსს.

სურფაქტანტი D II ტიპის ალვეოციტებში და არაცილიალურ ბრონქულ უჯრედებში წარმოიქმნება. სურფაქტანტი D უკავშირდება გრამუარყოფითი ბაქტერიების მრავალ სახეობას, მათ შორის *Pseudomonas aeruginosa*, *Klebsiella pneumonia*, *Haemophilus influenza*, ასევე გრამდადებით ბაქტერიებს, მათ შორის *Streptococcus pneumonia* და *Staphylococcus aureu*. სურფაქტანტი D აკავებს A ვირუსით გამოწევეულ ინფექციას, ინვეს ვირუსის ნაწილაკების აგრეგაციას და ნეიტროფილებით მათ შთანთქმას. ბავშვებში მწვავე რესპირატორული ანთებით ბრონქულ სითხეში შემცირებულია SP-A და SP-D კომცენტრაცია.

ცილოვანი კომპონენტები SP-B და SP-C უზრუნველყოფენ ფოსფოლიპიდური შრის სტაბილიზაციას. ყველა მონაცემი ცხადყოფს, რომ დარღვევები სურფაქტანტის სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფილტვების მრავალი დაავადების პათოგენეზში.

ორსულობის 28-ე კვირამდე ნაყოფის ფილტვებში მხოლოდ სფინგომიელინი სინთეზირდება. ჩვეულებრივ, ამ დროისთვის II ტიპის ეპითელურ უჯრედებში დაგროვილი გლიკოგენი ხმარდება ცხიმოვანი მჟავების სინთეზს, შემდგომ დიპალმიტოილლეციტინის წარმოქმნას. ნაყოფის ფილტვების მომწიფებისას ნათლად ჩანს კავშირი უჯრედშიდა ლამელარული სხეულების (ფოსფატიდილექოლინის დამგროვებელი ორგანელები) რაოდენობის გაზრდასა და ამ უჯრედებში გლიკოგენის რაოდენობის შემცირებას შორის.



Nature Reviews | Immunology

სურფაექტანტის ცილები¹


სურფაექტანტი A (SP-A)

სურფაექტანტი A (SP-A) და SP-D პოტენციურად უკავშირდებიან მთელ რიგ რეცეპტორებს, მათ შორის SP-R210, Toll-მსგავსი რეცეპტორი 2 (TLR2), TLR4, სიგნალის მაინჯიბირებელი რეგულატორული ცილა-α (SIRP- α) და CD91-კალრეტიკულინი. SP-A უკავშირდება SIRP- ა და აკავებს ანთებითი მედიატორის წარმოქმნას. როდესაც SP-A დაკავშირებულია პათოგენთან, კოლაგენის მსგავსი მონაკვეთი უკავშირდება CD91-კალრეტიკულინს. NF-κB (ბირთვის ფაქტორები, ანუ ბირთვის მაკონტროლებელი ცილების კომპლექსი); პროტეინ კინაზა PKC; SHP1, SRC ჰომოლოგიური 2 (SH2)-დომენი, რომელიც შეიცავს პროტეინ ტიროზინ ფიროზინ ფოსფატაზა 1.

აღსანიშნავია, რომ როგორც სურფაექტანტის, ასევე ENaC და $3\text{Na}^+/\text{2K}^+$ -ატფ-აზას სინთეზი ინციდება ფეხმძიმობის 28-ე კვირიდან. ამიტომ ნაადრევ ახალშობილებში სუნთქვის დარღვევის სინდრომი შეიძლება განვითარდეს. მშობიარობამდე რამო-

¹ <https://www.nature.com/articles/nri1528>

დენიმე კვირით ადრე ამნიოტური სითხის სკრინინგული ტესტი ავლენს ახალშობილს, რომელსაც აქვს რესპირატორული დისტრესს სინდრომის განვითარების მაღალი რისკი (RDS). ეს გამოკვლევა საშუალებას იძლევა დაიგეგმოს მშობიარობის დრო, განისაზღვროს, საჭიროა თუ არა დედის მიერ გლუკომორტიკოიდული პრეპარატების მიღება ნაყოფის ფილტვების მომწიფების დასაჩქარებლად, ან საჭირო გახდება თუ არა ახალშობილისთვის პრევენციული ღონისძიებების ჩატარება.



Source: Ther Adv Resp Dis © 2008 London: SAGE

სურ. 12.

სურფაეტანტი D-ს (SP-D) მოქმედების მრავალფეროვნება ობსტრუქციული ფილტვის დავადების დროს

SP-D ილუსტრირებულია როგორც დოდეკამერი, 12 მონომერული ჯაჭვის შემცველი ნახშირწყალ-შემცნობი დომენით.

I - SP-D ამცირებს IL-1 β , 6, 8, TNF- α სინთეზს, აძლიერებს აპოპტოზური უჯრედების „განმენდას“, თრგუნავს ლიმფოციტების პროლიფერაციას, არეგულირებს მაკროფაგების პასუხს; II - SP-D ამცირებს ლიპიდების დაუანგვას, ლიპიდების თავისუფალი რადიკალებისა და H₂O₂-ის ნარმოქმნას; III - SP-D იწვევს აგლუტინაციას, ფაგოციტოზის ინდუქციას, „სუნთქვით აფეთქებას“ და აძლიერებს ნეიტროფილების ქემოტაქსისს.

თემა 4

**ალვეოლური სითხე, სატრანსპორტო სისტემები,
იონებისა და ნივლის არხების განაწილება,
სტრუქტურა და ფუნქცია**

4.1. ალვეოლური სითხე

როგორც ალვეოლების აგებულებიდან გამომდინარეობს, ალვეოლების სივრცეში ალვეოციტებსა და სურფაქტანტის შრეს შორის განთავსებულია სითხის თხელი ფენა, რომელსაც **ალვეოლურ სითხეს**, ანუ ჰიპოფაზას უწოდებენ. შედეგად ალვეოლების კედლის შიდა ზედაპირი ნოტიოა. ალვეოლურ სივრცეში არსებული სითხის თხელი ფენა მნიშვნელოვანია გაზთა ცვლის ეფექტურად წარმართვისათვის, ეს გარემოება ხელს უწყობს გაზების გაადვილებულ სწრაფ დიფუზიას. ალვეოლური სითხე ასევე უზრუნველყოფს სურფაქტანტის ჰიმეოსტაზის და ინპალირებული ტრესინებისაგან – პათოგენებისაგან თავდაცვას, ავსებს ალვეოლური სივრცეს უჯრედულ ზედაპირს, შეიცავს მაკროფაგებს, სათადარიგო სურფაქტანტს, ოსმოფილურ ფირფიტოვან სხეულებს და მათ ფრაგმენტებს, მე-2 ტიპის ალვეოციტების სეკრეციის პროდუქტებს. ფილტვის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებს ალვეოციტების მიერ ტრანსპორტისა და ნივლის გამტარიანობის თვისება, ალვეოლური სითხის მოცულობისა და ელექტროლიტების შემადგენლობის რეგულაცია. სასუნთქი გზების ეპითელიუმის უჯრედებით აქტიურად სეკრეტირდება ან შთანთქმება იონების ლოკალური სტიმულების საპასუხოდ, რითაც შეთანხმებულად რეგულირდება სასუნთქი გზების ზედაპირის თხევადი შრე. ჯერჯერობით გაურკვეველია ფილტვის ზედაპირზე სითხის სეკრეციის, შთანთქმის და მოძრაობის ბალანსი. ასევე არ არის დადგენილი გააჩნია თუ არა ალ-


ვეოლას შიდა ალვეოლური იონი/სითხის ტრანსპორტის ან გამოყოფის რეგულაცია, როგორ ხდება სასუნთქი გზებისა და ალვეოლების კოორდინაცია, კავშირის დამყარება სასუნთქი გზების ზედაპირთან.

უკანასკნელ ათწლეულში ჩატარებული მრავალი კვლევის საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ ალვეოლური სითხის მოცულობა და შემადგენლობა რეგულირდება გახსნილი ნაერთების ტრანსპორტით ალვეოლურ ეპითელიუმში ალვეოლურ ზედაპირსა და სივრცეებს შორის ნატრიუმის აქტიურ ტრანსპორტთან ერთად. ნატრიუმის ტრანსპორტი კი წარმოქმნის ოსმოსურ წნევას, რაც განაპირობებს წყლის მოძრაობას.

ფილტვის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებს ალვეოციტების მიერ ტრანსპორტისა და წყლის გამტარიანობის თვისება, ალვეოლური სითხის მოცულობისა და ელექტროლიტების შემადგენლობის რეგულაცია. ნაყოფის მდგომარეობაში ალვეოლური ეპითელური უჯრედები მონაწილეობენ სითხის სეკრეციაში განვითარებად ალვეოლებში და სასუნთქ გზებში. დაბადებამდე რამოდენიმე ხნით ადრე, ჰაერით სუნთქვაზე გადასვლის მომზადების მიზნით, სითხის სეკრეცია წყდება და იწყება ფილტვებიდან სითხის გაძლიერებული შთანთქმა. ეს ცვლილება ვლინდება ელექტროლიტების ტრანსპორტულ თვისებებზე.


ითვლება, რომ ალვეოლური სითხე პირველადი ელემენტია აირი-სისხლის ბარიერის გადაღახვაში. ამ ბარიერის ფორმირებაში მონაწილეობს სითხის თხელი შრე (1), რომელიც ფარავს ეპითელური უჯრედების აპიკალურ მემბრანას, ეპითელური უჯრედების შრე (2), ბაზალური მემბრანა (3) და ენდოთელური უჯრედები (4).

ფილტრი ალვეოლური სითხეს მოცულობის ცვლილება



სურ. 13.

ფილტრი ალვეოლური სითხის მოცულობის
ცვლილების სქემატური გამოსახულება¹



¹ [Front. Physiol., 22 May 2012 | doi: 10.3389/fphys.2012.00146 Why do we have to move fluid to be able to breathe? Martin Fronius*, Wolfgang G. Clauss and Mike Althaus]

სურათზე წარმოდგენილია სქემატური გამოსახულება თუ როგორ რეგულირდება ალვეოლური სითხის მოცულობა და შემადგენლობა იონების ტრანსეპითელური ტრანსპორტით. ალვეოლური სითხის მოცულობა და შემადგენლობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს გაზთა ცვლაში და ფილტვების იმუნური პასუხის რეალიზაციაში. სურფაექტანტის მოლეკულები ალვეოლურ სითხესთან ერთად ზემოქმედებენ აირების დიფუზიაზე. გარდა აღნიშნულისა, ალვეოლური სითხის შემადგენლობა გავლენას ახდენს ფილტვებში იმუნური პასუხის ჩამრთველი სხვადასხვა ფაქტორების აქტივობაზე, მათ შორის სურფაექტანტი, ანტიმიკრობული პეპტიდები, დეფენზინები (18-45 ამინომჟავას ნაშთისაგან შემდგარი იმუნური სისტემის კათიონური პეპტიდები, ანადგურებენ ფაგოციტოზის დროს შთანთქმულ ბაქტერიებს, მათ მებრანაზე ფორების წარმოქმნის მექანიზმით), ციტოკინები, ალვეოლური მაკროფაგები.

ალვეოლურ სითხეში იხსნება უანგბადი, რომელიც შემდგომ დიფუნდირებს ალვეოციტებში. პროცესი გარკვეულწილად ევოლუციას უწრებდება, როდესაც ერთეული უჯრედები შთანთქავდნენ უანგბადს წყლიდან.

როგორც ცნობილია, ნაყოფში გაზთა ცვლას პლაცენტა უზრუნველყოფს. ფილტვები ანატომიურად ვითარდება მთელი ფეხმძიმობის განმავლობაში, ფეხმძიმობის 25-ე კვირაზე ფორმირდება კარგად განვითარებული ალვეოლები. ამ პერიოდის განმავლობაში ნაყოფის ფილტვებში ალვეოლური ეპითელური უჯრედებით განუწყვეტლივ წარმოიქმნება სითხე – ტრანსსუდატი ფილტვის კაპილარებიდან და მცირე რაოდენობით სურფაექტანტი. დაბადებამდე რამოდენიმე ხნით ადრე, პლაცენტარულიდან ატომსფერულ სუნთქვაზე ეფექტურად გადასვლის მიზნით წყდება სითხის სეკრეცია და იწყება ფილტვებიდან სითხის გაძლიერებული შთანთქმა-რეაბსორბცია. პერინატალურ პერიოდში ეს პროცესი განპირობებულია ნატრიუმის იონების ტრანსეპითელური აქტიური ტრანსპორტით. იონების აქტიური ტრანსპორტი ალვეოლური ეპითელიუმში ქმნის ოსმო-

სურ გრადიენტს, რაც იწვევს წყლის რეაბსორბციას პერინატა-ლურ პერიოდში და ზრდასრულ ფილტვებში.


ყოველი ზემოთ ხსენებული ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ალვეოციტების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის იონური ბალანსის დაცვა და, შესაბამისად, იონური არხების სრულყოფილი მუშაობა. შედარებით უკეთესად შესწავლილია კათიონების სატრანსპორტო სისტემები, თუმცა ასევე დიდი ყურადღება ექცევა ანიონების მოძრაობის ზუსტი გზების დადგენას. ანიონურ არხებს შეუძლიათ წარმოქმნან კო-იონური გზები ნატრიუმისა და ქლორის იონების მოძრაობისათვის ან სეკრეტორული გზით განაპირობონ ალვეოლური სითხეს მოცულობის გაზრდა.

სასუნთქი გზების ეპითელიოციტებსა და ალვეოციტებში წარმოდგენილია Na^+ -ის, კალიუმის, კალციუმის და Cl^- -ის იონებისა და წყლის არხები.

4.2. წყლის არხები – აკვაფორინები

ალვეოციტებში წყალი ტრანსუჯრედული და უჯრედშორისი მიმართულებით გადაადგილდება. ეპითელიუმის წყლის არხი აკვაფორინი იქმნება დაბალმოლეკულური (30 kDa) ინტეგრალური ცილებით, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც წყლისა და ზოგიერთი პოლარული მოლეკულების (მაგ., გლიცეროლის) მემბრანული გადამტანები. განასხვავებენ აკვაფორინების 13 ნაირსახეობას სპეციფიკური ექსპრესიით ეპითელურ, ენდოთელურსა და სხვა ქსოვილებში. ადამიანის ფილტვებში ექსპრესიონება შემდეგი აკვაფორინები: AQP1, AQP3, AQP4 და AQP5. AQP1 ექსპრესიონება სასუნთქი გზების შემომსაზღვრელ მიკროვასეულარულ ენდოთელიუმის უჯრედებში, აპიკალურ და ბაზალურ მემბრანაში, ასევე ზოგიერთ პნევმოციტში, AQP3 – ზედა სასუნთქ გზებში (ცხვირხახა, ტრაქეა), ეპითელიუმის ბაზალური უჯრედების მემბრანაში, ასევე II ტიპის ალვეოციტების მემბრანაში, AQP4 – როგორც მსხვი-

ლი-ზედა, ასევე მცირე-ქვედა სასუნთქი გზების ეპითელიუმში) და AQP5 ექსპრესირდება | ტიპის ალვეოლურ ეპითელურ უჯრედებში და სასუნთქი გზების ეპითელური უჯრედების (ლორნექვეშა ჯირკვლების უჯრედებში) აპიკალურ მემბრანაზე (სურ. 8). უჯრედებს შორის მკვრივი კავშირები უზრუნველყოფენ მემბრანული ცილდების ასიმეტრიულ განლაგებას. უჯრედების მემბრანა შეიცავს ონიოსელექტიურ არხებს, რომლებიც არეგულირებენ Na^+ -ისა და Cl^- -ის ონების გადატანას. ონების გადატანას თან სდევს წყლის ტრანსუჯრედული დიფუზია.



სურ. 14.


აკვაფორინების განანილება ალვეოლაში

- 1 – წამნამებიანი სვეტისებური უჯრედები; 2 – გობლეტის უჯრედი; 3 – ბაზალური უჯრედი, AQP – წყლის არხი – აკვაფორინი

4.3. ნატრიუმის მატრანსპორტირებელი სისტემები, მარეგულირებელი ნაერთები

ეპითელური Na^+ -ის არხი (ENaC). Na^+ -ის ონი ექსტრაუჯრედული სითხის მთავარი ონია. ეპითელურ უჯრედებში, მათ შორის ალვეოლურ ეპითელიუმში, ნატრიუმის ტრანსპორტს

ENaC-არხი არეგულირებს (სურ. 9), თუმცა, ნატრიუმი გადაადგილდება, ასევე, კოტრანსპორტის მექანიზმით და ახასიათებს უჯრედშორის ტრანსპორტი. Na^{+} -ის იონი აბსორბირდება ორივე ტიპის ალვეოციტებით ნატრიუმის არხით. არხი სელექტიური არხების ტიპს განეკუთვნება, განასხვავებენ მაღალი სელექტიურობის (HSC) და არასელექტიური არხის (NSC) ტიპებს. 1 ტიპის ალვეოციტებში კი – ციკლური-ნუკლეოტიდ-დაფიშკრული არხის ტიპის ნატრიუმის არხია გამოვლენილი (CNGC). არხები უჯრედის აპიკალურ მემბრანაშია განთავსებული. არხი არ ავლენს ჰომოლოგიას პოტენციალდამოკიდებულსა და ქოლინრეცეპტორულ არხებისადმი.





სურ. 15.

სასუნთქი გზების უჯრედებისა და ალვეოციტების
მემბრანაში წყლის არხებისა და იონური არხების
განაწილების სქემატური გამოსახვა

იონების ტრანსპორტის რეგულაცია მიმდინარეობს ტრანსკრიპციულ და პოსტტრანსკრიპციულ დონეზე. იონების ტრანსპორტის ძირითადი რეგულატორებია ჰორმონები – ალდოსტრონი, ანტიდიურეზული ჰორმონი, კორტიზოლი და ატრიულ ნატრიურეზული პეპტიდი, რეგულაციას ანარმობს, ასევე, სუპეროქსიდიონი. ჰორმონების ზემოქმედება არხების ფუნქციაზე განსხვავებულია.


ალვეოლებსა და სასუნთქი გზების ეპითელიუმში იონური ტრანსპორტის მოდელი: სასუნთქი გზების ეპითელიუმში პერიცილიალური სითხის მოცულობისა და მუკოცილიალური კლირენსისათვის აუცილებელია წონასწორობის შენარჩუნება Na^+ -ის შთანთქმასა და Cl^- -ის სეკრეციას შორის. ბაზოლატერალური მემბრანის Cl^- -ის სეკრეცია მოიცავს Cl^- -ის შესვლას ბაზოლატერალური $\text{Na}^+-\text{K}^+-2\text{Cl}^-$ ან K^+-Cl^- კომპრანსპორტიორის საშუალებით, მისი მომდევნო გასვლით აპიკალური მემბრანის Cl^- არხების მეშვეობით, მათ შორის კისტური ფიბროზის ტრანსმემბრანული გამტარებლობის რეგულატორი CTR-არხი. კისტური ფიბროზის, მუკოვისციდოზის დროს არხის დისფუნქციის შედეგად მცირდება Cl^- -ისა და სითხეს სეკრეცია. Na^+ -ის აბსორბცია ალვეოლური ეპითელიუმით (ATI და ATII-უჯრედები) მოიცავს Na^+ -ის პასიურ შესვლას აპიკალური მემბრანის Na^+ -ის არხით (ENaC), მისი მომდევნო განდევნით უჯრედიდან ბაზოლატერალურ მემბრანაზე ლოკალიზებულ Na^+-K^+ -ატფ-აზათი. K^+ -ის იონები რეციკლირდებიან ბაზოლატერალურ მემბრანაზე ლოკალიზებული შესაბამისი კალიუმის არხით.



სურ. 16.
სატრანსპორტო მექანიზმები სასუნთქ გზებსა
(A) და ალვეოლების ეპითელიუმში (B)¹
 PCL – პერიცილიალური, ანუ სასუნთქი გზების სითხე

¹ <http://journals.plos.org/plosone/article?id=10.1371/journal.pone.0124833>


ამრიგად, სასუნთქ გზებში (A) და ალვეოლების ეპითელიუმში (B) ლოკალიზებული სატრანსპორტო სისტემების უმეტესობა წარმოდგენილია: 1. **Na⁺-ის არხებით**, მათ შორის მაღალი სელექტიურობის **HSC (ENaC)** არხი; ციკლური ნუკლეოტიდ-დაფიშკრული **CNG** ნატრიუმის არხი; არასელექტიური **NSC-არხი**; 2. **ქლორის არხები**: CFTR-არხი და Ca^{2+} აქტივირებული ქლორის არხი CACC; 3. K^+ -ის არხები, 4. **$\text{Na}^+ \text{-K}^+ \text{-ATP აზიანუმბო}$** , 5. $\text{Na}^+ \text{-K}^+ \text{-}2\text{Cl}^-$ ან $\text{K}^+ \text{-Cl}^-$ კოტრანსპორტიორი, 6. წყლის არხი აკვაპორინი **AQP**.



სურ. 17.
ალვეოციტებში ონების ტრანსპორტის
მიმართულების სქემატური გამოსახვა

წარმოდგენილი სქემის თანახმად, Na^+ -ის იონის გადასვლას ლორწევება სივრცეში ანარმოებს $3\text{Na}/2\text{K}^+ \text{-ATP-აზა}$, რომელიც ბაზოლატერალურ მემბრანაზეა ლოკალიზებული და ფუნქციონირებს, როგორც ელექტროგენური ტუმბო ($3\text{Na}/\text{K}^+$). K^+ -იონები K^+ -ის ახებით განიდევნება. Na^+ -ის იონების ტრანსპორტს თან ახლავს ქლორის იონების (Cl^- -ის) გადაადგილება როგორც ეპითელიუმის უჯრედების გადაკვეთით (ტრანსუჯრედულად),


ასევე უჯრედშორისი სივრცითს კონცენტრაციული გრადიენტის მიმართულებით, რომელიც იქმნება ზემოთ ხსენებული სისტემებით. დადგენილია, რომ მე-2 ტიპის ალვეოციტებში აპიკალური მემბრანიდან აქტიურად აბსორბირდება Na^+ -ის იონები და წყალი. შემდგომ, ბაზოლატერალურ მემბრანაზე ლოკალიზებული Na/K^+ -ATP-აზას მეშვეობით Na^+ -ის იონები განიდევნება უჯრედიდან. ამასთანავე, ერთდროულად ამ უჯრედების აპიკალურ მემბრანაზე სასუნთქი გზების სანათურისკენ იწყება Cl^- -ის იონების აქტიური სეკრეცია Cl -სელექტიური არხების მეშვეობით. ეს პროცესი აუცილებელია ეპითელიუმის სეკრეტორული ფუნქციისათვის. უჯრედებში Cl^- -ის იონების შეღწევას ალვეოციტების ბაზოლატერალურ მემბრანაზე ლოკალიზებული $\text{Na}-\text{K}^+-2\text{Cl}^-$ -ის გადატანის კოტრანსპორტული მექანიზმი უზრუნველყოფს. ამასთანავე, ქლორის იონების ტრანსუჯრედული ტრანზიტის აუცილებელ პირობას უჯრედშიდა კალციუმის აუცილებელი კონცენტრაციაა. ამრიგად, ალვეოციტებში ქლორის იონის შესვლა ($\text{Na}-\text{K}^+-2\text{Cl}^-$ -ის კოტრანსპორტი) და უჯრედიდან გასვლა (აქტიური სეკრეცია აპიკალური მემბრანიდან) Ca -დამოკიდებული პროცესებია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლორნოვანი შრის ერთი და იმავე მონაკვეთებით ხდება აბსორბციაც და სეკრეციაც, ვინაიდან სასუნთქი გზების სხვადასხვა მონაკვეთების ეპითელური უჯრედები, რომლებიც ელექტროლიტურ ტრანსპორტს ანარმობენ, მორფოლოგიურად და ფუნქციურად არ განსხვავდებიან. შესაბამისად, ბალანსი აბსორბციის და სეკრეციის პროცესებს შორის განსაზღვრავს ლორნოს სისქეს და შემადგენლობას.



სურ.18.
ალვეოციტებში იონური არხების
განაწილების სქემატური გამოსახულება¹

Na⁺-ის არხი შედგება α-, β- და γ-სუბერთეულებისაგან. α-სუბერთეული სინთეზირდება სტრუქტურული გენებით, β- და γ-სუბერთეულების სინთეზი რეგულირდება ალდოსტერონით. თითოეული სუბერთეული შეიცავს 4 განსხვავებულ დომენს: ციტოპლაზმურ N-კიდურას, გრძელ ექსტრაუჯრედულ მარყუჟს, ორ მოკლე ჰიდროფიბულ სეგმენტს და ციტოპლაზმურ C-კიდურას. არხის β- და γ-სუბერთეულები პასუხისმგებელნი არიან მემბრანის ზედაპირზე არხის ფუნქციონირებაზე. არხი უზრუნველყოფს ალვეოციტში Na⁺-ის იონების პასიურ ტრანსპორტს კონცენტრაციული გრადიენტის მიხედვით.

¹ <https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fphys.2012.00146/full>



სურ. 19.

ალვეოციტების (II ტიპი) ეპითელური Na^+ -არხის
ENaC არხის სტრუქტურული გამოსახულება¹
ყვითელი ფერის – α -სუბერთული, ნარინჯისფერი –
ალფოსტერონით რეგულირებადი β - და γ -სუბერთულები

$3\text{Na}/2\text{K}^+ \text{-ATP}$ -აზა აწარმოებს ენერგოდამოკიდებულ Na^- -ის განდევნას კონცენტრაციული გრადიენტის საწინააღმდეგოდ ბაზოლატერალურ მემბრანაში ციტოპლაზმიდან ინტერსტიციუმში. მექანიკური ვენტილაცია მიმდინარეობს ფილტვის სითხის კლირენსთან ერთად და რეგულირდება **$3\text{Na}/2\text{K}^+ \text{-ATP}$** აზათი. **$3\text{Na}/2\text{K}^+ \text{-ATP}$** -აზა შედგება a - და b -სუბერთულებისაგან, a -სუბერთული სტრუქტურული გენებით, b -სუბერთულის სინთეზი კი რეგულირდება ტრანსკრიპციის დონეზე. ეპითელური Na^- -ის არხები წარმოქმნიან ტრანსეპითელურ ოსმოსურ გრადიენტს, რომელიც განაპირობებს ალვეოლური სივრციდან სითხის მოძრაობას.


¹ Cooperation with Prof. Dr. Jean-Daniel Horisberger, Pharmacological Institute, University of Lausanne

ნატრიუმის არხისა და Na/K -ATP-აზას სტრუქტურული კომპონენტები განსხვავებული მექანიზმებით რეგულირდებიან. ამ სუბერთეულების სინთეზს არეგულირებს განსხვავებული ჰორმონები. შესაბამისად, ნატრიუმის იონების ტრანსპორტი ჰორმონების გავლენით რეგულირდება.

ადრენალინის ეფექტი აპიკალურ მემბრანაში ვლინდება ENaC-ს ინტერნალიზაციაში, ხოლო ბაზოლატერალურ მემბრანაში კი **$3\text{Na}/2\text{K}^+$ -ATP** აზა-ს სწრაფ ინტერნალიზაციაში. ადრენალინის მოქმედებით ძლიერდება Na -ის იონების რეაბსორბცია. ადრენალინის ეფექტი რეალიზდება β_1 -/ β_2 -ადრენორეცეპტორებით, მეორადი მესენჯერი – ციკლიური **ამფ**. ციკლური ამფ-ის დონეს მატება აძლიერებს Na -ის ტრანსპორტს II ტიპის ალვეოციტებში Na -ის არხების გახსნით და **$3\text{Na}/2\text{K}^+$ -ATP** აზა-ს ა-სუბერთეულის ფოსფორილირებით. Na -ის არხები ციტოჩრონჩის ცილებთან (აქტინი, ანკირინი, ფოდრინი, სპექტრინი) არის დაკავშირებული, ამიტომ მათი გახსნა განპირობებულია ციტოჩრონჩის ცილების ფოსფორილირებით. ფილტვების შეშუპების დროს β -აგონისტები აძლიერებენ სითხის კლირენსს, აეროზოლის სახით მიღებისას კი – აჩქარებენ სითხის განვვას.

კორტიზოლი და **ალდოსტერონი** მინერალოკორტიკოიდების რეცეპტორების მეშვეობით არეგულირებენ Na -ის არხის ENaC-ის a-სუბერთეულის და **$3\text{Na}/2\text{K}^+$ -ATP** აზა-ს b-სუბერთეულის **მრნმ** ტრანსკრიპციის სიჩქარეს, შედეგად ეს ჰორმონებიც აძლიერებენ Na -ის იონების რეაბსორბციას. ამასთანავე, კორტიზოლი ასევე აძლიერებს სურფაქტანტის სინთეზს. ალვეოციტებში (II ტიპი) ნატრიუმის არხის ყველა სუბერთეულის ინფრნმ-ი სინთეზირდება, ხოლო ბ- და გ-სუბერთეულების სინთეზი რეგულირებადი პროცესია. მათი რაოდენობა მატულობს **ალდოსტეროლისა** და **დექსამეტაზონის** გავლენით. ალიმნული ჰორმონები განსაზღვრავენ იონური არხის სელექტიურობას. კერძოდ, ალდოსტერონის დეფიციტის დროს სინთეზირდება კათიონ-არასელექტიური არხი NSC, ხოლო ალდოსტერო-

ნის ნორმალური დონის დროს სინთეზირდება მაღალი კათიონ-სელექტიური HSC არხი. I ტიპის ალვეოციტებში კი ექსპრესირდება ENaC არხის ყველა სუბერთეული.




სურ. 20.
ფერმენტ Na/K^+ -ATP აზა-ს სქემატური გამოსახულება

ატრიული ნატრიურეზული ჰეპტიდი (ANP) სინთეზირდება და სეკრეტირდება მარცხენა წინაგულის კარდიომიცეტების გაჭიმვისას, იწვევს Na -ის იონების რეაბსორბციის შეკავებას და აძლიერებს იონის სეკრეციას. რეცეპტორთან ANP-ის დაკავშირებისას ინდუცირდება **ფ-გმფ-ის** სინთეზი და კავდება ENaC-ისა და **$3\text{Na}/2\text{K}^+$ -ATP** აზა-ს ინტერნალიზაცია, ამიტომ ANP შესაძლოა გულისა და ძარღვების დაავადების დროს ფილტვების შეშუპებისა და პნევმონიის პათოგენეზის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს.

II ტიპის ალვეოციტებში ჰიპოქსიაზე საპასუხოდ მიტო-
ქონდრიებში წარმოიქმნება სუპეროქსიდ-იონი, რომელიც
ტრანსკრიპციის ფაქტორის NF-кB აქტივაციით აკავებს ENaC-
ის $a\text{-Na}/2K^+$ -ATPაზა-ს $b\text{-Na}/2K^+$ -ATPაზა-ს მ-რნმ ტრანსკრიპციას. სუპეროქსიდ-იონი კორტიზოლისა და
ალდოსტრონის ფუნქციური ანტაგონისტია.

სასუნთქი სისტემის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან
როლს ასრულებს ეპითელური უჯრედების მემბრანაში გან-
თავსებული ქლორის არხი. ეს ტიპური ანიონ-გამტარი არხის
სტრუქტურის მქონე სელექტიური არხია. არხი, უპირატესად,
ქლორის იონებისადმი არის გამტარი და შეზღუდულად გან-
ვლადია HCO_3^- იონებისადმი.



სურ. 21.

ალვეოლებში წყლისა და იონების
ტრანსპორტის რეგულაცია

4.4. კალიუმის არხები

Na⁺-ის რეაბსორბციისა და Cl-სეკრეციის დაბალანსების-თვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კალიუმის არხები. ეს არხები არეგულირებენ ეპითელური უჯრედების მემბრანულ პოტენციალს და, შესაბამისად, ელექტროდიფუზიური ნატრიუმის შესვლის და ქლორის გადინების მამოძრავებელ ძალას (Wilson et al., 2006; Greenwood et al., 2009; Mall et al., 2000, 2003). ფილტვებში გამოვლენილია კალიუმის არხების ჰეტეროგენურობა, 40-მდე ტრანსკრიპტი (Bardou et al., 2009). თუმცა, შეზღუდულია მონაცემები ფილტვის ეპითელურ უჯრედებში კალიუმის არხების ფიზიოლოგიურ როლზე მემბრანული პოტენციალის კონტროლსა და მის შენარჩუნებაში. გაუგებარია, თუ რით არის განპირობებული ფილტვის ეპითელურ უჯრედებში კალიუმის არხების ასეთი ნაირსახეობა. Kv-ის არხების ნაირსახეობიდან გარკვეული ტიპის არხები (Kvα1.5 და Kvα2.1) ავლენენ მგრძნობელობას O₂-სადმი სისხლძარღვოვან გლუკოზითოვან უჯრედებში. ალვეოლურ უჯრედებში ექსპრესიონი Kv1.1, Kv4.3 და Kv9.3-ტიპის არხები, რომლებიც O₂-ით რეგულირდებიან. თუმცა, შეცნობისა და რეგულაციის მექანიზმი ჯერჯერობით უცნობია.

4.5. ქლორის არხები

ქლორის იონები ეპითელურ უჯრედებში გადაადგილდება როგორც ტრანსუჯრედული მექანიზმით, ასევე უჯრედშორის ელექტროქიმიური გრადიენტის მიმართულებით. ალვეოციტებში ქლორის ტრანზიტს უზრუნველყოფს ბაზოლატერალურ მემბრანაზე ლოკალიზებული Na⁺-K⁺-2Cl⁻ კოტრანსპორტული მექანიზმი. ქლორის ტრანზიტის აუცილებელ პირობას უჯრედშიდა კალციუმის კონცენტრაცია წარმოადგენს. ამრიგად, ქლორის იონების უჯრედში შესვლა (Na⁺-K⁺-2Cl⁻-კოტრანსპორ-


ტი) და გამოსვლა (აქტიური სეკრეცია აპიკალური მემბრანი-დან) Ca^{2+} -დამოკიდებული პროცესია.

კისტური ფიბროზის ტრანსმემბრანული გამტარებლობის რეგულატორს უწოდებენ (**CFTR**, cystic fibrosis transmembrane conductance regulator), მისი დეფიციტი გამოვლენილია კისტური ფიბროზით დაავადებულთა ფილტვში. აღსანიშნავია, რომ CFTR-ით დაავადებული პაციენტები იპადებიან ფილტვის მორფოლოგიურად ნორმალური აგებულებით, რაც განვითარებად ფილტვში სითხის სეკრეციაში ქლორის იონების სხვა არხების მონაწილეობაზე მიანიშნებს. ფილტვის ეპითელურ უჯრედებში ფართოდ ექსპრესირდება **CLC-2** ვოლტაჟ-დაჭიშკრული ქლორის არხი, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორია ნაყოფის ფილტვის სეკრეციის რეგულაციაში. ფუნქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ იონების ტრანსპორტით. არხი, ამასთანავე, არეგულირებს სეროზულ უჯრედებში სულფატირებული პროტეოგლიკანების სინთეზსა და სეკრეციას. სულფატირების ხარისხი კი რეგულირდება CFTR-თა და რეტინოის მუავათი (ვიტამინი ა). არხის მუტაციებით განასხვავებენ Ca^{2+} -აქტივირებულ Cl^- -ის არხს და ვოლტაჟ-დაჭიშკრულ (CLC) ქლორის არხებს (CLC-2, -3 და -5). არხის აქტივობა რეგულირდება პროტეინ კინაზა A-თი რეგულატორული დომენის ცილის სერინის ნაშთების ფოსფო-რილირებით და უჯრედშიდა ატფ-ით. არხი გლიკოზილირებულია, ნახშირნყლოვანი ჩანართები წარმოქმნიან უჯრედგარე მარყუჟს. ქლორის იონების გადატანის რეგულაციაში მნიშვნელოვანი მედიატორია ც-ამფუ.

ქლორის არხები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უჯრედის მემბრანის მოსვენების პოტენციალისა და უჯრედის მოცულობის შენარჩუნებაში. ქლორის არხები ატარებენ ასევე სხვა ანიონებსაც: HCO_3^- , Γ , SCN^- და NO_3^- . ქლორის არხის სტრუქტურა განსხვავდება სხვა ცნობილი არხებისაგან. ზოგიერთი ქლორის არხი აქტივირდება ვოლტაჟით, ზოგი – Ca^{2+} -ის იონებით, უჯრედგარე ლიგანდებით და pH-ით.

4.6. ქლორის არხის სტრუქტურა

ქლორის არხი შედგება ცილისაგან სახელწოდებით ქლორის არხის ტრანსმემბრანული რეგულატორი ცილა **CF trans-membrane regulator (CFTR)**. მისი ნორმალური ფუნქციონირება მდგომარეობს უჯრედებიდან ქლორის ონების გასვლის კონტროლირებაში. ცილა შედგება 1480 ამინომჟავას ნაშთისაგან, ცილა წარმოადგენს გლიკოპროტეინს. R-დომენი უკავშირდება ფოსფატის ჯგუფს და ორივე დამატებითი ატფ-დამაკავშირებელი საიტების ატფ-თან დაკავშირება/გახლეჩა არეგულირებს არხის გახსნა-დახურვას.



სურ. 22.1.

CFTR არხი ღია მდგომარეობაში,

CFTR არხი დახურულ მდგომარეობაში.¹

I საფეხური – არხი დახურულია (სურ.13, 13ა);

II საფეხური – ფოსფატის ჯგუფი (P) უკავშირდება R-დომენს,


ციკლური ამფ (cAMP) ასტიმულირებს ენზიმს პროტეინ კინაზას (PKA) ფოსფატის ჯგუფის დასამატებლად;

III საფეხური უკავშირდება ატფ;


IV საფეხური – ატფ-ის ჰიდროლიზი ADP+P_i;

V საფეხური – არხის ფორმა იცვლება და Cl⁻-ის არხი იხსნება

¹ <https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fphys.2012.00146/full>



სურ. 22.2.¹



სურ. 23.

ნორმალური და კისტური ფიბროზით დაავადებულ
ბრონქულ ეპითელიუმში pH-ის რეგულაციონული
მექანიზმის სქემატური გამოსახვა²

ASL – სასუნთქი გზების ზედაპირის სითხე. pH-ის შემცირების
გავლენა კისტური ფიბროზით დაავადებული სასუნთქი
გზების ეპითელიუმის ფუნქციაზე.

¹ <http://fig.cox.miami.edu/~lfarmer/BIL265/BIL2001/cfsciam.html>

² [R. D Coakley, R. C Boucher. Regulation and Functional Significance of Airway Surface Liquid pH. International Symposium on "HCO₃⁻ AND CYSTIC FIBROSIS". San Diego, CA (USA). March 3-5, 2001].

უკანასკნელი წლების მონაცემებით, CFTR- არხი მნიშვნელოვანი როლს ასრულებს, ასევე, სასუნთქი გზების ზედაპირის სითხის (ASL) pH-ის რეგულაციაში. არხის მეშვეობით ხდება ბიკარბონატის / ქლორის გატარება.

ალვეოლებში სუნთქვის პროცესში (რესპირაციის) ნახშირორულანგის განდევნისას მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ალვეოლების პროტონული არხები. Cl / HCO_3 -ანტიპორტი მდებარეობს ბაზოლატერალურ მემბრანაზე, ხოლო აპიკალურ მემბრანაზე განთავსებულია უნიპორტი HCO_3 -ის განდევნისათვის და $\text{Na}^+ / \text{HCO}_3$ სიმპორტი. ეს უკანასკნელი ინტერსტიციუმში განაპირობებს ალკალიზაციას და უჯრედის გარეთ მიმართულ ელექტროქიმიური გრადიენტის წარმოქმნას. HCO_3 -ის ანიონები დაგროვებისთანავე განიდევნება ალვეოლარული ეპითელიუმიდან ალვეოლურ სუბფაზაში Cl / HCO_3 ანტიპორტის მეშვეობით.

როგორ იცავს, უზრუნველყოფს ქლორის არხი მუკუსის ტენიანობის შენარჩუნებას?

კისტური ფიბროზის დროს ქლორის და ნატრიუმის იონების ნაკადი ფუნდამენტურად განსხვავდებიან. როგორც სურ. 13-დან ჩანს, ქლორის და ნატრიუმის იონების არხები განთავსებულია უჯრედის გარე, სავალი გზების სივრცის მიმართულებით. ნატრიუმის არხით ხდება იონების შესვლა უჯრედში, ხოლო ქლორის არხის მეშვეობით ქლორის იონები მიემართება მუკუსში, უჯრედის გარე, სავალი გზების ზედაპირისკენ. შედეგად მუკუსში ჭარბი რაოდენობით გროვდება ქლორის იონები, მყარდება იონური გრადიენტი მარილის მაღალი კონცენტრაციით გარე მიმართულებით. მარილის კონცენტრაციის გათანაბრების მიზნით წყალი გადის უჯრედშორის ნაპრალებით და უზრუნველყოფს მუკუსის დატენიანებას.



კისტური ფიბროზის დროს ქლორის არხი ბლოკირებულია, რაც ვერ უზრუნველყოფს ქლორის იონების მუკუსში გადასვლას. შედეგად არ მყარდება იონური გრადიენტი, რაც ალარ

საჭიროებს წყლის გადასვლას ზედაპირისკენ, ეს განაპირობებს მუკუსის დაშრობას.

აცეტილქოლინი უკავშირდება ქლორის არხს და ინვევს ც-ამფინის ნარმოქმნას, რომელიც, თავის მხრივ, ააქტივებს პროტეინ-კინაზა A-ს, ეს კი განაპირობებს არხის R-დომენის ფოსფორილირებას და შედეგად არხის გახსნას. ქლორის არხი აკავებს ნატრიუმის არხს, ეს კი პასუხისმგებელია ნატრიუმის ტრანსპორტზე ლუმინალური სითხიდან, ამიტომ ეს მნიშვნელოვნად ზრდის ნატრიუმის ტრანსუჯრედულ ტრანსპორტს კისტური ფიბროზის დროს, იზრდება ნატრიუმის ტრანსპორტი უჯრედებში, შედეგად მუკუსი განიცდის დეპიდრატაციას.

4.7. იონების ტრანსპორტი სასუნთქ გზებში

ჯანმრთელი ადამიანის სასუნთქი გზების ეპითელიუმი არეგულირებს აბსორბციული და სეკრეტორული იონების ტრანსპორტს. სასუნთქი გზების ზედაპირზე, როდესაც ჭარბი სითხეა, ეპითელური ENaC-ის მეშვეობით დომინანტობს Na⁺-ის აბსორბცია (სურ. 4, A). ქლორის იონები (Cl⁻) პასიურად აბსორბირდება პარაუჯრედული ნანილით. შედეგად, ორივე უარყოფითად დამუხტული აპიკალური მემბრანის პოტენციალი (Va) და დაბალი უჯრედშიდა Na⁺-ის აქტივობა (-20 მმოლ) ინვევს Na⁺-ის შესვლას უჯრედში. როდესაც დაბალია ალვეოლის ზედაპირის სითხის მოცულობა (airway surface liquid, ASL), არხი ENaC შეკავებულ-ბლოკირებულ პოზიციაშია და აპიკალური მემბრანის პოტენციალი უფრო მეტად უარყოფითი ხდება (ნეგატიურია). შედეგად ინყება Cl⁻-ის სეკრეციის გენერაცია.



სურ. 24.
იონებისა და ლორნოს ტრანსპორტი ნორმალურსა
და ცისტური ფიბროზით დავადებული
ფილტვის სასუნთქ გზებში

ASL – ალვეოლას ზედაპირის სითხის მოცულობა
(airway surface liquid volume).

სქემა B-ზე (სურ. 24) ნაჩვენებია სასუნთქი გზების ზედაპირის სითხის კომპარტმენტები, როდესაც ოპტიმალურად რეგულირდება ალვეოლის ზედაპირის სითხის მოცულობა. სქემაზე გამოსახულია ლორნოს შრე, პერიცილიალური სითხის შრე (PCL), ტრანსპორტისათვის ლორნო ნორმალური სიბლანტისაა.

სქემა C-ზე (სურ. 24) ნაჩვენებია ჭარბი Na^+ , Cl^- , და H_2O -ის აბსორბციის მიმართულებები და მომატებული Na^+ -ის ტრანსპორტის უჯრედული მექანიზმები კისტური ფიბროზის დიაგნოზის მქონე ფილტვის (CF) სასუნთქი გზების ეპითელიუმში. CFTR-ის (cystic fibrosis transmembrane conductance regulator, კისტური ფიბროზის ტრანსმემბრანული რეგულატორის უქონლობა აპიკალურ მემბრანაში გამოათავისუფლებს Na^+ -ის არხს და ზღუდავს ბაზალური ქლორის სეკრეციას (მარცხნივ), შემცირებულია ლორწოვანი შრის მოცულობა, მუცინის ბადე ხდება კომპაქტური და არაგანვლადი.

თემა 5

5.1. სასუნთქი გზების ბიოქიმიური მახასიათებლები

სასუნთქი გზების შიდა ზედაპირი დაფარულია ლორწოს თხელი შრით. ბრონქული სეკრეტი – ლორწო ნარმოიქმნება ბრონქებში გობლეტის უჯრედებში (**goblet cells**). ლორწო შეიცავს წყალში გახსნილ Na^+ , Cl^- , K^+ , Ca^{2+} -ის იონებს, მუცინებს, სულფატირებულ პროტეოგლიკანებს, სურფაეტანტს, ლიზოციმს, ლაქტოფერინს და სეკრეტორულ IgA -ს. ლორწოს კომპონენტი – წყალი, იონები, სურფაეტანტი, სინთეზირდება სასუნთქი გზების განსხვავებულ ადგილებში და ფილტვების რესპირატორულ ნაწილში, მუცინები კი გამოიყოფა ლორწქვება ჯირკვლებით. ბრონქული ლორწოს (სეკრეტის) მნიშვნელოვან კომპონენტს ნეიტრალური და მჟავე მუცინები ნარმოადგენენ. მუცინები (ლათ. **mucus** – ლორწო) მაღალმოლეკულური გლიკოპროტეინებია, გამოვლენილია მემბრანაში და ლორწოს გელში, რომელიც იცავს უჯრედების ზედაპირს. მუცინები ნარმოადგენს ლორწოვან პროტეოგლიკანს, რომელიც გამომუშავდება სპეციალიზებულ უჯრედებში. მუცინიდან გამოყოფილ პოლისექარიდებს მუკოპოლისაქარიდებს უწოდებენ. მუცინების შენებაში ნახშირწყლოვანი ჯაჭვები დაკავშირებულია როგორც O_- , ასევე N -გლიკოზიდური ბმით და, შესაბამისად, ნარმოქმნიან N - და O -გლიკანებს. მუცინების N - და O გლიკანებს ფერმენტ სულფოტრანსფერაზებით სულფატის ჯგუფები უკავშირდება ეთერების ნარმოქმნით. სულფატირებული ჯგუფები ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (ჩართული არიან) ეპითელური შრის დაცვაში, უჯრედების და ბაქტერიების ადჰეზიაში. სულფატირებულ ეთერებს შეუძლიათ ანტიგენური ან ლექტინის დამაკავშირებელი ადგილების შენიღბვა (მასკირება). მათ შეუძლიათ გლიკოპროტეინების ბიოსინთე-

ზის, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ბიოლოგიური როლის რეგულირება, ასევე ლიმფოციტების ჰომინგისა და ანთების კონტროლი. ბრონქულ ლორნოში გლიკოზამინოგლიკანებიდან (მუავე მუკოპოლისაქარიდებიდან) დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი სიალო- და სულფომუცინები. ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერმენტებს სულფოტრანსფერაზებს, რომლებიც განაპირობებენ მუცინის მოლეკულების სულფატირებას. სულფატირებული გლიკანები ზრდიან მუცინის უარყოფით მუხტს, რომელიც გავლენას ახდენს მათ ქიმიურ და ფიზიკურ თვისებებზე, ჰიდრირებაზე და მეტალის ონების დაკავშირებაზე.

ლორნოს წარმოქმნა და პროქსიმალური მიმართულებით გადაადგილება სუნთქვის დაცვითი ფუნქციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. ბრონქული ლორნო ატენიანებს შესუნთქულ ჰაერს, არეგულირებს მის ტემპერატურას, ლორნოს კომპონენტები აფიქსირებს მიკრობებს და მათ ტოქსინებს, ლორნო გამოლექავს მტვერს და ახდენს მის ევაკუაციას. ბრონქული ლორნო ეპითელიუმს მიკროორგანიზმებისაგან არა მხოლოდ მექანიკურად იცავს, არამედ ბაქტერიოსტატულ ქმედებასაც ახორციელებს. ნორმაში, ლორნო დღე-ლამებში 10-15-დან 100-150 მლ-მდე სინთეზდება (საშუალოდ 0.1-0.75 მლ/ სხეულის 1 კგ წონაზე). ჯანმრთელი ადამიანი ვერ გრძნობს ჭარბი ლორნოს წარმოქმნას, ასევე წარმოქმნილი ლორნო არ იწვევს ხველის რეფლექსს, რაც განპირობებულია ტრაქეო-ბრონქული სისტემიდან ლორნოს განვითარების ფიზიოლოგიური მექანიზმის – მუკოცილიარული კლირენსის (ინჰალირებული ნაწილაკების კლირენსი, ანუ ტრანსპორტი) არსებობით. მუკოცილიარულ კლირენსს უზრუნველყოფს პრიზმული მოციმციმე ეპითელიუმისა წამნამიანი უჯრედები. მათ თავისუფალ ზედაპირზე 200-მდე მოციმციმე „წამნამია“, რომლებიც წამში 15-16 რხევას აწარმოებენ და ლორნოს 4-10 მმ/წუთში სიჩქარით გადაადგილებენ. ლორნოს უჯრედის ზედაპირთან კონტაქტი 0.1 წამს არ აღემატება, რაც ზღუდავს ბაქტერიების ბრონქების ზედაპირთან კონტაქტის დროს და შესაძლო ადჰეზიასა და უჯრედშიდა ინ-

ვაზიას. მუკოცილიალურ კლირენსზე მოქმედებს ლორნოს რე-ოლოგია, ლორნოს ადჰეზიურობა და მოციმციმე ეპითელიუმის ნამნამების მოძრაობა.

ლორნოს რეოლოგია (დენადობა) – განისაზღვრება სულ-ფატირებული პროტეოგლიკანებისა და Ca^{2+} -ის იონების თანა-ფარდობით. კალციუმის $[\text{Ca}^{2+}]$ მატებისას ირლვევა ლორნოს დენადობა. ვინაიდან სულფატირებული პროტეოგლიკანების სინთეზს ვიტამინი A არეგულირებს, მისი დეფიციტი ლორნოს კლირენსის დარღვევას, ბაქტერიების გამრავლებას და ანთე-ბითი პროცესების განვითარებას განაპირობებს.

ლორნოს ადჰეზიურობა პირდაპირ პროპორციულია ქლო-რის იონებისა და სურფაქტანტის შემცველობისადმი.


ლორნოს ადჰეზიურობა Cl^- -ის იონებისა და სურფაქტან-ტის შემცველობის პირდაპირ პროპორციულია. ამრიგად, მუ-კოცილიარული კლირენსი სასუნთქი ორგანოების მნიშვნელო-ვანი დაცვითი მექანიზმია და უზრუნველყოფს ფილტვების სხვადასხვა ინჰალირებული ნაერობისაგან, მეტაბოლიზმის პროდუქტებისაგან გასუფთავებას.

ბრონქული ლორნოს კომპონენტები პროდუცირდება რა-მოდენიმე სახის უჯრედებით. ზედაპირული ეპითელიუმის შრე, გარკვეულწილად, არეგულირებს ლორნოს ადჰეზიურსა და რე-ოლოგიურ თვისებებს შერჩევითი რეაბსორბციის, სურფაქტან-ტის სეკრეციისა და ლორნოვანი ჯირკვლების პარაკრინული რეგულაციის საფუძველზე. ლორნქვეშა ჯირკვლები შეიცავენ **4 ტიპის უჯრედებს: სეროზულ უჯრედებს, მუკოციტებს, ზე-დაპირულ ეპითელიოციტებს და კამბიალურ უჯრედებს.**

სეროზული უჯრედები განთავსებულია ჯირკვლის ფუძე ნაწილში, ამ უჯრედებით სეკრეტირდება ქლორისა და ნატრიუ-მის იონები, ლიზოციმი, ლაქტოფერინი და სეკრეტორული IgA. სეკრეცია იწყება ქლორის იონის არხის გახსნით. ჯირკვლის სანათურში გადმოსული Cl^- -ის იონები უზრუნველყოფენ ტრან-სეპითელურ პოტენციალთა სხვაობას Na^- -ის იონების უჯრედ-

შორის ტრანსპორტისათვის, ხოლო წყალი გადადის ტრანსცელულურად.

ფიალისებური უჯრედები – მეზოკრინული ტიპის ერთუჯრედიან ჯირკვლებს წარმოადგენენ და გამოყოფენ ლორნოვან სეკრეტს. მათი მაქსიმალური რაოდენობა ტრაქეას ექსტრათორაქსის ნაწილშია განთავსებული. ბრონქების დიამეტრის შემცირებასთან ერთად მათი რაოდენობა მკვეთრად მცირდება. ბრონქიოლებში, რომელთა დიამეტრიც 1 მმ-ზე ნაკლებია, აღარ გვხვდება ფიალისებური უჯრედები. ჯანმრთელი ადამიანის სასუნთქ გზებში წამნამიანი და ფიალისებური უჯრედების შეფარდება 10:1 არის.



სურ. 25.
ლორნქვეშა ჯირკვლების სეროზული
უჯრედებით იონებისა და წყლის სეკრეცია

კლარას სეკრეტორული უჯრედები ფოსფოლიპიდებსა და ბრონქულ სურფაქტანტს ასინთეზირებენ. ეს უჯრედები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით წვრილ ბრონქებში და ბრონქიოლებში გვხვდება. ვარაუდობენ, რომ ანთებითი პროცესის დროს კლარას უჯრედები ფიალის უჯრედებად გარდაიქმნება. აღსანიშნავია, რომ ანთებითი პროცესის დროს ლორნოვანი გარსის უჯრედები წარმოქმნიან ბლანტ ლორნოს –

ნახველს, რაც გლიკოპროტეინების გაძლიერებული სინთეზით არის განპირობებული, კერძოდ ნეიტრალური მუცინების სინ-თეზის ხარჯზე. შედეგად ლორნოს რეოლოგიური თვისებები იცვლება, გელის ფრაქცია აღემატება ზოლის ფრაქციას. აღი-ნიშნება ფიალისებური უჯრედების რაოდენობრივი მატება და ლორნოს ჰიპერსეკრეცია. საგრძნობლად იზრდება ლორნოს ადჰეზიურობა, შედეგად ირლვევა ბრონქების ლორნოვანას მთლიანობა და მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. ლორნოს მოცულობისა და სიბლანტეს გაზრდის პარალელურად მცირ-დება მისი ელასტიკურობა. ბაქტერიული წარმოშობის პროტე-ოლიზური ენზიმებისა და ლეიკოციტების ნეიტროფილური ელასტაზას აქტივობის მატების შედეგად თვისობრივად იც-ვლება ბრონქული ლორნოს შემადგენლობა, მცირდება ლოკა-ლური იმუნიტეტის ძირითადი კომპონენტების რაოდენობა: სეკრეტორული IgA-ს, ინტერფერონის, ლაქტოფერინისა და ლიზოციმის რაოდენობა. ბრონქული ლორნოს რეოლოგიური თვისებების ცვლილების შედეგად ირლვევა მოციმციმე ეპითე-ლიუმის წამნამების მოძრაობა, რაც გამწმენდი ფუნქციის ბლოკირებას განაპირობებს.

ქლორის ონის არხის სტრუქტურა და ონების სეკრეციის მექანიზმი ბოლომდე გარკვეული არ არის. დადგენილია, რომ ფილტვის ნორმალური მორფოგენეზი დამოკიდებულია ქლო-რით სტიმულირებული სითხის ტრანსპორტზე. ნაყოფის პერი-ოდმი განვითარებადი ფილტვის ეპითელიუმით სეკრეტირდება სითხე, რომელიც ავსებს ჰაერის სივრცეებს. სითხის სეკრეცი-ის პიკი აღინიშნება არხებში და მორფოლოგიურ ერთეულებში, პარკებში, რაც კრიტიკულ მომენტს წარმოადგენს ფილტვის განვითარებაში. სითხე, რომელიც ავსებს პოტენციურ სასუნთქ სივრცეებს, სეკრეტირდება ფილტვის ეპითელიუმის ქლორის ონების სტიმულირებით ემბრიონული განვითარების პერიოდ-ში. ნაყოფის ფილტვში ასე გრძელდება დაბადებამდე.

სეროზული უჯრედები ასინთეზებენ ენზიმს ლიზოციმს. სეროზული უჯრედებიდან სეკრეტირდება ლიზოციმი, ლაქტო-ფერინი (რკინაშემცველი გლიკოპროტეინი), რკინა ლორნოში

გამოთავისუფლდება ბაქტერიებისა და ეპითელიოციტების დაშლის შედეგად. კლარას უჯრედებში ნარმოიქმნება ფერმენტი ფოსფოლიპაზა, რომელიც შლის სურფაქტანტს.

მუკოციტებში სინთეზირდება Ca^{2+} -ის იონებთან კონდენსირებული მუცინები. მუცინების სეკრეცია რეგულირდება CFTR-ით. ამრიგად, ქლორის არხი CFTR ერთდროულად ასრულებს ანიონური არხისა და უჯრედშიდა რეგულატორის ფუნქციას. CFTR აქტივირდება **ც-ამფ-**ის უჯრედშიდა სინთეზისა და $[\text{Ca}^{2+}]$ ის გაზრდის შედეგად.

ზედაპირული ეპითელიოციტები ფენოტიპურად II ტიპის ალვეოციტების მსგავსია. ზედაპირული ეპითელიოციტები ENaC, $3\text{Na}^+/\text{2K}^+$ -ატფ-აზას და სურფაქტანტის სინთეზის ენზიმებს ექსპრესირებენ. ზედაპირული ეპითელიოციტები ლორნოს იონურ შემადგენლობას არეგულირებენ, პარაკრინულად არეგულირებენ ლორნქვეშა უჯრედების სეკრეციის ფუნქციას და, ამასთანავე, იმუნომოდულატორულ ფუნქციას ასრულებენ.

თემა 6

6.1. გაზთა ცვლა ფილტვებში, მოლეკულური მექანიზმი

გაზთა ცვლა ფილტვის ალვეოლებში მიმდინარეობს, ალვეოლებში ერთოროციტებიდან CO_2 დიფუნდირებს, O_2 კი ალვეოლებიდან სისხლში. დღე-ღამის განმავლობაში ჰემოგლობინი ჰაერიდან ითვისებს და გადასცემს ქსოვილებს 600 ლ-მდე O_2 -ს უანგბადს (27 მოლი, 850 გ), ქსოვილებში კი წარმოიქმნება 500 ლ-მდე CO_2 , რომელიც ასევე ჰემოგლობინის მეშვეობით განიდევნება ორგანიზმიდან. ფილტვებიდან ქსოვილში დიფუზიის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სისხლის ნაკადი და უანგბადის კონცენტრაციის გრადიენტი ალვეოლურ ჰაერსა და უჯრედშორის სითხეს შორის, ალვეოლური-კაპილარული უანგბადის პარციალური წნევის სხვაობით:

$$\bullet 13.83 \text{ (pO}_2 \text{ ალვეოლებში)} - 5.98 \text{ (pO}_2 \text{ კაპილარებში)} = 7.85 \text{ kPa}$$


ცხრილი 1

ორგანიზმში უანგბადისა და ნახშირორუანგის კონცენტრაციის გრადიენტები

ორგანიზმის ჰაერი და სითხეები	ჰარციალური წნევა, მმ ვერცხლის ნებ. სკეტი*		უანგბადით ჰემოგლობინის გაჯერების ხარისხი, %
	O_2	CO_2	
ატმოსფერული ჰაერი	157	0.3	--
ალვეოლური ჰაერი	100	40	--
არტერიული სისხლი	93	40	97
უჯრედშორისი სითხე	35	50	--
ვენური სისხლი	40	46	64

- CU-სისტემაში წნევა პასკალში გამოისახება (Pa), 1 მმ ვერცხ.წყლ. სვეტის = 133 Pa


უჯრედშორის სითხეში, სადაც ჟანგბადი სისხლიდან გადადის, პარციალური წნევაა 35 მმ ვერცხ. წყლ. სვეტი, კონცენტრაციათა სხვაობა 65-ია, რაც განაპირობებს ჟანგბადის ალვეოლებიდან სისხლში გადასვლას, სისხლიდან კი უჯრედშორის სითხეში. უჯრედშორის სითხესა და არტერიული სისხლის CO_2 -ის პარციალური წნევის გრადიენტი O_2 -ის კონცენტრაციულ გრადიენტზე ნაკლებია. თუმცა CO_2 -ის დიფუზიის სიჩქარე 30-ჯერ აღემატება O_2 -ის დიფუზიის სიჩქარეს, რაც CO_2 -ის სწრაფ გადასვლას განაპირობებს უჯრედშორისი სითხიდან სისხლში. აღსანიშნავია, რომ ალვეოლური ჟანგბადი 1.2-ჯერ სწრაფად დიფუნდირებს CO_2 -ის გამოდევნასთან შედარებით.



სურ. 26.
გაზთა ცვლა ფილტვებში

შესუნთქული ჰაერი შეიცავს 21% ჟანგბადს და 0.03% ნახშირებანგს, ამოსუნთქული ჰაერი კი შეიცავს 16% O_2 -სა და 4.5% CO_2 -ს, დარჩენილი შემცველობა სისხლში გარკვეულწილად აუმჯობესებს ორგანიზმით ჟანგბადის შეთვისებას. CO_2 -ის ოპტიმალური კონცენტრაცია 6-8%-ს წარმოადგენს, მისი შემ-

დგომი მატებისას უანგბადის ათვისება ორგანიზმით მცირდება. სისხლში CO_2 -ის დაბალი კონცენტრაციისას უანგბადი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჰემოგლობინთან და საჭირო დროს ვეღარ ჩამოცილდება ერითროციტს. ამ შემთხვევაში მისი შეღწევა სისხლიდან ქსოვილთა უჯრედებში რამოდენიმე-ჯერ მცირდება. უჯრედები შედეგად განიცდიან უანგბადის უკ-მარისობას (შიმშილს) სისხლის უანგბადის მაღალი გაჯერების პირობებში. ამ დროს ირთვება დაცვითი ეფექტი (ე.წ. **ვერიფო-ბორის ეფექტი**). მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: ორგანიზ-მი უანგბადის შიმშილობის აღკვეთის მიზნით ცდილობს შეაკა-ვოს CO_2 -ი სისხლძარღვების რეფლექტორული სპაზმით. სის-ხლის ნაკადის სიჩქარე შედეგად მცირდება, რაც უზრუნველ-ყოფს CO_2 -ის დანაკარგის შემცირებას. როდესაც სისხლში პი-რიქით CO_2 -ის რაოდენობა ჭარბადაა, მისი კონცენტრაციის მომდევნო მატება აკავებს ჰემოგლობინით უანგბადის გადაცე-მას. მას თან სდევს სისხლძარღვების სანათურის გაფართოება, რაც ხელს უწყობს ჭარბი CO_2 -ის მიწოდებას და კანით და ფილ-ტვებით მისი ორგანიზმიდან განდევნას.



სურ. 27.
გზთა ცვლა ალვეოლაში
სქემატური გამოსახვა¹

¹ <https://gastransportintheblood.weebly.com/internal-respiration.html>



6.2. ჰემოგლობინის როლი გაზთა ცვლაში

6.2.1. ჰემოგლობინის სტრუქტურული ორგანიზაცია, ბიოქიმიური დახასიათება და როლი გაზთა ცვლაში


ჰემოგლობინი (**Hb**) ერითროციტების ძირითადი ცილაა. მისი საერთო რაოდენობა სისხლის 100 მლ-ში 13-16 გ. ერთი ერითროციტი დაახლოებით 340×10^6 მოლეკულა ჰემოგლობინს შეიცავს. ჰემოგლობინის ყოველ 1 გ-ს 1.34 მლ უანგბადის დაკავშირება შეუძლია.

ჰემოგლობინის ძირითადი ფუნქციებია: 1) O₂-ის ტრანსპორტი; 2) CO₂-ის ტრანსპორტი; 3) სისხლის ბუფერული თვისება.

ჰემოგლობინი რთული, მეოთხეული სტრუქტურის მქონე ცილაა, ჰემოპროტეინია, მისი პროსთეტული ჯგუფია ფეროპროტოპორფინი – ჰემი, ცილოვანი ნაწილი კი ნარმოდგენილია ცილა გლობინით. ჰემოგლობინის მოლეკულა შეიცავს 4 ჰემს და, შესაბამისად, 4 მოლეკულა უანგბადის დაკავშირება შეუძლია. ჰემი შეიცავს პიროლის 4 რგოლს, პიროლის ბირთვში განთავსებულია რკინის ატომი, რომელიც ორი კოვალენტური ბმითაა დაკავშირებული. რკინა ჰემოგლობინის მოლეკულაში 2-ვალენტიანია. რკინასთან ნარმოქმნილი კომპლექსის პერპენდიკულარულად განლაგებულია რკინის მე-5 და მე-6 საკონრდინაციო კავშირები. მე-5 კავშირით რკინა უკავშირდება ცილის მოლეკულას (ამინომჟავა ჰისტიდინის იმიდაზოლის ნაშთს), მე-6 კავშირი კი რჩება თავისუფალი ან ჩაინაცვლება O₂-ით. ჰემი დაკავშირებულია ცილა გლობინთან ჰიდროფიზული კავშირით პიროლის რგოლებსა და ამინომჟავების ჰიდროფობულ რადიკალებს შორის.




ცილა გლობინი შედგება 2α (141 ამინომჟავას ნაშთი) და 2β (146 ამინომჟავას ნაშთი) სუბერთეულისაგან. სუბერთეულები კომპაქტურადაა განლაგებული და წარმოქმნიან სფეროსებურ მაკრომოლექულას. ერთი α - და ერთი β -ჯაჭვი ($\alpha\beta$) ქმნის გლობინის მოლეკულის სიმეტრიულ ნახევარს – სუბერთეულს. $\alpha_1\beta_1$ და $\alpha_2\beta_2$ ჯაჭვების კონტაქტის ზონაში განთავსებული 30 ამინომჟავას ნაშთი უზრუნველყოფს ურთიერთქმედების მქიდრო კავშირს. გარემო არეს შემჟავების ან შეტუტიანებისას ჰიდროფიბური ნივთირებების თანაობისას, დაბალი ტემპერატურის პირობებში, დენატურაციის გამომწვევი ფაქტორების მოქმედებით ტეტრამერული ჰემოგლობინი დისოცირდება ჯერ დიმერებად, ხოლო შემდეგ კო მონომერებად:



ჰემოგლობინის დისოციაციის გამომწვევი ფაქტორის მოცილებით სუბერთეულები კვლავ ასოცირდებიან ტეტრამერული მოლეკულის სახით, ხდება ჰემოგლობინის მოლეკულის თვით ანუყობა.

ორგანიზმში შესაძლებელია ერთდროულად 2 ან მეტი ისე-თი ჰემოგლობინის არსებობა, რომლებიც ერთმანეთისაგან გლობინის პროტომერების პირველადი სტრუქტურით განსხვავდებიან, ე.ი. ჰემოგლობინი გამოირჩევა ჰეტეროგენულობით.



სურ. 28.

ჰემოგლობინის მოლეკულის სტრუქტურის სქემა¹
A – გვერდხედი, B – ზედხედი, H – ჰემის ჯგუფი.

ჰემოგლობინისათვის დამახასიათებელია სახეობრივი და ტიპობრივი სპეციფიკურობა. ადამიანის პოპულაციაში ჰემოგლობინის 500-მდე ნაირსახეობაა არსებობს, თუმცა იშვიათად გვხვდება. ტიპობრივი სპეციფიკურობა გულისხმობს ინდივიდის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე ჰემოგლობინის განსხვავებული ტიპების არსებობას, რომლებიც ჩვეულებრივი ჰემოგლობინისაგან განსხვავდება ამინომჟავური შემადგენლობით.

ჰემოგლობინის ყველაზე გავრცელებული ფორმაა **HbA**. სისხლში მცირე რაოდენობით გვხვდება ასევე მინორული ჰემოგლობინი (**HbA₂**), რომელიც საერთო ჰემოგლობინის 2%-ია,

¹ <https://www.britannica.com/science/hemoglobin>

შეიცავს $2\alpha_2\sigma$ -ჯაჭვს. ნორმალურ ჰემოგლობინს მიეკუთვნება ასევე ფეტალური ჰემოგლობინი (HbF - $2\alpha_2\gamma$) და პრომიტიული, ჩანასახის ჰემოგლობინი ($HbP-\alpha_2\epsilon_2$). HbP გვხვდება ადამიანის 7-12 კვირის ემბრიონში. ემბრიონის განვითარების მე-3 თვიდან იწყება HbF -ის ნარმოქმნა. ბავშვის დაბადების შემდეგ HbF თანდათან იცვლება HbA -ით და 4-5 თვის ბავშვის სისხლში HbF -ის რაოდენობა მხოლოდ 1-2%-ია.

ჰემოგლობინის უნიკალური თვისებაა O_2 -ის შექცევადად დაკავშირება, შედეგად ნარმოქმნება ოქსიჰემოგლობინი.

ჰემოგლობინი აგრეთვე შექცევადად იკავშირებს CO_2 -ს და ნარმოქმნება კარბამინჰემოგლობინი; ამ შემთხვევაში CO_2 უკავშირდება N -კიდურა ა-ამინოჯგუფებს. ეს რეაქცია დამოკიდებულია CO_2 -ის პარციალურ წნევაზე:



ჰემოგლობინს შეიძლება დაუკავშირდეს აგრეთვე 4 მოლეკულა CO (მხუთავი გაზი) და ნარმოიქმნება კარბოქსიჰემოგლობინი. ეს უკანასკნელი ფოტომგრაფიარეა და სინათლის შუქზე განიცდის დისოციაციას, გამოიყოფა CO . ჰემოგლობინის ჰემის Fe^{2+} -ის CO -თან დაკავშირებისას რეინა რჩება 2-ვალენტური ალბომატება O_2 -სადმი სწრაფვას. ამდენად, CO -ს შესუნთქვისას Hb -ის უმეტესი ნაწილი გარდაიქმნება კარბოქსიჰემოგლობინად და კავდება O_2 -ის გადატანის პროცესი, რაც იწვევს ადამიანის სიკვდილს. ამით აიხსნება ხანძრების დროს CO -ს შესუნთქვისას ადამიანის დაღუპვა. O_2 -ის პარციალური წნევის დროული გაზრდა იწვევს $HbCO$ -ის HbO_2 -ში გადასვლას.

ძლიერი დამუანგველების ზემოქმედებით, როგორიცაა ნიტრობენზოლი, აზოტის ოქსიდი, პეროქსიდები, ფერიციანიდი, ნიტრატები, ნიტრიტები, ანილინი, ზოგიერთი სამკურნალო ნამალი ან მათი მეტაბოლიტები, ქინონები და სხვა, იწვევენ

Fe^{2+} -ის დაუანგვას და წარმოიქმნება **მეთჰემოგლობინი (MetHb)**, სადაც Fe^{3+} -ია. ასეთ მდგომარეობაში ის ვერ იკავშირებს ვერც O_2 -ს და ვერც CO_2 -ს. საბედნიეროდ, ეს რეაქცია შექცევადია და MetHb კვლავ აღდგება Hb -ად ენზიმ მეტჰემოგლობინ რედუქტაზას (კოფაქტორი ნადH) მოქმედების შედეგად:



დარღვევები ჰემოგლობინის მოლეკულაში:

მეტჰემოგლობინის რაოდენობის სიჭარბისას ვითარდება მეტჰემოგლობინებია, ძლიერდება O_2 -ის აქტიური რადიკალის – სუპეროქსიდიონის (O_2^-) წარმოქმნა. დაავადების გამომწვევი მიზეზის მიხედვით განასხვავებენ სამი ტიპის მეტჰემოგლობინებია: 1. მეტჰემოგლობინებია, რომელიც გამოწვეულია ორგანული ნივთიერებებით (ამილნიტრატი, ანილინი, ნიტრობენზოლი, ნიტრატი, ნიტრიტი და სხვა); 2. სულფანილამიდური პრეპარატების ზემოქმედებით (ქინინი, აცეტანილიდი, ფენაცეტინი, სალიცილატები); 3. ოჯახური მეტჰემოგლობინებია, რომელიც ენზიმ მეტჰემოგლობინ რედუქტაზას დეფიციტითაა განპირობებული და შთამომავლობას გადაეცემა მემკვიდრეობით, ამ დროს აღინიშნება ციანოზი, მთელი ჰემოგლობინის 25-დან 40%-მდე ჰემოგლობინი MetHb-ის სახითაა.

ჰემოგლობინის ცილოვანი კომპონენტის სინთეზის დარღვევით გამოწვეულ დაავადებებს ჰემოგლობინოპათიები ეწოდება. ამ დაავადებათა ჯგუფში ჰემის ნორმალური სტრუქტურა შენარჩუნებულია. ცნობილია 200-მდე ჰემოგლობინოპათია.

დეფექტები განპირობებულია ჰემოგლობინის პოლაპეტტი-დურ ჯაჭვში ამინომჟავების შეცვლით; ცნობილია 20-მდე ჰემოგლობინის სახეობა, რომელთა α - ან β -ჯაჭვები ერთ-ერთი ამინომჟავა შეცვლილია სხვა ამინომჟავათი. ჰემოგლობინის ვარიანტების სახელწოდება შეესაბამება იმ ადგილს, სადაც ის იყო აღმოჩენილი და აღწერილი. მითითებულია აგრეთვე ამი-

ნომერავას შეცვლის ადგილი და სახე. მსგავს დეფექტებს მიე-კუთვნება ფართოდ გავრცელებული **ნამგლისებური ანემია HbS** ($HbS-\alpha 2\beta 2$), ჰემოგლობინის β -ჯაჭვში $M_{\beta}-6$ პოზიციაში მყოფი გლუტამინის მუავა ჩანაცვლებულია ჰიდროფობული ამინომერავა ვალინით. HbS ალდგენილ ფორმაში წარმოქმნის გრძელ ასოცირებულ ჯაჭვებს, რომლის ხსნადობა, მის დაუანგულ ფორმასთან შედარებით, 50%-ით არის შემცირებული, რაც იწვევს ერითროციტის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას. დაავადებას იწვევს მაღარიის პლაზმოდიუმი.

თალასემიის დროს დეფექტები განპირობებულია ჰემოგლობინის ჯაჭვების სინთეზის დარღვევით:

ა. **α-თალასემია** – დარღვეულია α -ჯაჭვის სინთეზი, მცირდება ჰემოგლობინის სხვადასხვა ფიზიოლოგიური ფორმების წარმოქმნა;

ბ. **β-თალასემია** – დარღვეულია β -ჯაჭვის სინთეზი, ძლიერდება $HbF(\alpha_2\gamma)$ და $HbA_2(\alpha_2\delta)$ -ის ფორმირება, აღნიშნულის მიუხედავად, უანგბადის ტრანსპორტი მაინც მიმდინარეობს;

გ. **δ-თალასემია** – შეკავებულია β - და δ -ჯაჭვების სინთეზი, ძლიერდება $HbF((\alpha_2\gamma)_2)$ -ის წარმოქმნა;

დ. ჰემოგლობინში პოლიპრტიდურ α -ჯაჭვებთან ერთად წარმოდგენილია β - და δ -ჯაჭვები და β - და γ -ჯაჭვები, ასეთი სახის ჰემოგლობინს ლეპორს უწოდებენ. მისი ანტილეპორი Hb -კენია, აღნიშნული დაავადება სასიკვდილოა.

6.3. ჰემოგლობინის როლი სუნთქვის ციკლში

ადამიანის ორგანიზმის მიერ ყოველდღიურად მოიხმარება დაახლოებით 600 ლ O_2 (24 მოლი) და წარმოიქმნება დაახლოებით 480 ლ CO_2 (22 მოლი). ფილტვებიდან ჰემოგლობინის მეშვეობით O_2 -ის არსებული გრადიენტით O_2 დიფუნდირებს კაპილარების კედლიდან და პლაზმიდან ერითროციტებში. არტერიული სისხლის ჰემოგლობინის O_2 -ით გაჯერება

96%-ს აღწევს. ქსოვილებში ჟანგბადი დიფუნდირებს ერთო-ციტებიდან პლაზმაში და აქედან ინტერსტიციალურ (უჯრედ-შორის) სითხეში, შემდეგ კი ქსოვილთა უჯრედებში. ქსოვი-ლებში წარმოქმნილი CO_2 -ის ტრანსპორტი წარმოებს კარბა-მინერმოგლობინით, CO_2 -ის ძირითადი ნაწილი ჰიდრატირდება ენზიმ კარბონაციდრაზას მოქმედებით, წარმოიქმნება H_2CO_3 . ქსოვილებიდან H_2CO_3 გადადის სისხლში, დისოცირდება, CO_2 -ის 60% ტრანსპორტირდება ვენოზური პლაზმით HCO_3^- -ის სახით, 32%-მდე კი კარბამინერმოგლობინის სახით. CO_2 განიდევნება ფილტვებიდან. ჰემოგლობინი ნახშირმჟავას დისოციაციის დროს გამოთავისუფლებული H^+ -ის აქცეპტორია.

ჰემოგლობინი არსებობს ორ კონფორმაციულ ფორმაში – T და R. T-ფორმა (დაძაბული, ინგლ. tense), R-ფორმასთან შედა-რებით, ხასიათდება ჟანგბადისადმი დაბალი თვისობით, ეს არის ჰემოგლობინის დეოქსიგენური ფორმა. T-მდგომარეობა-ში ბ-სუბერთეულის C-კიდურაზე განთავსებული ამინომჟავა ჰისტიდინის ნაშთი მონანილეობს იონური ბმის (მარილის ხი-დაკის) ფორმირებაში. ჟანგბადის დაკავშირება, R ფორმაში გა-დასვლისას, T-ფორმის ერთ სუბერთეულთან ინვევს ლოკა-ლურ კონფორმაციულ ცვლილებას, ჰისტიდინის ნაშთი ბრუნ-დება მოლეკულის ცენტრისკენ, რაც ასუსტებს კავშირს სუბერ-თეულებს შორის, ბ-სუბერთეულებს შორის სივრცე ვიწროვდე-ბა. შედეგად ჰემოგლობინის მოლეკულაში ირღვევა T-ფორმის მასტაბილიზირებელი იონური წყვილები და წარმოიქმნება ახა-ლი ხიდაკები. ჟანგბადის პარციალური წნევის მატებისას იზ-რდება ჰემოგლობინის მოლეკულის R-ფორმა (ინგლ. relaxed) ჟანგბადისადმი მაღალი თვისობით (შთანთქმის მრუდი სიგმო-დურია). ალსანიშნავია, რომ ფორმების ურთიერთგარდაქმნის მოლეკულური მექანიზმი ბოლომდე გარკვეული არ არის.

ჟანგბადის შეზღუდული ხსნადობის გამო გახსნილ მდგო-მარეობაში ტრანსპორტირდება მხოლოდ 0.3 მოლ $\text{O}_2/100$ მლ, რაც არ არის საკმარისი მეტაბოლური პროცესებისათვის. ჰე-


მოგლობინის 1 გ იკავშირებს 1.34 მლ ჟანგბადს, ჰემოგლობინის რაოდენობა ნატიური სისხლის 100 მლ-ში 15გ, ოქსიგენირებულ სისხლში ჰემოგლობინთან დაკავშირებული O₂-ის რაოდენობა 70-ჯერ აღემატება სისხლში გახსნილი ჟანგბადის რაოდენობას.

ჟანგბადის ჰემოგლობინთან დაკავშირებისა და უჯრედებში გადასვლის მექანიზმი, ალოსტერული ეფექტორები:

ჰემოგლობინის ჟანგბადთან დაკავშირება და ოქსიჰემოგლობინის დისოციაცია (ჟანგბადის მოლეკულის ჩამოცილება) დამოკიდებულია ჟანგბადის წნევაზე, ნახშირორუანგის წნევაზე, სისხლის pH-ზე, ტემპერატურაზე და, ასევე, ერითროციტებში 2,3-დიფოსფოგლიცერატის კონცენტრაციაზე. თვით ჰემოგლობინი, HbO₂-თან შედარებით, ფუნქციურად სუსტი მუვაა. ჰემოგლობინის ეს ორი ფორმა ქმნის ბუფერულ სისტემას, რომელიც ხელს უწყობს სისხლის pH-ის შენარჩუნებას მუდმივ დონეზე.

ჟანგბადი სისხლში გადაიტანება 2 ფორმით: 1. ხსნარში გახსნილი და 2. ერითროციტების ჰემოგლობინთან დაკავშირებულ მდგომარეობაში.

ნახშირორუანგი, ნყალბადის პროტონები, ქლორის იონები და ერითროციტების მეტაბოლიტი 2,3-დიფოსფოგლიცერატი (2,3-BPG) ნარმოადგენენ ჰემოგლობინის მოლეკულის ალოსტერულ ეფექტორებს. თითოეული ალოსტერული რეგულატორი დამოუკიდებლად ზემოქმედებს ჰემოგლობინის მიერ ჟანგბადის დაკავშირების პროცესზე. თუმცა, ჰემოგლობინის მოლეკულის ჟანგბადთან დაკავშირება განსაკუთრებით მაღალ მგრძნობელობას ავლენს ნყალბადის იონისადმი და ნახშირორუანგისადმი.



სურ. 29.

2,3,-დიფოსფოგლიცერატის სინთეზის სქემა


ჰემოგლობინის მოლეკულიდან უანგბადის გამოთავისუფლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნაერთი **2,3-დიფოსფოგლიცერატი**. მისი ფუნქცია აღმოჩენილ იქნა 1967 წ. რეინ-ჰოლდ და რუტ ბენეშების მიერ. ალისტერული ეფექტორი 2,3-BPG მხოლოდ ერითროციტებში წარმოიქმნება როგორც გლიკოლიზის შუალედური მეტაბოლიტი 1,3-დიფოსფოგლიცერატიდან ფერმენტ ბიფოსფოგლიცერატ მუტაზის მოქმედებით.

2,3-BPG ძლიერ უარყოფითად დამუხტული ნაერთია და იონური ბერებით უკავშირდება დეზოქსიგნირებული ჰემოგლობინის მოლეკულის (T-ფორმა) ცენტრალურ რგოლში ორივე β -ჯაჭვების კიდურა ამინომჟავა ვალინის(1), ლიზინის(82) და ჰისტიდინის (2, 143) დადებითად დამუხტულ ამინის ჯგუფებს, ზრდის კონფორმაციული ცვლილებისთვის აუცილებელ ენერგიას, ამცირებს თვისებისას უანგბადისადმი და ხელს უნიკობს უანგბადის გამოთავისუფლებას ქსოვილებში. ქსოვილებში უანგბადის დაბალი კონცენტრაციის პირობებში (მაღალი სიმაღლე, სასუნთქი გზების ობსტრუქცია, გულის უკმარისობა)

ერითროციტებში გენერირდება მეტი 2,3-BPG, pH-ის და უანგბადის კონცენტრაციის ცვლილება ახდენენ ფერმენტების მოძულირებას.

ჰემოგლობინის მოლეკულას 2,3-BPG უკავშირდება უანგბადის დამაკავშირებელი ცენტრის მახლობლად და არეგულირებს ჰემოგლობინის თვისობას უანგბადისადმი. 2,3-BPG-ის დამაკავშირებელი ცენტრი მდებარეობს T-ფორმის β -სუბერთეულებს შორის სივრცეში, სადაც განლაგებულია დადებითად დამუხტული ამინომჟავების ნაშთები, რომლებიც ურთიერთქმედებენ 2,3-BPG-ის უარყოფითად დამუხტულ რადიკალებთან. ჰემოგლობინის მოლეკულის ყოველ ტეტრამერს უკავშირდება 1 მოლეკულა 2,3-BPG.

ჰემოგლობინის თვისობის ცვლილება უანგბადისადმი ფილტვებში და ქსოვილებში განპირობებულია გლობინური ნანილის კონფორმაციული ცვლილებებით. ქსოვილებში წყალბადის ონები უკავშირდება ჰისტიდინის მოლეკულას, შედეგად ნარმოიქმნება აღდგენილი ჰემოგლობინი H-Hb უანგბადისადმი დაბალი თვისობით. ფილტვებში უანგბადის მაღალი კონცენტრაცია გამოდევნის წყალბადის ონების და წარმოიქმნება ოქსი-ჰემოგლობინი.



ჰემოგლობინის უანგბადისადმი თვისობაზე pH-ის გავლენას ბორის ეფექტი ეწოდება. არეს შემუავებისას თვისობა მცირდება, ხოლო არეს გატუტიანებისას კი თვისობა იზრდება. ფილტვებში pH 7.6-ს აღწევს, ხოლო ქსოვილებში კაპილარებში pH-7.2-7.3.

ქსოვილებში პროტონების კონცენტრაციის ზრდის შედე-
გად (არეს შემუჯავება) ძლიერდება ოქსიჰემოგლობინის მოლე-
კულიდან ჟანგბადის გამონთავისუფლება. ფილტვებში, სის-
ხლიდან ნახშირორჟანგის გაძლიერებული გამოყოფისა და ჟან-
გბადის მაღალი კონცენტრაციის პირობებში ძლიერდება
წყალბადის პროტონის ჩამოცილება ჰემოგლობინის მოლეკუ-
ლიდან.

6.4. ნახშირორჟანგის გადატანის გზები ქსოვილებიდან ფილტვში


ორგანიზმში CO_2 ქსოვილებიდან ფილტვებში რამოდენიმე
გზით გადაიტანება:

1) გადადის ფიზიკურად გახსნილ მდგომარეობაში (0.3%).
სისხლის პლაზმაში CO_2 -ის ხსნადობა 40-ჯერ აღემატება O_2 -ის
ხსნადობას. არტერიოვენოზული P CO_2 უმნიშვნელო სხვაობის
მიუხედავად მოსვენების დროს ფიზიკურად გახსნილი სახით
შესაძლებელია 12-15 მლ-ის გადატანა, რაც მთლიანად გადასა-
ტანი CO_2 -ის რაოდენობის 6-7%-ს შეადგენს.

2) CO_2 -ის ნაწილი გადაიტანება კარბამინის სახით. კარბა-
მინის კავშირით CO_2 უკავშირდება ჰემოგლობინის ამინომჟავას
ა-ამინოჯგუფს და ნარმოიქმნება კარბჰემოგლობინი (კარბამა-
ტი) და გამოიყოფა პროტონი (H^+) (რეაქცია, a). ეს რეაქცია
ქსოვილთა კაპილარების ერთოროციტებში მიმდინარეობს მარ-
ცხნიდან მარჯვნივ, ხოლო ფილტვებში – მარჯვნიდან მარ-
ცხნივ. კარბჰემოგლობინი ნარმოიქმნება, ასევე, ნახშირმჟა-
ვასთან ურთიერთობისას.



კარბჰემოგლობინის ნარმოქმნის რეაქცია




სურ. 30.


კარბჰემოგლობინის წარმოქმნის რეაქცია

კარბჰემოგლობინი არამდგრადი ნაერთია და მაღალი სიჩქარით დისოცირდება ფილტვის კაპილარებში CO_2 -ს ჩამოცილებით. არტერიულ სისხლში კარბჰემოგლობინის აღნიშნული ფორმა საერთო მოცულობის 3%-ს შეადგენს. ქსოვილებიდან ფილტვებში კარბამინული ფორმით გადაიტანება ქსოვილებიდან სისხლში გადასული საერთო ნახშირორჟანგის 3-დან 10%-მდე.


გაზთა ცვლის წარმართვისათვის აუცილებელია ენზიმი კარბოანჰიდრაზა, რომელიც აკატალიზებს შექცევად რეაქციას



კარბოანჰიდრაზა ექსპრესირდება ერითროციტებში, ენდოთელიოციტებში და I ტიპის ალვეოციტებში. ჰიდრატაცია/დეჰიდრატაციას კარბანჰიდრაზა 10 000-ჯერ აჩქარებს. ერითროციტებში ენზიმ კარბოანჰიდრაზას მოქმედებით CO_2 ურთიერთქმედებს წყალთან და წარმოიქმნება H_2CO_3 , რომელიც სპონტანურად დისოცირდება პროტონისა და ბიკარბონატის იონის წარმოქმნით (ბ). პროტონი ოქსიჰემოგლობინს უკავშირდება და განაპირობებს ჟანგბადის გამონთავისუფლებას:



ზოგადად, ქსოვილებში CO_2 ჰემოგლობინიდან გამოდევნის O_2 -ს, ხოლო ფილტვებში, უანგბადის მაღალ არეში, სისხლიდან ალ-ვეოლურ ჰაერში O_2 ჰემოგლობინიდან გამოდევნის CO_2 -ს. ალ-ვეოლურ ჰაერში და სისხლში ნახშირორჟანგის პარციალური წნევის შემცირებისას უანგბადის თვისობა ჰემოგლობინთან იზრდება. ეს მოვლენა **ბორის ეფექტის** (ვერიგო-ბორის ეფექტი) სახელწოდებით არის ცნობილი (კ. ბორი, დანიელი ფიზიოლოგი). შედეგად ფერხდება უანგბადის გადატანა კაპილარებიდან ქსოვილებში.




3) CO_2 -ს ძირითადი მასა სისხლიდან ფილტვებში ტრანსპორტირდება **ბიკარბონატის სახით**, ამ დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰემოგლობინი. რეაქციის მიმართულება დამოკიდებულია PCO_2 -ზე. პერიფერიულ ქსოვილებში, სადაც PCO_2 მაღალია, რეაქცია გადახრილია H_2CO_3 სინთეზის მიმართულებით, ფილტვებში კი, ამოსუნთქვისას CO_2 -ის განდევნისათვის რეაქცია გადახრილია CO_2 -სა და H_2O -ის წარმოქმნის მიმართულებით.

ქსოვილებიდან გადმოსული CO_2 ერითროციტებში შეღწევისას წარმოქმნის ნახშირმჟავას. ნახშირმჟავა დისოცირდება

¹ <http://www.austincc.edu/apreview/PhysText/Respiratory.html>

H^+ და HCO_3^- , რაც განაპირობებს არეს შემუავებას. შემუავების აცილება ხდება ჰემოგლობინით. კერძოდ, ჰემოგლობინი იყავ-შირებს H^+ -იონს, ხოლო HCO_3^- ერითროციტებში, სადაც ძალი-ან მაღალია K^+ -ის კონცენტრაცია, წარმოქმნის კალიუმის ჰიდ-როკარბონატს ($KHCO_3$). ერითროციტებიდან HCO_3^- იონის გა-მოსვლა დაკავშირებულია ერითროციტებში ქლორის იონების შესვლასთან (HCO_3^-/Cl^- ცვლა). ერითროციტებიდან პლაზმაში გადმოსული ჰიდროკარბონატი კი Na^+ -ის იონებთან ურთიერ-თქმედებს $NaHCO_3$ წარმოქმნით. ამასთანავე, პლაზმაში ნატრი-უმის ბიკარბონატის ($NaHCO_3$) კონცენტრაცია იზრდება, რაც ბუფერულ თვისებასთანაა დაკავშირებული.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტირებული ნახშირორ-ჟანგის ფიზიკურად გახსნილი და კარბამინული ფორმის რაოდე-ნობრივი შეფარდება უმნიშვნელოა ბიკარბონატული ფორმით ტრანსპორტირებული ნახშირორჟანგის რაოდენობასთან შედა-რებით, ფილტრებში გაზთა ცვლის პროცესში სისხლსა და ალვე-ოლურ ჰაერს შორის ზუსტად ამ ორ ფორმას – ფიზიკურად გახ-სნილსა და კარბამინულს ენიჭება ძირითადი მნიშვნელობა.



სურ. 31.

წყლისა და ნახშირორჟანგის ტრანსპორტი ერითროციტების, ენდოთელიოციტებისა და ალვეოციტების (1 ტიპი) მემბრანაში.

AQP – აკვაფორინი

ალვეოლების სანათურში დაბალი PCO_2 განაპირობებს ერითროციტებიდან ფილტვებში CO_2 -ის დიფუზიას. ერითროციტებში ბიკარბონატის კონცენტრაციის შემცირებას თან სდევს სისხლის პლაზმიდან HCO_3^- -იონების ახალი ნაკადის შესვლა, ხოლო პლაზმაში Cl^- -ის იონების ეკვივალენტური რაოდენობის გადმოსვლა. ფილტვის კაპილარების პლაზმაში შედეგად სწრაფად კლებულობს ნატრიუმის ბიკარბონატის (NaHCO_3) და იზრდება ნატრიუმის ქლორიდის (NaCl) კონცენტრაცია.

CO_2 -ის დიფუზია ალვეოციტების, ერითროციტებისა და ენდოთელიოციტების მემბრანაში, ძირითადად, წყლის არხების – აკვაპორინების საშუალებით წარმოებს (იხ. ქვემოთ). ამიტომ გაზთა ცვლას აღნიშნულ უჯრედებში ესაჭიროება სითხის მუდმივი ნაკადი. თუმცა, უკანასკნელ წლებში მოწოდებულია ჰიპოთეზა, რომლის თანახმად ალვეოლებიდან ნახშირორჟანგის განდევნაში სუნთქვის პროცესის დროს (რესპირაციის) პროტონული არხები ჩართულია.


CO_2 -ის განვლადობა თითქმის 25-ჯერ აღემატება O_2 -ის განვლადობას.

ადსანიშნავია, რომ რაოდენობრივად CO_2 -ის ტრანსპორტი ფიზიკურად გახსნილსა და კარბამინული ფორმის სახით უმნიშვნელოა მისი სისხლის ნაკადით ბიკარბონატების სახით გადატასთან შედარებით. მაგრამ გაზთა ცვლის დროს ფილტვებში სისხლსა და ალვეოლურ ჰაერს შორის CO_2 -ის გადატანის ამორ ფორმას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება.

6.5. ჟანგბადის ფილტვებიდან ქსოვილებში გადატანა

ფილტვებში, ნახშირორჟანგისგან განსხვავებით, ჰაერით შეღწეული ჟანგბადის ერთადერთ დამაკავშირებელ ნაერთს ჰემოგლობინის მოლეკულა წარმოადგენს. ფილტვებში შეღწეული ჰაერის ჟანგბადის ძირითადი მასა (98-99%-მდე) ქსოვილებამდე ჰემოგლობინის მეშვეობით გადაიტანება, უმნიშვნე-

ლო ნაწილი კი (1.5%-მდე) პლაზმაში ფიზიკურად გახსნილ მდგომარეობაში გადაიტანება.² ფოსფოლიპიდების მეშვეობით დიფუნდირებს.



1

ფილტვს გააჩნია სწრაფად ადაპტირების უნარი გარემოს ცვლილებისადმი pO₂-ის შენარჩუნებით, ეს მოვლენა გადამწყვეტია ორგანიზმის გადარჩენისთვის. სასუნთქი გზების ეპითელიუმში ლოკალიზებული ნეიროეპითელური სხეულაკების, საძილე არტერიასა და ფილტვის გლუკუნთოვან უჯრედებში გამოვლენილია pO₂-სადმი მგრძნობიარე სამი ძირითადი სისტემა. ეს უჯრედები ექსპრესირებენ რიგ იონურ არხებს, მათ შორის აღსანიშნავია K⁺ არხები (Kv), რომლებიც მგრძნობელობას ავლენენ O₂-ის დონისადმი.

¹ <http://www.austincc.edu/apreview/PhysText/Respiratory.html>

6.6. გაზთა ცვლის მექანიზმი

ორგანიზმში გაზთა ცვლა მოიცავს ქსოვილებიდან სისხლის პლაზმაში გადმოსული ნახშირორჟანგის ფილტვების მეშვეობით განდევნასა და შესუნთქული ჰაერის ჟანგბადის შეთვისებასა და ქსოვილებში უჯრედებისათვის მიწოდებას. ამ პროცესის მოლეკულური მექანიზმი მოიცავს როგორც უჯრედებში წარმოქმნილი ნახშირორჟანგის სისხლში გადასვლისა და ფილტვებამდე გადატანის მექანიზმს, ასევე ჟანგბადის ფილტვებიდან ქსოვილებამდე ტრანსპორტირების მექანიზმს. პროცესი ამავე დროს მიმართულია ალვეოლური სტაბილურობის შენარჩუნებისაკენ.

გაზთა ცვლა, ძირითადად, შემდეგი სქემით მიმდინარეობს:

გაზთა ცვლის პროცესი ქსოვილთა უჯრედებსა და სისხლის პლაზმას შორის

I ეტაპი – ორგანიზმის ქსოვილების კაპილარების სისხლში ნახშირორჟანგის **ძაბვა** შეადგენს 5.3 კПა (ვერცხლის წყლის სვეტის 40 მმ), ხოლო ქსოვილებში – 8.0-10.7 კПა (ვერცხლის წყლის სვეტის 60-80 მმ). შედეგად **CO₂** დიფუნდირებს ქსოვილებიდან სისხლის პლაზმაში და შემდგომ ერითროციტში ნახშირორჟანგის პარციალური წნევის გრადიენტის მიმართულებით.

II ეტაპი – ერითროციტში შეღწეული **CO₂**-ის გარკვეული პროცენტი (10-12%) უშუალოდ უკავშირდება ჰემოგლობინის მოლეკულის β -ჯაჭვის კიდურა ამინის ჯვეფს (**NH₂**) კარბჰემოგლობინის (**H-HbCO₂**) წარმოქმნით და ასეთი სახით გადაიტანება ფილტვებამდე.




III ეტაპი – ერითროციტში შეღწეული **CO₂**-ის დანარჩენი რაოდენობა ფერმენტ კარბოანჰიდრაზას მონაწილეობით

წყალთან წარმოქმნის ნახშირმჟავას, რომელიც დისოცირდება H^+ და HCO_3^- :



გამოთავისუფლებული კარბონატ იონი- (HCO_3^-) ანიონი) ტრანსპორტირდება პლაზმაში ქლორის იონზე ჩანაცვლებით პასიური ანტიპორტული მექანიზმით (პიოქლორემიული ეფექტი), რომელსაც ერთოროციტების ინტეგრალური ცილა ზოლი 3 ანარმოებს. პლაზმაში გადმოსული HCO_3^- -ანიონი ტრანსპორტირდება ნატრიუმის ბიკარბონატის ($NaHCO_3$) სახით.

IV ეტაპი – ამასთანავე, გამოთავისუფლებული წყალბადის იონი უკავშირდება ჰემოგლობინის მოლეკულას $Hb-H^+$ -ის წარმოქმნით, რაც განაპირობებს ოქსიჰემოგლობინის უანგბადისადმი თვისობის შემცირებას და მის დისოციაციას, უანგბადის ინტენსიურ გამონთავისუფლებას ერთოროციტებიდან და ქსოვილში შეღწევას. ამ მოვლენას **ჰოლდენის ეფექტი** ეწოდება.




სურ. 32.

პლაზმა – ერითროციტის სისტემის როლი
სისხლის სუნთქვის ფუნქციაში¹

¹ <http://biokhimija.ru/hemoglobin/gazoobmen.html>

ნახშირორჟანგის და უანგბადის ცვლა ფილტვის კაპილარებსა და ალვეოლებს შორის:

ფილტვის კაპილარებში მიმდინარე გაზთა ცვლა



1

I ეტაპი – ალვეოლურ ჰაერში ნახშირორჟანგის დაბალი კონცენტრაციაა. იწყება CO_2 -ის დიფუზია პლაზმიდან ალვეოლური მემბრანებისკენ და ამოსუნთქულ ჰაერთან ერთად მისი განდევნა. ფილტვის კაპილარების ერითროციტებში ჰემოგლობინის მოლეკულების უანგბადით გაჯერების პირობებში კარბამინული ნაერთი განიცდის დისოციაციას ($\text{Hb} - \text{NH} - \text{COOH} \leftrightarrow \text{Hb} - \text{NH} - \text{COO}^+ + \text{H}^+$), შედეგად გამოთავისუფლდება H^+ -იონი. ამასთანავე, HbO_2 -ის ნარმოქმნით იზრდება ჰემოგლობინის ცილოვანი ნაწილის კარბოქსილის ჯგუფების დისოციაციის ხარისხი, შედეგად გამოიდევნება პროტონი.

II ეტაპი – ჰემოგლობინის მოლეკულიდან გამოთავისუფლებული პროტონები (H^+) ანეიტრალებენ პლაზმიდან ანიონ-ცვლადი გადამტანით პასიური ანტიპორტული მექანიზმით შეღწეულ ბიკარბონატის იონს (HCO_3^-) ნახშირმჟავას ნარმოქ-

¹ <http://biokhimija.ru/hemoglobin/gazoobmen.html>

მნით (H_2CO_3). კარბანტიდრაზას მოქმედებით ნახშირმჟავა იშლება წყლისა და ნახშირორჟანგის წარმოქმნით, რომელიც დიფუნდირებს ალვეოლურ ჰაერში.



III ეტაპი – CO_2 დიფუნდირებს ერითროციტების მემბრანიდან და ალვეოლური მემბრანიდან ჰარციალური წნევის მიმართულებით ფილტვის ალვეოლების სანათურში.

ადსანიშნვია, რომ ჰემოგლობინის მოლეკულასთან ჟანგბადის დაკავშირების პროცესში ცილის პროტომერები კოოპერატიულ ურთიერთქმედებას ავლენენ. ასეთი ურთიერთქმედება ზრდის ჰემოგლობინის ჟანგბადისადმი თვისობას და 300-ჯერ აჩქარებს მის დაკავშირებას.

სუნთქვითი აციდოზი, სუნთქვითი ალკალოზი

ორგანიზმი შესაბამისი ბუფერული სისტემებით ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს მჟავა-ტუტე ბალანსი, რაც განპირობებულია გამოთავისუფლებული პროტონების რაოდენობით. გამოთავისუფლებული პროტონების რაოდენობის მატება განაპირობებს მჟავე-ტუტე ბალანსის გადახრას მჟავიანობისაკენ, რასაც თან სდევს pH -ის შემცირება. ასეთ მდგომარეობას **აციდოზი (ლათინ. acidus – მჟავე)** ეწოდება. მჟავე-ტუტე ბალანსის გადახრას ტუტიანობისაკენ, რასაც თან სდევს pH -ის გაზრდა, **ალკალოზი** ეწოდება. როგორც ცნობილია, ბუფერული სისტემებიდან ყველაზე მძლავრად წარმოდგენილია ბიკარბონატული ბუფერული სისტემა, რომელიც შედგება სუსტი ნახშირმჟავასაგან H_2CO_3 და მისი მჟავე ანიონისაგან – ბიკარბონატისაგან HCO_3^- . ნახშირმჟავა წონასწორობაშია თავის ან-ჰიდრიდთან CO_2 -თან. წონასწორობას ამყარებს ფერმენტი კარბონანტიდრაზა. პლაზმას ნორმალური pH -ის დროს HCO_3^- და CO_2 -ის კონცენტრაციების შეფარდება 20:1-თან არის. სისხლში გახსნილი CO_2 თანაბრად იცვლება ფილტვის ალვეოლე-

ბის CO₂-ის აიროვან ფაზასთან. ამიტომ, HCO₃-/ CO₂ სისტემა ეფექტურ ღია ბუფერულ სისტემას წარმოადგენს. აჩქარებული ან შენელებული სუნთქვა ცვლის CO₂-ის კონცენტრაციას, რაც განაპირობებს პლაზმას pH-ის ცვლილებას, შესაბამისად, სუნთქვითი აციდოზის ან ალკალოზის განვითარებას. ფილტვები სწრაფად და ქმედითად ზემოქმედებენ პლაზმის pH-ზე პროტონების განდევნის მექანიზმის გარეშე.

რესპირატორული აციდოზი – რესპირატორული აციდოზის მიზეზია ნახშირორჟანგის ტრიალი ჰიპოვენტილაციის დროს, ალინიშნება წყალბად-იონთა სიჭარბე, ნახშირორჟანგის წნევის მატება 140-150 მმ (ვერცხლ.წყლ.სვეტი). კომპენსატორული მექანიზმი – თირკმელებით HCO₃-ანიონის რეაბსორბციის გაძლიერება, ამონიაგენეზის გაძლიერება.


რესპირატორული ალკალოზი – რესპირატორული ალკალოზის მიზეზია ჰიპერვენტილაცია ან მაღალი სიმაღლე. ალინიშნება HCO₃- ანიონის სიჭარბე, ნახშირორჟანგის წნევა ეცემა 35 მმ (ვერცხლ.წყლ.სვეტი). კომპენსატორული მექანიზმი – თირკმელებით მცირდება HCO₃-ის რეაბსორბცია, ნელდება ამონიაგენეზის პროცესი.

მეტაბოლური აციდოზი – დიაბეტი ან ქსოვილების ჰიპოქსია, მეტაბოლური ალკალოზი – შიმშილი.

თემა 7

7.1. ფილტვის უჯრედების დაცვითი ფუნქციის მოლეკულური მექანიზმები

სასუნთქი სისტემის დაცვითი ფუნქცია განპირობებულია როგორც უჯრედების უშუალო მონაწილეობით, ასევე სასუნთქი გზებისა და ალვეოლების უჯრედების მიერ სინთეზირებული და სეკრეტირებული სხვადასხვა ტიპის ჰიმორული ფაქტორების (ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები) მონაწილეობით.



სურ. 33.
ალვეოლაში დაცვითი ფუნქციის
რეალიზაციში მონაწილე კომპონენტები

7.2. ფილტვებში უანგბადის აქტიური ფორმების ინაქტივაციის თავისებურებანი

ფილტვის ქსოვილის კონტაქტი უანგბადთან განაპირობებს ანტიოქსიდანტური ენზიმების წარმოქმნას. ამასთანავე, ფილტვში სინთეზირდება და ფუნქციონირებენ ანტიოქსიდანტების სუპეროქსიდდისმუტაზასი (სოდ) და GP-ს ექსტრაუჯრედული იზოფორმები. ექსტრაუჯრედული სოდ ანეიტრალებს უანგბადის აქტიურ ფორმებს სასუნთქი გზების და ალვეოლების კედლებში, ხოლო GP – სურფაქტანტში და ბრონქიალურ ლორნოში. სოდ ექსპრესირდება ბრონქების ეპითელიუმში, II ტიპის ალვეოციტებში და ალვეოლურ მაკროფაგებში. დაკავშირებულია ექსტრაუჯრედულ მატრიქსთან. ექსტრაუჯრედული სოდ თავისებურებას ლიზინით და არგინინით მდიდარი ჰეპარინდამაკავშირებელი უბნის არსებობა წარმოადგენს. ჰეპარინ-დამაკავშირებელი უბანი უზრუნველყოფს უჯრედშორის მატრიქსში ექსტრაუჯრედული სოდ-ას ფიქსაციას. ანთების დროს ლეიკოციტების და მაკროფაგების პროტეოლიზური ფერმენტები სოდ-ის მოლეკულიდან ჩამოხლეჩენ ჰეპარინდამაკავშირებელ უბანს, შედეგად, უანგბადის აქტიური ფორმების ინაქტივაციის უნარი ფილტვის ქსოვილში ქვეითდება და ძლიერდება დაზიანება. ექსტრაუჯრედული გლიკოპროტეინი gp-ს ძირითადი წყარო – ბრონქების ეპითელიოციტები და მაკროფაგებია. ექსტრაუჯრედული gp – ხსნადი ცილაა და ბრონქების ლორნოს და ფილტვების რესპირატორული ნაწილის სურფაქტანტის ფიზიოლოგიური კომპონენტია, სადაც უანგბადის აქტიური ფორმების ნეიტრალიზაცია წარმოებს.

ფილტვების მატრიქსული მეტალოპროტეაზები

პოლუტანტებთან და ინფექციურ აგენტებთან ფილტვის ქსოვილის კონტაქტი თავისუფალი რადიკალების არასაკმარის ინაქტივაციის განაპირობებს. ასეთი ოქსიდაციური სტრესი იწ-

ვევს განსაკუთრებული მეტალშემცველი ფერმენტების მატ-რიქსული მეტალოპროტეინაზების აქტივაციას. მეტალოპრო-ტეინაზები იმ ენზიმების ჯგუფს ნარმოადგენენ, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უჯრედგარე მატრიქსის კომპონენტების მეტაბოლიზმში, ქსოვილის აღდგენაში (რეპა-რაციაში) და უჯრედების მიგრაციაში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა მეტალოპროტეინაზების როლს სიმსივნის ინვაზიაში და მეტასტაზირების პროცესში, აპოპტოზში, ანგიო-გენეზში და იმუნურ კონტროლში. მეტალოპროტეინაზების ჯგუფიდან ბრონქიულ-ალვეოლურ სისტემაში აღსანიშნავია მე-ტალოპროტეინაზა-9 (მმპ-9), რომელსაც უელატინაზების შო-რის განსაკუთრებული პოზიცია უკავია, ვინაიდან ის იწვევს ბაზალური მემბრანის ძირითადი კომპონენტების, ცილების ელასტინისა და კოლაგენი IV-ის დეგრადაციას. მმპ-9-ს დონის მატება პლაზმაში და ნახველში კორელირებს ფილტვის კიბოს მეტასტაზირებასთან.

ამ ჯგუფის ენზიმები კოფაქტორის სახით შეიცავენ ოუთი-ის იონებს (Zn^{2+}), ამიტომაც მათ მეტალოპროტეინაზებს უნი-დებენ. მეტალოპროტეინაზები უზრუნველყოფენ უჯრედგარე მატრიქსის კომპონენტების – კოლაგენის, ელასტინის და სხვა თავისუფალ-რადიკალოვან დაშლას. სუპეროქსიდ იონის პირ-დაპირი ზემოქმედებით მეტალოპროტეინაზების ალოსტერულ ცენტრზე და NF-κB-ს ტრანსკრიპციის ფაქტორებზე ძლიერდე-ბა მატრიქსული მეტალოპროტეინაზების გენების ტრანსკრიპ-ცია. ენზიმების აქტივობის მატება განაპირობებს ფილტვის ქსოვილის უჯრედგარე მატრიქსის ადაპტაციურ გადაწყობას და ფიზიოლოგიურ პირობებში ახალშობილის სიცოცხლის პირ-ველ კვირებში – ალვეოლების ფორმირებას (ალვეოგენეზი). პა-თოლოგიურ პირობებში მეტალოპროტეინაზების აქტივობის მატება ინვევს ფილტვის ქსოვილის დესტრუქციულ „ლლობას“ ალვეოლებში, ბრონქიოლებში და ბრონქებში პათოლოგიური გაფართოებების ნარმოქმნას.

ფილტვის ქსოვილის ნორმალური სტრუქტურის დარღვევა განაპირობებს ალვეოლებში და ბრონქებში სითხის კლირენსის დარღვევას, წარმოქმნილ სივრცეებში ინფექციური აგენტების შეჩერებას და ანთების ქრონიზაციას. აღნიშნული ფენომენი საფუძვლად უდევს ხანგრძლივ პნევმონიებს და ბრონქოექტატიკურ დაავადებებს.

დაცვითი სისტემა

იმუნური სისტემა სასუნთქ აპარატში წარმოდგენილია ლიმფური კვანძებისა და ლიმფოიდური უჯრედების გროვით, რომლებიც სასუნთქი ტრაქტის გასწრივ არის განთავსებული. ფილტვებში გამოვლენილია იმუნოკომპეტენტური სისტემის სტრუქტურული ერთეული – ბრონქოასოცირებული ლიმფოიდური ქსოვილი, რომელიც ნაწლავის ჯგუფურად განლაგებული ლიფოიდური ფოლიკულას მსგავსია. ლიმფური კვანძები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით განთავსებულია ბრონქების განტოტვის ადგილებში. ისინი იმუნოკომპეტენტური უჯრედების რეზერვუარს წარმოდგენენ, მათ აქვთ ეპითელიუმი-დან ბრონქებში მიგრირების უნარი. ლიმფოიდური ქსოვილის სიჭარბე, ასევე, გამოვლენილია წვრილ ბრონქებში. ზედა სასუნთქ გზებში დაცვითი სისტემა, ძირითადად, უზრუნველყოფილია არასპეციფიკური მექანიზმებით, კერძოდ, ჰეროვანი ფილტრი, ლორნოს შრე, წამნამების ქმედება, ფერმენტების აქტივობა და ბრონქული ლორნოს სხვა კომპონენტებით. სასუნთქი გზების ქვედა განყოფილებაში ეს მექანიზმები თითქმის არ ფუნქციონირებს, აյ შესაძლებელია სასუნთქი გზების კონტაქტი ანტიგენურ სუბსტანციებთან, ამით არის განპირობებული ლიმფოიდური ქსოვილის მომატებული რაოდენობა.

კარდიოლიპინი. განსაკუთრებულ ყურადღებას იბყრობს მიტოქონდრიების ლიპიდი კარდიოლიპინი. კარდიოლიპინი ფოსფოლიპიდებს განეკუთვნება, კერძოდ, დიფოსფატიდილ-გლიცეროლი, ორი ფოსფატიდილგლიცეროლი დაკავშირებულია გლიცეროლთან, ხდება დიმერული სტრუქტურის ფორმი-

რება. კარდიოლიპინს გააჩნია პროტონის 4 დამაკავშირებელი რადიკალი, ლოკალიზებულია მიტოქონდრიების შიდა მემბრანაზე, ლიპიდების 20%-ს შეადგენს. კარდიოლიპინი აუცილებელი აღმოჩნდა ენერგეტიკულ ცვლაში მონაწილე მრავალი ფერმენტის ფუნქციონირებისათვის. კარდიოლიპინი ავლენს მაღალ თვისობას მიტოქონდრიების შიდა მემბრანის ცილებისადმი, ჩართულია უჯრედების აპოპტოზში.

7.3. სასუნთქი გზების უჯრედების დაცვითი ფუნქცია

სასუნთქი გზების ეპითელიუმი მუდმივად კონტაქტირებს ვირუსებთან. ამიტომ ევოლუციურად გამომუშავდა ანტივირუსული დაცვის უნივერსალური მექანიზმები. მათ განეკუთვნება ციტოკანების სისტემა RANTES და γ-ინტერფერონი. ვირუსით ინდუცირებისას RANTES (ნორმალური T-ლიმფოციტებით სინთეზირებული ციტოკინი, **regulated on activation, normal T-cell expressed and secreted**) ციტოკინი მრავალი ეპითელიოციტით სეკრეტრირდება, მათ შორის ბრონქების ზედაპირული ეპითელიუმითაც. ნორმაში ეპითელიოციტი მუდმივად ასინთეზირებს RANTES მრნმ და RANTES რნმ-აზას, ხოლო სხვადასხვა დაავადებისას მისი წყარო იცვლება. კერძოდ, სარკოიდოზის დროს (ფილტვის დიფუზური დაავადება) RANTES უჯრედული წყარო ალვეოლური მაკროფაგებია, ფიბროზის დროს კი როგორც ალვეოლური მაკროფაგები, ასევე ეოზინოფილები. RANTES ეოზინოფილების ქემოტაქსისის ფაქტორია. სინთეზი ფილტვის ეპითელურ უჯრედებში მიმდინარეობს და მისი გამოთავისუფლება განაპირობებს ეოზინოფილების მობილიზაციას ფილტვში სხვადასხვა დაავადების დროს (ინტერსტიციალური, შუალედური ფილტვის დაავადება, იდიოპათური ფილტვის ფიბროზი, ასთმა). შედეგად RANTES ცილის სინთეზი არ წარმოებს. ეპითელიოციტის ინფიცირებისას ვირუსული ცილები ბლოკირებენ რნმ-აზა-ს და მრნმ ტრანსლირდება სეკრეტირებად გლიკოპროტეინში, რომელიც მიიზიდავს T-ლიმფოცი-

ტებს. ამრიგად, პოსტტრანსკრიპციის დონეზე რეგულირებადი ცილა RANTES „ატყობინებს“ იმუნურ სისტემას ვირუსის შექრას რეპლიკაციის დაწყებამდე. RANTES-ის სინთეზი და სეკრეცია კავდება გლუკორტიკოლიდებით. კორტიკოსტერონიდები ამცირებენ ეოზინოფილების გადასვლას ფილტვში.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ასევე, უჯრედული და ქსოვილოვანი მეტაბოლიზმის რეგულატორი აზოტის ოქსიდი (NO). NO-ს მოლეკულური სამიზნები რკინაშემცველი ფერმენტები და ცილებია. NO-ს სინთეზს ამინომჟავა L-არგინინი-დან სპეციფიკური ენზიმი ნიტროჟესიდსინთაზა (NOS) ანარმოებს. იდენტიფიცირებულია NOS ორი იზოფორმა: სტრუქტურული (cNOS) და ინდუცირებული (iNOS). კალცი-კალმოდულინდამოკიდებული (cNOS) განაპირობებს NO-ს სინთეზს რეცეპტორულსა და ფიზიკურ სტიმულაციაზე, ხოლო კალციდამოუკიდებელი iNOS კი ასინთეზებს NO-ს სხვადასხვა ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების, ენდოტოქსინებისა და ოქსიდანტების საპასუხოდ. ენზიმი კლასიფიცირდება, ასევე, როგორც NOS-I – ნეირონული, NOS-II – მაკროფაგული და NOS-III – ენდოთელური. ბრონქების ეპითელიოციტებში, ალვეოციტებში, ალვეოლურ მაკროფაგებში, პოხიერ უჯრედებში, ბრონქული არტერიებისა და ვენების ენდოთელიოციტებში, ბრონქების გლუკოზოვან მიოციტებში ალმოჩენილია NO-ს მასინთეზი-რებელი ენზიმები. სასუნთქი ორგანოების ანთებითი დაავადების დროს სასუნთქი გზების ეპითელიუმში NO ინტენსიურად წარმოიქმნება. დადგენილია, რომ NO გამოთავისუფლდება ბრონქოდილატაციის დროს და ცდომილი ნერვით კონტროლდება. iNOS და cNOS-ს ექსპრესია პროანთებით ციტოკინებზე ალმოჩენილ იქნა ალვეოციტებში. ციტოკინებითა და ბაქტერიული ენდოტოქსინებით აქტივირებული ალვეოლური მაკროფაგები აძლიერებენ NO-ს სინთეზს. ვარაუდობენ, რომ ბრონქებითა და ალვეოციტებით NO-ს სინთეზის გაძლიერება

განპირობებულია ბირთვული ფაქტორის **კარ-B** აქტივაციით. iNOS-ს აქტივაციის შედეგად წარმოქმნილი ოქსიდი ჩაერთვის ორგანიზმის არასპეციფიკური დაცვის პროცესში. მაკროფაგე-ბიდან გამოთავისუფლებული NO სწრაფად შეაღწევს ბაქტერიებში, სადაც აკავებს H-ელექტრონმატრანსპორტირებელ, კრებსის ციკლისა და დნმ-ის სინთეზის ენზიმების აქტივობას. ოქსიდი ჩაერთვის ორგანიზმის დაცვაში იმუნური პასუხის საბოლოო ეტაპზე. ანთებით კერაში გროვდება უანგბადის აქტიური რადიკალი სუპეროქსიდ იონი, რომელიც აკავებს NO-ს ვაზოაქტიურ ეფექტს. NO ურთიერთქმედებს სუპეროქსიდ იონთან პეროქსინიტრიტის წარმოქმნით, რომელიც აზიანებს უჯრედებს. ეს რეაქცია ხელს უწყობს NO-ს განდევნას სისხლძარღვისა და ბრონქების კედლიდან და ალვეოციტის ზედაპირიდან. უჯრედში ოქსიდის არაადეკვატურად დიდი რაოდენობით გამოყოფა განაპირობებს მის დამაზიანებელ ეფექტს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჭარბი NO-ს რაოდენობა თრგუნავს cNO-ს აქტივობას სუპეროქსიდიონთან ურთიერთქმედების შედეგად. ანალოგიურ ეფექტს ადგილი აქვს ფილტვების მწვავე დაზიანების სინდრომის განვითარებისას (იხ. ქვემოთ).

γ-ინტერფერონი (γ-IFN) სინთეზდება სხვადასხვა ტიპის იმუნური უჯრედით და ვირუსით ინფიცირებული ბრონქების ეპითელიუმით. მისი სინთეზი რეგულირდება ტრანსკრიპციის დონეზე, სეკრეცია იწყება ერთდროულად ვირუსის რეპლიკაციასთან ერთად. ინტერფერონით ინდუცირდება უჯრედული ადჰეზიის მოლეკულების (ICAM-1) სინთეზი და ექსპრესია მეზობელი არაინფიცირებული ეპითელიოციტებზე. ასევე ინდუცირდება iNOS-ს, ინტერლეიკინების (IL-1, IL-10 და სხვ) და სითბური შოკის ცილების (heat shock protein) სინთეზი. ეს რეაქცია უზრუნველყოფს არაინფიცირებული ეპითელიოციტების დაცვასა და T-ლიმფოციტების ადჰეზიას.


ზოგიერთი პარამიკროვირუსი ასინთეზირებს ინტერფე-
რონის მსგავს ცილებს. ასეთი ვირუსული ცილა (ადამიანის შე-
საბამისი გენეტიკური მიღრეკილებით) გაძლიერებულად ააქ-
ტივებს ინტერფერონის სასიგნალო კასკადს. შედეგად, ეპითე-
ლიოციტების ადაპტაცია ირლვევა და ლეროვანი ეპითელური
უჯრედები არასწორად დიფერენცირდება პროანთებითი ფენო-
ტიპის ფორმირებით. ასეთ შემთხვევაში რეაბსორბირებული/ი-
მუნომოდულატორი ზედაპირული ეპითელიოციტების წილი
მცირდება, ხოლო მასეკრეტირებადი/პროანთებითი ლორწოვა-
ნი და სეროზული უჯრედების რაოდენობა კი იზრდება. ეპითე-
ლიუმის ფენოტიპის ასეთ გადაპროგრამირებას შეუძლია გამო-
იწვიოს ბრონქების ჰიპერაქტივობა და ბრონქიალური ასთმა.

თემა 8

ფილტვისა და სასუნთქი გზების ზოგიერთი პათოლოგიების მოლეკულური საფუძვლები


1. პნევმონია და ფილტვის აბსცესი. ნივთიერებათა ცვლის პროცესების ცვლილებების ფაზური ხასიათი. ფილტვის შიდა დესტრუქციის ბიოქიმიური დახასიათება. პრონქების ლორნოს გამოკვლევას დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ენიჭება.

ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება – ძირითადად ქრონიკული ანთებითი პროცესის შედეგად დაზიანებულია სასუნთქი გზების დისტალური ნაწილი. სასუნთქი გზების ლორნოვანი გარსის კლინიკური სურათის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა ხველა ნახველის გამოყოფით. ფილტვების ობსტრუქციული დაავადების დროს პერიფერიულ სასუნთქ გზებში მცირდება ალვეოლური დაჭიმულობა, ნორმალურ სასუნთქ გზებთან შედარებით ჰაერის ნაკადი შეზღუდულია, ამასთანავე, სანათურში მომატებულია ლორნოვანი ნადები (ობტურაცია) (სურ. 18).



სურ. 34.

ფილტვის ნორმალური და დაავადებული ქსოვილი



სურ. 35.

ჰაერის ნაკადის შეზღუდვის მექანიზმები
ფილტვების ობსტრუქციული ანთების დროს
(Barnes PJ, Chronic obstructive pulmonary disease.
N Engl J Med. 2000, 343:269-280.)

2. ასთმა. ასთმა განიხილება როგორც სასუნთქი გზების შევიწროვება. ბრონქიალური ასთმის მორფოლოგიური სუბსტრუქტური დესკვამატიური ბრონქიტია. განიხილება ობსტრუქციის 4 კომპიონენტი: მწვავე ბრონქოსპაზმი, ბრონქების ლორნოვანი გარსის შეშუპება, ქრონიკული ანთება, ბრონქების კედლის სკლეროზი. იმუნოგლობულინი IgE – ალერგიული ანთების მთავარი სტიმულია. ბრონქოსპაზმში არაქიდონის მჟავას მეტაბოლიტები მონაწილეობენ. ანთებაში მონაწილეობენ ეოზინოფილები, პოხიერი უჯრედები და მათი მედიატორები. ლიპიდების ზეჟანგური უანგვის სისტემაში წონასწორობის დარღვევა, პროტეაზული-ანტიპროტეაზული სისტემა, კალიკრეინ-კინინის სისტემა – ბრონქოსპაზმის პათოგენეზის ერთ-ერთი რგოლია. ლაბორატორიული დიაგნოსტიკა – მეთილჰისტამინის ექსკრეცია შარდში, ეოზინოფილური ცილები, IgE.

3. მეტაბოლიზმის თანდაყოლილი დეფექტები:

- α1-ანტიტრიპსინის დეფიციტი – განაპირობებს ოჯახურ პანაცინარულ ემფიზემას. ხშირად დეფიციტი ვითარდება თამ-ბაქოს გაძლიერებელი მოხმარების დროს;
- ლიზოსომული დაავადებები (გოშეს, გირკეს, პიკის დაა-ვადება);
- აბდელგალდენ-კაუფმანის დაავადება, ცისტინოზი, ცის-ტინის ცვლის ფერმენტული ბლოკი, ფილტვების ფიბროზი;
- როულის-როზენბერგის სინდრომი – ამინომჟავების მი-ლაკოვანი რეაბსორბციის დარღვევა;
- მარფანის სინდრომი – შემაერთებელი ქსოვილის განვი-თარების მანკი, დაკავშირებულია სტრუქტურული ცილის მემ-კვიდრულ პათოლოგიასთან.


4. მწვავე რესპირატორული დისტრესს სინდრომი ((ARDS, acute respiratory distress syndrome) – სუნთქვის მწვავე უკმარისობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმას წარმოადგენს. ვითარდება სხვადასხვა პათოლოგიების ფონზე, მათ შორის მძიმე ტრამვა, სეფსისი, პერიტონიტი, პანკრეატიტი, სის-ხლდენა და სხვა. დაავადების პათოგენეზის კვლევის შედეგები შეზღუდულია და არ იძლევა ადრეული დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების კრიტერიუმების შემუშავების საშუალებას. დადგენილია, რომ სინდრომის განვითარების საფუძველს ფილტვის კაპილარების ენდოთელიუმისა და ალვეოლების ეპი-თელიუმის დარღვევა წარმოადგენს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ NO₂ გარდაქმნის შუალედური პროდუქტი პერიქსი-ნიტრიტი ხასიათდება ფიზიოლოგიური ეფექტით და იწვევს ძარღვების რელაქსაციას ენდოთელიუმში NO₂-განმაპირობებე-ლი ცგმფ რაოდენობის მატებით. პერიქსინიტრიტი, თავის მხრივ, ძლიერი ოქსიდანტია, რომელიც აზიანებს ალვეოლურ ეპითელიოციტებსა და ფილტვის სურფაქტანტს, იწვევს ცილე-ბისა და ლიპიდების სტრუქტურის დარღვევას, აზიანებს ენდო-თელიუმს, ზრდის თრომბოციტების აგრეგაციას.

რესპირატორული სინდრომი ვლინდება ასევე ახალშობილებში. ამ ფორმას ინფანტური რესპირატორული დისტრესი სინდრომი ეწოდება (**IRDS, infant respiratory distress syndrome**). სინდრომი მრავალ ქვეყანაში ახალშობილების ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს. დაავადება ვითარდება, ძირითადად, დღენაკლულ ბავშვებში. დღენაკლულ ბავშვებს უვითარდებათ **RDS** მათი ფილტვების მომწნიფებლობის გამო, რაც გამოწვეულია პულმონური სურფაქტანტის ნაკლებობით. ნაყოფის ფილტვების მომწნიფების ხარისხი ფასდება ამნიონურ სითხეში ლეციტინი/სფინგომიელინის (**L/S**) ფარდობის განსაზღვრით. ადამიანისა და ცხოველის ფილტვის სურფაქტანტის გამოყენებით ჩანაცვლებითი თერაპია ეფექტურია **RDS** პრევენციისა და მკურნალობისათვის.

მწვავე სასუნთქი დისტროფია. ანტიანთებითი მედიატორების როლი.

5. კისტა (კისტური ფიბროზი). კისტური ფიბროზი მძიმე დაავადებაა. ცისტური ფიბროზის დროს სასუნთქი გზების ლორნოვანი შრე გათხელებულია და მასში გაძლიერებულია ანაერობული მეტაბოლიზმი. *In vivo* (ბრონქოსკოპული ანალიზით) პაციენტებში გამოვლენილია pO_2 -ის დაბალი წნევა (Hg -ის სვეტის 5 mm-ზე ნაკლები). კისტური ფიბროზის პათოგენეზის ეთიოლოგიის მრავალი ასპექტიდან უპირატესობა ენიჭება ე.წ. ცისტური ფიბროზის ტრანსმემბრანული გამტარებლობის რეგულატორს (**CFTR, cystic fibrosis transmembrane conductance regulator**). თანამედროვე ჰიპოთეზის თანახმად, ლორნოს მექანიკური განმენდა სასუნთქი გზების ზედაპირის კომპონენტებით დასაბამს აძლევს ბაქტერიებისაგან დაცვითი მექანიზმის ფორმირდებას. ლორნოს განმენდა მოიცავს ცილიალურ დარტყმას, ლორნოს სეკრეციასა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ზედაპირული სითხის (**ASL**) მოცულობის კოორდინირებულ რეგულაციას. სასუნთქი გზების ნორმალურ ეპითელურ უჯრედებში მიმდინარეობს Na^+ -ის აბსორბციისა და Cl^- -ის სეკრეციის

კოორდინირებული რეგულაცია, რომელიც CFTR-ით კოორდინირდება. ამ არხით ასევე რეგულირდება ბიკარბონატის (HCO_3^-) სეკრეცია. დასაცავად, კისტური ფიბროზის დროს CFTR-ს ორი ფუნქცია აქვს დაკარგული. **ჰიორველი** – დაკარგულია CFTR-ით განპირობებული შემაკავებელი გავლენა Na^+ -ის არხზე. შედეგად Na^+ -ის ჰიორველაბორიბცია დომინირებს. **მეორე** – ზედაპირული სითხის მოცულობის შემცირებისას ფერხდება CFTR-ით განპირობებული Cl^- -ის სეკრეცია. იონების დისპალანსისა და ზედაპირული სითხის მოცულობის ცვლილების შედეგად ირლევა სითხეს pH-ის რეგულაცია.



სურ. 36.

მუცინის მოლეკულების განაწილება კისტური ფიბროზით დაავადებული ბრონქული ეპითელიუმის ზედაპირზე¹

¹ [R. D Coakley, R. C Boucher. Regulation and Functional Significance of Airway Surface Liquid pH. International Symposium on "HCO₃⁻ AND CYSTIC FIBROSIS". San Diego, CA (USA). March 3-5, 2001].

6. თამბაქოს მოხმარება. მოწევის შედეგად, უპირველეს ყოვლისა, ზიანდება სასუნთქი სისტემა. მწეველებში სიკვდილიანობის 98% განპირობებულია ხახის სიმსივნით, 96% – ფილტვის სიმსივნით, 75% – ქრონიკული ბრონქიტისა და ემ-ფიზიმას შედეგად.

თამბაქოს ფოთლები შეიცავენ ერთ-ერთ შხამიან მცენარეულ ალკალიციდს ნიკოტინს. სხვადასხვა თამბაქოს სახეობებში ნიკოტინის რაოდენობა მერყეობს 0.3%-დან-7%-მდე. სასუნთქ სისტემაზე ზეგავლენას ახდენს როგორც თვით თამბაქო, ასევე თამბაქოს მოწევის შედეგად წარმოქმნილი ბოლი. თამბაქოს ბოლი შეიცავს 4000-მდე ქიმიურ ნაერთს, რომლებიც ავლენენ მუტაგენურ, ტრქსიკურ, კანცეროგენულ გავლენას. თამბაქოს ბოლის კომპონენტებიდან 40 მათაგანი იწვევს სიმსივნის განვითარებას. თამბაქოს ბოლი შეიცავს რამოდენიმე ასეულ შხამს. გარდა ნიკოტინისა, მათ შორის აღსანიშნავია ციანიდი, დარიშხანი, ფორმალდეჰიდი, აზოტის ოქსიდი, ნახშირორჟანგი, ნახშირჟანგი (CO), ურეთანი, ვინილქლორიდი, „ფისი“ – შედგება პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადებისა-გან, რომლებიც ხასიათდებიან კანცეროგენული ეფექტით: ბენზპირენი, კრეზოლი, ფენოლი. თამბაქოს ბოლი შეიცავს ასევე რადიაქტიულ ნაერთებს პოლონიუმს, ტყვიას, ვისმუტს, მძიმე მეტალებს (კადმიუმი და სხვ).

დღეში სიგარეტის 1 შეფუთვის მოწევა ედრება დასხივებას 500 რენტგენით წელიწადში, ხოლო ტემპერატურა, რომელიც ვითარდება მოწევისას 700-9000-ს აღწევს. მსხვილ სასუნთქ გზებში ვითარდება ხველა და აქტივირდება ლორწოს წარმოქმნა, მცირე სასუნთქი გზები კი ვიწროვდება, ვითარდება ანთებითი პროცესი.

ზოგადად, ბრონქიოპულმონალურ სისტემაზე თამბაქოს მოწევის გავლენის უარყოფითი ასპექტები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

- ნიკოტინის აზოტის ოქსიდთან ურთიერთქმედებით წარმოიქმნება N-ნიტროზამინი, რომელიც განაპირობებს სიმ-სივნის განვითარებას;
 - თამბაქოს ბოლის კომპონენტები ურეთანი, ბენზინე-ნი, ვინილქლორიდი -კანცეროგენული ნაერთებია, განსაკუთ-რებით დეტალურად შესწავლილია ბენსპირენის ბიოტრან-სფორმაცია. სასუნთქი გზების უჯრედებში ბენსპირენი მეტა-ბოლიზდება P-450 სისტემით, მიიღება ეპოქსიდური ნაერთი, რომელიც შემდგომ გარდაიქმნება ეპოქსიდ-დიპიდროდიოლი-სა და ეპოქსიდდიოლის წარმოქმნით, რომლებიც ასევე კანცე-როგენული ნაერთებია;
 - კადმიუმი – მძიმე მეტალია და იწვევს ბრონქოპულმო-ნალური სისტემის უჯრედების მკვეთრად გამოხატულ დაზია-ნებას;
 - პოლონიუმი-210 – განაპირობებს სიმსივნის განვითა-რებას. თამბაქოში პოლონიუმი ადსორბირდება ატმოსფერო-დან, მისი ნახევრადდაშლის პერიოდი 138 დღეს აღემატება;
 - თამბაქოს ბოლის კომპონენტების ზეგავლენით ირღვე-ვა ნეიტროფილებისა და მაკროფაგების ფაგოციტარული ფუნ-ქცია, მცირდება ნეიტროფილებისა და ალვეოლური მაკროფა-გების ფაგოციტარული ფუნქცია, ასევე მცირდება მაკროფაგე-ბის ანტიმიკრობული აქტივობა. ამასთანავე, ბრონქებში ალი-ნიშნება ნეიტროფილების რაოდენობის 2-3-ჯერ გაზრდა ნორ-მასთან შედარებით. ნეიტროფილები პროდუცირებენ დიდი რა-ოდენობით პროტეოლიზური ფერმენტს ნეიტროფილურ ელას-ტაზას, რომელიც განაპირობებს ფილტვის ელასტინის ბოჭკო-ების დესტრუქციას. შესაბამისად, ვითარდება ფილტვის ემფი-ზემის განვითარების წინაპირობა. პარალელურად ბრონქული ლორნოს მაღალი პროტეოლიზური აქტივობა აზიანებს ბრონ-ქების მოციმციმე ეპითელიუმს;
 - მონევის შედეგად ირღვევა სურფაქტანტის სინთეზი და ფუნქცია;

- ბოლის ხანგრძლივი ზემოქმედება დამაზიანებლად მოქმედებს ეპითელიუმის წამნამებზე, რაც აფერხებს მათ ფუნქციონირებას. მწეველებს უვითარდებათ ქრონიკული ბრონქიტი, შედეგად ფერხდება წამნამებით ლორწოს გამოყოფა. თამბაქოს ბოლი იწვევს მოციმციმე ეპითელიუმის უჯრედებისა და კლარის უჯრედების (არაცილიარული ეპითელიუმის უჯრედები) მეტაპლაზიას. უჯრედები გარდაიქმნება ლორწონარმომქმნელ ფიალისებრ უჯრედებად. მეტაპლაზირებული უჯრედები ასევე შეიძლება გახდეს სიმსივნური უჯრედების წინამორბედი;

- თამბაქოს მოწევის შედეგად ალვეოლური მაკროფაგები შთანთქავენ, ფაგოციტირებენ თამბაქოს ბოლის უხსნად ნაწილაკებს (კადმიუმი, პოლონიუმი და სხვ), შედეგად ციტოპლაზმა იღებს დამახასიათებელ ქვიშის შეფერილობა. ალვეოლური მაკროფაგების ასეთი დამახასიათებელი მორფოლოგიური ცვლილებები მწეველის ბიოლოგიურ მარკერად მიიჩნევა. ამასთანავე, ალინიშნება ალვეოლური მაკროფაგების ციტოჭოქსიკური აქტივობა სიმსივნური უჯრედებისადმი, რაც განპირობებულია ინტერფერონის სინთეზისა და ანტიბლასტური ციტოკინის სინთეზის დათრგუნვით. ქვეითდება იმუნური სისტემის დაცვითი ფუნქცია ზოგადად და ლოკალურად (ბრონქოპულმონალური), მნიშვნელოვნად მცირდება T-ქილერი ლიმფოციტების რაოდენობა და ფუნქცია, რაც ზრდის ბრონქების კარცინომას განვითარების ალბათობას;


- ნიკოტინი განაპირობებს ალერგიული რეაქციების განვითარებას. თამბაქოს ბოლი განიხილება, როგორც ალერგენი, რომელიც განაპირობებს იმუნოგლობულინი IgE-ს გაძლიერებულ სინთეზს, მწეველი ადამიანების ნახველში მკვეთრად მომატებულია ჰისტამინის რაოდენობა;

- ძლიერ დარტყმას იღებს გულ-სისხლძარღვთა სისტემა. მოწევის შედეგად მატულობს სისხლის წნევა, იზრდება დაბალი სიმკვრივის და მცირდება მაღალი სიმკვრივის ქოლესტერინის რაოდენობა, ვითარდება ათეროსკლეროზის რისკი. განსაკუთ-

რებით ზიანდება პერიფერიული ძარღვები, ფეხების არტერიები. სპაზმის შედეგად, კუნთებს ცუდად მიეწოდება სისხლი, ხშირად ამ მდგომარეობას თან სდევს განგრენა. ნიკოტინი მოწევის შედეგად 7 წამში თავის ტვინში აღწევს, მისი ზემოქმედებით ვითარდება წვრილი სისხლძარღვების სპაზმი, შედეგად ირღვევა უანგბადის მიწოდება თავის ტვინში. ასევე, დადგენილია მისი დამაზიანებელი ზემოქმედება სასქესო ორგანოებზე. მამაკაცებში ნიკოტინი განაპირობებს იმპოტენციის განვითარებას. მწეველებში ხშირია კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებები (წყლული, გასტრიტი და ა.შ). თამბაქოს მოხმარება იწვევს იმუნური სისტემის სტატუსის ცვლილებას, შედეგად იზრდება ლეიკოზის განვითარების რისკი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თამბაქოს მოხმარება ფეხმძიმობის დროს. ფეხმძიმობისას თამბაქოს მოხმარება განაპირობებს პლაცენტის სისხლძარღვების სპაზმს, რაც ნაყოფში უანგბადის უკმარისობის მიზეზი ხდება. ასეთ მოვლენას თან სდევს ნაყოფის ნაადრევი მშობიარობა ან სიკვდილი, ნაყოფი, რიგ შემთხვევაში, განუვითარებელია.

- თამბაქოს ბოლი, უანგბადის და აზოტის ოქსიდის მაღალი კონცენტრაცია, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებები აქვეითებენ ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მეტაბოლიზმს, როგორიცაა სეროფონინი, ნორადრენალინი, პროსტაგლანდინები, ანგიოტენზინ 1. აქტიური და პასიური მონევა განაპირობებს ბრონქების ეპითელიუმის დესტრუქციას, ბრონქების ლორონოვანი ჯირკვლების ჰიპერტროფიას, მუკოცილიარული კლირენსის დარღვევა, რასაც თან სდევს ლორნოს გადაადგილების შენელება. თამბაქოს ბოლი ნეიტროფილების ქემოტაქსისის ინჰიბიტორია. ბოლის ზემოქმედებით ალვეოლური მაკროფაგების რაოდენობის ზრდა აღინიშნება, თუმცა მათ დაქვეითებული აქვთ ფაგოციტარული ფუნქცია. ასევე თამბაქოს ბოლის ხანგრძლივი ზემოქმედება აქვეითებს T-ლიმფოციტების აქტივობას, თრგუნავს ანტისხეულების სინთეზს, ასტიმულირებს იმუნოგლობულინი E-ს სინთეზს და ცდომილი ნერვის აქტივობას. ამასთანავე, ალვეო-


ლურ მაკროფაგებში სინთეზირდება ენზიმი, რომელიც გარდაქმნის ანგიოტენზინ 1-ს ანგიოტენზინ 2-ად, მოწევის შედეგად იზრდება ალნიშნული ენზიმის აქტივობა. შესაბამისად, მატულობს ანგიოტენზინ 2-ის რაოდენობა, რომელიც მძრლავრი სისხლძარღვების შემავიწროვებელი აგენტია. ასეთ შემთხვევაში ვითარდება ფილტვის ჰიპერტენზია.




სურ. 37.

ადამიანის ჯანმრთელი ფილტვის ფიბრობლასტები (მარცხნივ) და მწეველი ადამიანის ფილტვის ფიბრობლასტები (მარჯვნივ).
ცისფრად – აკუმულირებული ბეტა-გალაქტოზიდაზა
(უჯრედების ასაკის მარკერი). (*Credit: University of Iowa/Nyunoya Laboratory*)

7. ფილტვების ემფიზემა. ემფიზემა ფილტვების არასპეციფიკური დაავადების ფართოდ გავრცელებული ფორმაა. ემფიზემას დროს ადგილი აქვს ფილტვის ბრონქიოლების საჰაერო სივრცეების გაფართოებას. მისი გამომწვევი მიზეზები 2 ჯგუფად იყოფა: 1. პათოლოგიური მიკროცირკულაცია, α_1 -ანტიტრიპსინის თანდაყოლილი დეფიციტი, სურფაქტანტის თვისებების ცვლილება, ჰაერში მავნე ნივთიერებები; 2. ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტი – ალვეოლების გაჭიმვა.



სურ. 38.
ფილტვის დაავადებული ქსოვილი



ემფიზემას დროს ფილტვის უჯრედებში მრავლად გროვ-დება ლეიკოციტები. ემფიზემას პათოგენეზში ჩართული პრო-ცესების უმრავლესობა ასოცირებულია თამბაქოს მოწევასთან, თუმცა ცენტრალური ადგილი პროტეინაზულ-ანტიპროტეინაზულ ჰიპოთეზას განეკუთვნება. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ალ-ვეოლური კედლის დარღვევის (დესტრუქციის) მიზეზი პროტე-


ინაზების აქტივობის შედეგია, რომლის შედეგადაც იშლება ექ-სტრაუჯრედული მატრიქსი.

ზოგადად, პათოლოგიურ პროცესებში ნებისმიერი ტერმინალური რესპირატორული ერთეულის კომპონენტის – ენდო-თელიუმის, ეპითელიუმის, ინტერსტიციუმის ჩართვის შედეგად ფერხდება ფილტვებში გაზთა ცვლა. ეპითელიუმის დენუდაცია განაპირობებს სურფაქტანტის სინთეზის, მისი გამოყოფისა და დეპონირების დარღვევას, ირლვევა ალვეოლური-კაპილარული ბარიერის განვლადობა; ადგილი აქვს ალვეოლის სანათურში სითხის ექსუდაციას; ინტერსტიციული ფიბროზის განვითარების შედეგად ფერხდება გაზების დიფუზია; ენდო-თელიუმის დაზიანება აძლიერებს ალვეოლურ/კაპილარული ბარიერის განვლადობას, ფილტვებში ადგილი აქვს ჰემოდინამიკურ დარღვევებს, იცვლება ვენტილაციისა და ჰემოპერფუზიის მოცულობის თანაფარდობა და ა.შ.

8. ხველა. ხველა რთული რეფლექტორული აქტია, რომელშიც რამოდენიმე მექანიზმი მონაწილეობს – სასუნთქი კუნთების დაძაბვით მკერდის შიდა წნევის გაზრდა, ხმის ნაპრალის ცვლილება და ა.შ. სასუნთქი ორგანოების დაავადებისას (ტრაქეიტები, ლარინგიტი, პნევმონია, ბრონქიტები) ხველა განპირობებულია სასუნთქი გზებისა და პლევრის რეცეპტორების გაღიზიანებით. ხველა შეიძლება ასევე გამოიწვიოს სისხლის მიმიქცევის მცირე წრეში სისხლჩაქცევამ (გულის მანკის დროს). ხველა შეიძლება იყოს მშრალი ან ნახველით და დაცვით როლს ასრულებს, განაპირობებს ბრონქებიდან ნახველის განდევნას (დრენაჟს). მშრალი ხველის დროს კი აუცილებელია შემარბილებელი საშუალებების მიღსება (ტერმოპსისის პრეპარატები, გლაუცინი, ლიბექსინი და სხვ).

9. მუკოვისციდოზი. მუკოვისციდოზი – მემკვიდრული აუტოსომური-რეცესიული მონოგენური მეტაბოლური დაავადებაა, ხასიათდება ეგზოკრინული ჯირკვლების სეკრეციის დარღვევით. მაღალი სიხშირით აღინიშნება კავეასიურ მოსახ-

ლეოპაში (2500-ზე 1 შემთხვევა). დაავადების კლინიკური სიმ-პტომები უპირატესად დაკავშირებულია რესპირატორული ტრაქტის და კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციასთან. დაავადება გამოწვეულია ტრანსმემბრანული ქლორის იონის არხის დე-ფექტით. არხის გენის იდენტიფიცირებისას გამოვლენილია 200-მდე მუტაცია, 70% მუტაციების განპირობებულია ამინომ-ჟავა ფენილალანინის დელეციით, რაც განაპირობებს არხის ცილის ფუნქციურ ცვლილებებს და, შესაბამისად, ქლორის იო-ნების ტრანსპორტის დარღვევას, იონების გაუნვლადობას არ-ხის მიერ. არხის მუტაციის შედეგად უჯრედში ქლორის იონე-ბის დაგროვება აღინიშნება, ეს კი განაპირობებს სანათურის სადინრების ელექტროქიმიური პოტენციალის ცვლილებას, რასაც თან სდევს ნატრიუმის იონების უჯრედში დიდი რაოდე-ნობით შეღწევა (სანათურიდან უჯრედში) და შემდგომ, უჯ-რედგარე სივრციდან წყლის გაძლიერებული შთანთქმა. შედე-გად სეკრეტი სქელდება, ირლვევა მისი გადაადგილება. ასეთი ანომალია განაპირობებს ელექტროლიტების დისბალანსს ბრონქულ სეკრეტში, ასეთი სეკრეტი ხასიათდება წყლის დაბა-ლი შემცველობით და მაღალი სიბლანტით, რაც ეწინააღმდეგე-ბა ეპითელიუმის ნორმალურ ფუნქციონირებას. ადგილი აქვს მცირე სასუნთქი გზების ობსტრუქციას. პაციენტების უმეტე-სობაში სიმპტომები ადრეულ (ბავშვობის) ასაკში ვლინდება. კლინიკურად მუკოვისციდოზი ვლინდება განმეორებად ბრონ-ქოპნევმონიებში და ბრონქექტაზებში.



¹ <https://www.emaze.com/@AQFQCRQC>

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე ნ. ნორმალური და პათოლოგიური ბიოქიმია მედიკოსებისათვის. 1 და 2 ტომი, თბილისი, 2008 (გაზთა ცვლა).
2. კოშორიძე ნ., მენაბდე ქ. ფუნქციური ბიოქიმია. თბილისი, 2009 (გაზთა ცვლა).
3. სოლომონია რ. ბიოქიმია. თბილისი, 1995 (სურფაქტანების დახასიათება, გაზთა ცვლა).
4. Textbook of Biochemistry (With Clinical correlations). Edit. by Devlin Th. WILEY-LISS, 2006 (სურფაქტანების დახასიათება, გაზთა ცვლა).
5. Jo Rae Wright. Immunoregulatory functions of surfactant proteins. Nature Reviews Immunology. 2005;5: 58-68. doi:10.1038/nri1528.
6. Phetps DS. Pulmonary surfactant modulation of host-defense function. Applied Cardiopulmonary Pathophysiology. 1995; 5:221-9.
7. Ross MH, Gordon KI, Pawlina W. Histology: A text and atlas. 2002. Lippincott Williams and Wilkins: Philadelphia
8. King LS, Nielsen S, Agre P. Aquaporin-1 water channel protein in lung. Ontogeny, Steroid-induced expression and Distribution in rat. J.Clin.Invest. 1996;97(10):2183-2191.
9. Verkman AS, Matthay MA, Song Y. Aquaporin water channels and lung physiology. Am J Physiol Lung Cell Mol Phbysiol 2000, 278(Is5):L867-L879.
10. Kwon OJ, Jose PJ, Robbins RA, Schall, Williams TJ, Barnes PJ. Glucocorticoid inhibition of RANTES expression in human lung epithelial cells. Americ. J Respir Cell and Molec Biol. 1995;12(5):488-496.
11. Petrek M, Pantelidis P, Southcott AM, Lympamy P, Safranek, Black CM, Kolek V, Weigl E, du Bois RM. The source and role of RANTES in interstitial lung disease. Eur Respir J. 1997; 10:1207-1216.
12. Koyama N, Inase N, Tanaka M, Ichioka M, Sasaki S, Marumo F. Aquaporin 3 is induced in rat alveolar epithelium after birth. IUBMB Life (Intern Union of Biochemistry and Mol Biol. 2008, 44(Is5):869-875.

13. P. Wbitney, S.Maxwell, R, U.Ryan, Massaro D. Synthesis and binding of lactose-specific lectin by isolated lung cells. Amer J Physiol Cell Physiol, 1985, 248(Is 3 258). C-258-264.
14. Haagsman H.P, Elfring RH, van Buel Blm, Voorhout WF. The Lung lectin surfactant A aggregates phospholipid vesicles via a novel mechanism. Biochem. J. 1991, 275:273-276.
15. Daniels, Christopher B. and Orgeig, Sandra (2003). "Pulmonary Surfactant: The Key to the Evolution of Air Breathing". *News in Physiological Sciences* **18** (4): 151–157.
http://www.ncbi.nlm.nih.gov/entrez/query.fcgi?cmd=retrieve&db=pubmed&list_uids=12869615&dopt=Abstract.
16. Alveoli: Gas Exchange and Host Defense, ISBN:978-3-211-83564-7 (Print) 978-3-211-26392-1 (Online[1]).
17. Saladin **Anatomy and Physiology: the unity of form and function** 4th ed. McGraw Hill, NY, NY 2007.
18. LeVine AM, Elliott J, Whitsett JA, Srikiatkachorn A, Crouch E, DeSilva N, Korfhagen T. Surfactant Protein-D enhances phagocytosis and Pulmonary clearance of respiratory syncytial virus. Am.J.Respir.Cell Mol.Biol. 2004, 31(2):193-199.
19. Patrick Waters, Mudit Vaid, Uday Kishore and Taruna Mandan. Lung Surfactant Proteins A and D as Pattern Recognition Proteins.
20. Hogg JC, Senior RM. Chronic obstructive pulmonary disease c 2:Pathology and biochemistry of emphysema. Thorax. 2002; 57(9): 830-34. doi: 10.1136/thorax.57.9.830.
21. Bugdayci G, Kaplan T, Sezer S, Turhan T, Koca Y, Kocer B, Yildirim E. Matrix metalloproteinase-9 in broncho-alveolar lavage fluid of patients with non-small cell lung cancer. Exp.Oncol. 2006; 28(2):169-171.
22. Cakley R, Boucher R. Regulation and Functional Significance of airway surface liquid pH. Intern.Sympo. "HCO₃- and cystic Fibrosis". San Diego, CA (USA), March 3-5, 2001. (JOP. J Pancreas, 2001; 2(4):294-300.

23. Cerra RF, Haywood-Reid PL, Barondes SH. Endogenous mammalian lectin localized extracellularly in lung elastic fibers. *J Cell Biol.* 19.
24. Martin Fronius, Wolfgang G. Clauss and Mike Althaus. **Why do we have to move fluid to be able to breathe?** *Front. Physiol.*, 22 May 2012 | doi: 10.3389/fphys. 2012.00146.
<http://meduniver.com/Medical/pulmonologia/96.html> MedUniver.
25. Matthay M.A., Folkesson H.G., Clerici C.I. Lung epithelial fluid transport and the resolution of pulmonary edema *Physiol. Rev.* 82: 569 – 600, 2002.
26. Berg, Jeremy M. (2007). Biochemistry, 6th Ed., Sara Tenney. ISBN0-7167-8724-5. 2. Campbell, Neil A. Biology. 7th ed. San Francisco, 2005. 3. <http://medical-ictionary.thefreedictionary.com/2,3-bis-phosphoglycerate,+diphosphoglycerate>
27. Meshell D. Johnson, Jonathan H. Widdicombe, Lennell Allen, Pascal Barbry, and Leland G. Dobbs. Alveolar epithelial type I cells contain transport proteins and transport sodium, supporting an active role for type I cells in regulation of lung liquid homeostasis. *Proc Natl Acad Sci U S A.* 2002 Feb 19; 99(4): 1966-1971.
28. Glenn W. Vicary, Jeffrey D. Ritzenthaler, Tanmay S. Panchabhai, Edilson Torres-González, Jesse Roman. Nicotine stimulates collagen type I expression in lung via $\alpha 7$ nicotinic acetylcholine receptors. *Respiratory Research* 2017 **18**:115, <https://doi.org/10.1186/s12931-017-0596-8>.

გამომცემლობის რედაქტორი	მარა ეჯიბია
დამკაბადონებელი	ხათუთა ბადრიძე
გარეკანის დიზაინერი	ნინო ებრალიძე
გამოცემის მენეჯერი	მარიკა ერქომაიშვილი

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 14
 14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
 Tel.: 995(32) 225 14 32
www.press.tsu.ge

